ჩვენი ძიების მეორე ეტაპი თვით ლექსიბის იღენტი-ფუცირება იყო. ლექსიბი „ტიციან ტაბიძეს“, „წიგმენტ“ და „შავი სარკეში (თ. ჩიქოვანს)“ არ აღმოჩნდა არათუ ტერენტი გრინელის სიცოცხლისადროინდელ ზემოთ ნახსენებ ხუთ გა-მოცემაში, არამედ, მისი გარდაცვალებიდან დღემდე დაბე-ჭდილ პოეტის სხვადასხვა კრებულში. ასევე ვერ მივაკვლიერ ამ ლექსის პერიოდულ გამოცემშიც. აღსანიშნავია, რომ არსებობს ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილი ტ. გრანელის ლექსი სათაურით „მთაწმინდა - ტიციან ტაბიძეს“ (როგორც ლანდი ისე ვარ ..), მაგრამ ეს სხვა პოეტური ქმნილებაა და არაფერი აკავშირებს დასახელებულ ლექსთან.

როგორც ალვნიშნეთ, ლექსტბზე მინერილია შეკმნის თარიღი (1919 წ.) და პოეტის ფსევდონიმი - ტ. ნალენჯიახელი. მართლაც, ლიტერატურის ისტორიაში დადასტურებულია, რომ ამ ფსევდონიმით იგი სარგებლობდა 10-იანი წლების ბოლოს, ხოლო გრანელის ფსევდონიმით 20-იანი წლებიდან იბეჭდებოდა. ამას გარდა, მოძიებული ლექსტის ფორმა და განწყობა პოეტის შემოქმედების ადრეულ ეტაპზე მიუთითებს. როგორც ცნობილია, იგი აღფრთივანებული იყო სიმბოლისტების გამოჩენით პოეტურ ასპარეზზე და ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილ ლექსტი, სადაც ასევე მოიხსენებს პალლო იაშვილასც. ამავე დროს, ამ ლექსტში შედარებით ნაკლებადაა უმცირდებისა და ტრაგიკულობის განცდები, რითაც გაჯერებულია ტერენტი გრანელის 20-იანი წლების პერიოდის პოეზია. ალსანიშნავია, რომ სამიცვე ლექსის ცალკეული სიტყვები მუქად არის დაბეჭდილი. ძნელი სათქმელია, ეს მხოლოდ ბეჭდების დროს დაშვებული ტექნიკური წუნია თუ ავტორის მიერ მოცემული კოდი. თუ ეს უკანასკნელი ვარაუდი სწორია, მკვლევარებს წინ საინტერესო სამუშაო ელით პოეტის მიერ დაშეიფრეული აზრის ამოსახსნელად.

ტერორისტი გრანელის დასახელებული გამოცემა, რომელშიც დაბეჭდილია პოეტის ადრეული პერიოდის ლექსები, ეროვნულ ბიბლიოთეკას ბუკინისტური მაღაზიებიდან ან კერძო პირიდან შეუძენია 1971 წელს 10 მანგითად. ეს ეგზემპლარი უკვე 46 წელია ინახება ეროვნულ ბიბლიოთეკის „საქართველოში ნაბეჭდი და ელექტრონული გამოცემების საარქივო ფონდის განყოფილებაში“ (მიზრით - ჭ 2.851/1), ხოლო მისი ბიბლიოგრაფიული აღნიშვნები ჩართულია

## გაუმჯობელი გრჩიხი

ბიბლიოთეკის ბარათოვან და ელექტრონულ კატალოგებში.  
მიუხედავად ამისა, რატომდღაც, გამოცემაცა და ლექსებიც  
დიდი ხნის განმვლობაში დარჩა საზოგადოების ყურადღე-  
ბის მიღმა. დღეს ტერენტი გრანელის უკვე ცნობილ ლე-  
ქსებთან ერთად უკვე შეგვიძლია გავეცნოთ მის „ახალ“ და  
ქრონოლოგიურად ერთ-ერთ ძველ ლექსებსაც, რომლებიც,  
იმედია, აღარ „დაიჩაგრებიან“ და მისი პოეზიის ახალი  
კრებულებში დაიმკვიდრებენ თავიანთ კუთვნილ ადგილს.

2018, მაისი

### ტიციან ტაპიქეს

შენ ჩამორეკე სიძნელეში ბროლის ზარები.  
თაბორის მთაზე აიტანე ჯვარი წამების.  
და უარყავი მოფერება სუსტი კალმების.  
ხელოვნებაში თვით სიკვდილიც არ გეზარება.

შენი ლექსები დაბალ მგოსნებს არ ეკარება.  
ვინ რას დაგაკლებს ამაყ რაინდ გათამამებულს.  
დღეს უხარია თვით პაოლოს შენებრ წამებულს,  
რომ გამოსჭედე პოეზიის რკინის კარები.

გარს გახვევია ბუმბერაზი ძველი მგოსნები  
ოსკარ უაილდ გეზმანება თეთრი რაშებით.  
თითქოს ბოდლერმაც შეგთავაზა კრიალოსნები.

საქართველოში გაჯილდოებს ცხარე ტაშები.  
შენი სახელი როგორც მგოსნის კარგად იციან.  
დღეს გამარჯვებულს გესალმები ჩემო ტიციან.

### შავი ეპრანზე

(ძლვნად თ. ჩიქოვანს)

ფიქრთა გროვაში იფერფლება შენი სხეული.  
მარად გეძახის მუნჯ ცხოვრების ავი მანდი.  
მაგრამ გდარაჯობს უდარდელი ძველი რაინდი.  
და არ გაშინებს უკულმართი ბედი წყეული.  
რუხი დღეები ხეტიალში გაანიავე.  
გიყვარს ლოთობა ყრუ ქალაქში და ალავერდი.  
ჰაერში დაქრის შენი სული როგორც ნიავი.  
ციურ მზერაში გახალისებს მწვანე ხავერდი.  
შავმა ცხოვრებამ ჩაგითრია ველარ დაგინდო.  
როგორც წაცნობი მოგესალმა ფიქრი სნეული.  
აღარ გმორდება ავი ლანდი ვით ქუჩის კინტო.  
დუელში გინვევს მოთარეშე გედი გძნეული.

### Pigment

ლურჯი სარკეში ათამაშდა შენი სინაზე.  
რაშთ ჯირითი შეუყვარდა ავი ყაჩალებს.  
სული წაცნობი შენს გარშემო სხივებს აჩალებს.  
ცრემლით ატირდა მდუმარება ცივი რკინაზე.

სიცილს დაიწყებს ტყის ასული შენი ბინაზე.  
შავი დემონი შეაგროვებს თუჯის მათრახებს.  
მოქანცულ სხეულს მწუხარება ზანგად შეარხევს.  
და თავს ამოყოფს ყრუ სიკვდილი ფანჯრის მინაზე.

შავი ოცნება დროთა სვლაში ჩაიფერფლება.  
და უარს იტყვის თეთრი ვარდი განმეორებით.  
ნერვებს აგიშლის ჭლექიანი ჩუმი ხელება.

ლამის სიზმრები ჩაივლიან წაზი ზმორებით.  
ავადმყოფ სულით ულრან ტყეში გასარები.  
და შენს წინაშე აიშლება სევდის ჯარები.

## ნიკოლოზ სარაჯიშვილი

### დავით სარაჯიშვილის პიოგრაფიის რამდენიმე ცნობის დაზუსტებისთვის

2019 წლის ოქტომბერში, დავით სარაჯიშვილის დაბადებიდან 171 წელი სრულდება. ადამიანი, რომელიც თავის ქვეყანას მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურებოდა, დღეს მივიწყებულია და თუ რამე ინტერება, ძირითად შემთხვევაში არასწორად და გაუაზრებლად. მისი პიროვნების „მიჩქმალვას“ საბჭოთა კავშირის ტოტალიტარულ რეჟიმს ვაბრალებთ, თუმცა თითქმის 30 წელია, რაც დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და საკითხის რეალისტური აღქმა და სიმართლის ნერა, ჯერაც ვერ ვისნავლეთ.

იმისათვის, რომ ნაშრომი უფრო მეტად ინფორმაციული იყოს, მოკლედ მიმოვისილოთ დავითის ცხოვრების ბოგრაფია და შემდეგ გავარჩიოთ მცდარი და რეალური ამბები.

1848 წლის 28 ოქტომბერს ზაქარია დავითის ძე სარაჯიშვილსა და მის მეუღლეს - ელისაბედ სოლომონის ასულ სავანელს შეეძინათ ვაჟი. ტრადიციის მიხედვით, ზაქარიამ მას მამამისის სახელი - დავითი დაარქვა. ზაქარია დიდად დაფასებული კაცი იყო თბილისში და ქველმოქმედებასაც აქტიურად ეწეოდა. პირველდაწყებით განათლება დავითს თბილისში, ჰაკეს პანისონში მიალებინა, რომელიც 1866 წელს მან ნარმატებით დასრულა და შემდეგ პეტერბურგში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისალებად. თუმცა „არც უნივერსიტეტის სწავლა და არც მაშინდელი სტუდენტობის ცხოვრება მათის ნიგილისტობით დავითის არ მოსწონება და მეორე წელსვე ნასულა გერმანიას“. (ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 8) დავითმა კარგად შეისწავლა უცხო ენები და მეორე წელს ევროპისკენ გაემართა. „პეტერბურგიდან გერმანიაში დათიკეოს წასვლა მოუხდა იმიტომ, რომ მას არ აქმაყოფილებდა სწავლა, ამიტომაც იგი წავიდა გერმანიაში. ჩვეულებისამებრ გერმანიაში იგი ერთი უნივერსიტეტიდან გადადიოდა მეორე უნივერსიტეტში სადაც უკუთხის პროფესორი ეგულებოდა.“ - წერდა ალექსანდრე სარაჯიშვილი. (იქვე).

გერმანიის შემდეგ დავითი საფრანგეთში მიდის და უფრო საფუძვლიანად სწავლობს კონიაკის წარმოების საქმეს. თავისი ლირსეული ხასიათის წყალობით, დავითი უახლოვდება გერმანელ და ფრანგ მოდენებს.

1880 წელს დავითი საქართველოში ფოლოსოფიისა და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის სარისხით ბრუნდება და აქტიურად ეპმება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

2016 წელს, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველნოვდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, დოქტორანტმა (ამჟამად უკვე ისტორიის დოქტორმა) დურმიშან ლაშება „დაუცვა“ თემა - „ბრძოლა ეროვნული ლირებულებების პრაქტიკული რეალიზებისთვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედი და მეცენატინი)“. აეტორი თავისი დისერტაციის 60 გვერდს დავით სარაჯიშვილის მოღვაწეობას უთმობს და რამდენიმე უზუსტონობასაც უშევბს, რაც ჩემს, როგორც დავით სარაჯიშვილის ნათესავისა და მისი ცხოვრების მევლევარის უკმაყოფილებას იწვევს და რეცენზიასაც იმსახურებს.

დავითის საქართველოში დაპრუნებასთან დაკავშირებით დურმიშან ლაშების წიგნში ვითხოველობთ: „1880 წელს დავით სარაჯიშვილი ბრუნდება საქართველოში. ამ პერიოდში დავითის მამა ახალი გარდაცვლილი იყო.“ საინტერესოა, თუ რატომ გადაწყვიტა აეტორმა ასე, როცა სიტუაცია სულ სხვაგვარისა. გაზეთ დროების 1880 წლის 26 თებერვლის ნომერში ჩვენ ვხვდებით საგაზირო პუბლიკის, რომელიც ჭორების დაგმობისეკნაა მიმართული. წერილს ხელს აწერებ ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ავალიშვილი, თავადი დავით ერისთავი, ი. მარიამილი, დ. სარაჯიშვილი, გ. თუმანიშვილი, ი. ბაქრაძე. ზაქარია სარაჯიშვილის საფლავის ქვაზე კი გარდაცვალების თარიღად დატანილია 1880 წლის 26 მაისი, შესაბამისად, საქართველოში დაპრუნების დროს მამამისი, ზაქარია ჯერ კიდევ ცოცხალია. სოფელ დილომში, ზაქარიასვე აქენებულ ეკლესიში, საფლავის ქვაზე არის წარწერა - „ესე არს განსასვენებელი ჩემი, რომელი მთნავს, ამას დავემკვიდრო უკუნისამდი, ზაქარია დავითის-ძე სარაჯოვი, აღმაშენებელი ეკლესისა ამისა; შობიდამ 74 წლისა, გარდავიცვალე 1880 წელს, 26 მაისა...“

მართლაც, სამშობლოში დაპრუნების შემდეგ, საქართველოში არ ნამონებულა არც ერთი საქმე, რომ მასში რაიმე წვლილი არ შეეტანოს დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს. ეკლესია-მონასტრობის აგება-რესტავრირებისთვის ფინანსურის გამოყოფა, ნიჭიერ ახალგაზრდათა სწავლის დაფინანსება, ერთჯერადი დახმარებები, ასეთი მაგალითები უხვადა ამის ბოგორაფიაში, თუმცა დღეს ეს ჩვენს განსახილველ საგან სარაწმოადგენს.

თავისი გამჭრიახობით, ცოდნით, ნიჭითა და რაც მთავრია, შრომით მან საქართველოში დააგროვა. ამასთან ერთად, ბიძისა და მამისგან გარკვეული მემკვიდრეობაც ერგო.

„სამშობლოს სიყვარული დავითის გულში დაუშრეტელ ცეცხლად ღვიოდა და ლხენის მაგიერ გულს უწვავდა, იმიტომ რომ სამშობლოს ანშეუმომავ მხოლოდ ჭირსა და უკუდმართობას ხედავდა და მომავალშიც სანუგეშოს არაფერს მოელოდა. სამშობლოს ბედი მარად მისი დარდი და საზრუნავი იყო, მისი გადამიტე ფიქრი ყოველთვის, კველგანდ და ყველასთან სასაუბროდ ესა ჰქონდა: რა ეშველება ჩვენს საქართველოსაო?“ - წერდა დავითის თანამოაზრე და ახლო ნათესავი ალექსანდრე სარაჯიშვილი. (ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 8)

დავითმა სიცოცხლეში საქველმოქმედო მოღვაწეობა არ იკმარა და ანდერძით უკვდავყო თავისი სახელი და შეიძლება ითქვას, სიკვდილიც დათრგუნა. ანდერძის საეთხები შევეხები.

1910 წელს დათიკოს (ასე მიმართავდნენ მას ილია, აკაკი და სხა მოღვაწები-ნ.ს.) სწორი ნაწლავის კიბო დაუდგონეს. თავდაპირველად მას ახლობლები ამ ამბავს უმაღლავდნენ, თუმცა დავითს გაუსაძლოის ტკივილები ჰქონდა და კარგადაც ხვდებოდა, რომ მას „ზეციური საქართველოს“ შვილები უკვე ელოდნენ. სარაჯიშვილების ახლობელი, ნინო მაჭავარიანი იგონებს, რომ ეკატერინები ფორაქიშვილი ყოველდღე დაღიოდა მამადავითის ეკლესიაში და მუხლმოდრეკილი ლოცულობდა. ხშირად უწვევდა საზღვარგარეთ ყოფნა, განსაკუთრებით კი გერმანიაში. ძირითად ისახავი იყო სარაჯიშვილის ინტერესი, რომ ეკატერინები ფორაქიშვილი ყოველდღე და რეცენზია იმსახურების ინტერესი 1910 წლის მაისის ბოლოს იგი საოპერაციოდ გაემზარება.

რათა შერკინებოდა დაავადებას, რომელიც დღესაც ბევრ ადამიანს ამარცებს. საქართველოდან გერმანიაში წავიდნენ - დავით სარაჯიშვილი, მისი მეუღლე ეკატერინე ფორაქშვილი-სარაჯიშვილისა, ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, (და არა პეტრეს ძე სარაჯიშვილი, როგორც ზოგიერთი ისტორიკოსი წერს.), ანდრო მამაცაშვილი და მისი მეუღლე ნინო მაჭავარიანი. როსტოკში დავითმა, ყველასგან ფარულად, ალექსანდრე სარაჯიშვილის თანდასწრებით ნოტარიუს ვასილი ტიმოთეს ძე ცეტკოვთან თავის ანდერძს აფიციალური სახე მისცა. ოპერაციაში წარმატებით ჩაიარა და ერთი წლის შემდეგ, კიდევ ერთი ოპერაციისთვის იგი კვლავ უნდა სწვეოდა გერმანიას. დადგა 1911 წელიც, მისი მდგომარეობა საშინალად გაუარესდა, რის გამოც იგი სასწრაფოდ გერმანიაში წაიყვანეს საპერაციოდ, თუმცა გართულებული მდგომარეობის გამო კონსილიუმმა მაპერაცია მიზანშეწონილად არ ჩათვალა და ისევ საქართველოში დააბრუნეს სპეციალური გაგონით, ვინაიდნ ყველაფერი უშედეგო იქნებოდა. გარდაცვალებამდე მან საქართველოში სულ რამდენიმე დღე და დაჟყო. სულთმობრძაგას დღე-ლამებში სამი მორიგე ექიმი ადგა თაგზე. ანდრო მამაცაშვილს მოგონებებში კარგად აქვს აღწერილი დავითის უკანასკნელი დღეები: „დღე და ღამე ფეხზე ვიყავით ყველანი. აუარებელი ხალხი მოდიოდა მის სახახავად, მაგრამ მათვის ეკატერინეს არ ეცალა. იგი პირქე დამხობილი იყო, სულ ქვითინებდა, დავითი კი მწარე წუთებს ითვლიდა. განსაკუთრებით წუხდა უკანასკნელ ორ დღეს. მთელი ხმით ღრიალებდა. წემსებს უკეთებდნენ, ცოტა ხანს დაწყნარდებოდა და ისევ დაიწყებდა საშინელყვირილს. 1911 წლის 20 ივნისის ღამეს მას სარკოზი გაუკეთეს და რამდენიმე საათში გარდაცვალა კიდეც.“

მის გარდაცვალების ამბავს არა მარტო ქართულ, არა-ამედ უცხოურ პერსაპიც დიდი გულისტყოფილით შეხვდნენ. სომხერ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ლიტვურ (დღე-ვანდელ დღეს უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით - „ლიტუურუ“ - ნ.ს.) გაზეთებში იბეჭდებოდა გამოსათხოვარი წერილები, შტრიხები მისი ყოველდღიური ცხოვრებიდან, მისი ხასიათის სხვადასხვა თავისებურებანი. ავტორები დიდი გულისტყვილით ეხმანებოდნენ ღირსეული ადამიანის დაკარგებას. მაგალითად, გაზეთი „ქველი საქართველო“ წერდა - „წლევანდელი წელი ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში უბედურ წელინადად უნდა ჩაითვალოს, მით რომ დავკარგეთ ისეთი უდარო მოღვაწე, როგორიც იყო დავით სარაჯიშვილი. (ძევლი საქართველო, გვ. 8)

პანაშვიდებსა და დაკრძალვის ცერემონიალის დროს უამრავი მაშინდელი მოღვაწე და წარჩინებული პირი გამოიდა სიტყვით. მთელ ამ მოვლენებს კი წათლად ასახავს სიტყვები, რომელიც ეპისკოპოსმა ლეონიდემ წარმოთქვა სიონის ტაძარში. - „რითა სამგლოვიარო ეს დიდებული სანახაობა, სადაც უმწევე ქვრივი და ბერავი ობოლი, წელში გახრილი მუშა და საცოდავი გლეხი, სახელოვანი სოვდაგარი და უბრალო მეწერილმანე წოქართან ერთად, მოსწავლე, მასნავლებელი და დიდებამოხვეჭილი პროფესორი, მოქელე და მოქალაქე, რუსი, ქართველი, სომეხი, ოსი და მუსულმანთა ერები სულით და გულით შეერთებული, თავს ევლებან ამ ბრწყინვალე კუბოს და არ იციან, ვინ ვის აჯობოს მიცვალებულისადმი პატივისცემის გამოთქმაში!..“ (კრებული დავით სარაჯიშვილის სახსოვრად, 1911, გვ. 273.)

თავდაპირველად იგი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბოლშევიკებმა ნათესავებს მისი გადასვენება მოსხოვეს. 1939 წლის 20 ნოემბერს, თბილისის საბჭომ გასცა დოკუმენტი ადამ ფორაქიშვილისადმი, რომელშიც წერია - „პანთეონისთვის გამოყოფილ ნაკვეთზე უნდა დაკრძალული იქნან ის პირი, რომელთა მოღვაწებაც ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების დარგში ცნობილია. დ. სარაჯიშვილი და მისი მეუღლე კი, რადგანაც არ ეკუთვნიან აღნიშნულ კატეგორიას, პანთეონის ნაკვეთზე დატოვებულთა სიმი არ არიან. ამიტომ, გვეალებათ, დ. სარაჯიშვილის და მისი მეუღლის ნეშტი გადაიტანოთ სხვა სასაფლაოზე 10 დღის ვადში. პანთეონის დირექტორი ივ. ენიეოლოფაშვილი.“ ამის შემდეგ, დავითი და თავის მეუღლე ვაკის სასაფლაოზე განისვენებდნენ. 1995 წელს კი ამ ორი ადამიანის ნეშტი, შეიძლება თიქვას, რომ სამართლიანად დაუბრუნდა ღირსეულ ადგილს და ისინი დაკრძალეს ქაშვეთის წმ. გორგის სახელობის ეკლესიაში, რომლის აშენების ხარჯებიც დავით სარაჯიშვილმა გაიღო.

ახლა კი ანდერძის შესახებ, რომელიც ცხმირად ქვეყნდება სოციალურ ქსელში და რომელიც, არ ეკუთვნის დავით სარაჯიშვილს.

საქმე ისაა, რომ ინტერნეტ-სივრცეში გავრცელებული ანდერძი ეკუთვნის ეყატერინე ფორაქიშვილს (ამ ანდერძს ხშირად აზიარებენ სხვადასხვა უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლებიც), დავითის მეუღლეს, რომელმაც იგი 1916 წელს შეადგინა და მისი განსვენებული ქმრისა არ იყოს, ისიც უხვად გასცემს მის ხელთარსებულ ქონებას. წუთუ, არც ერთ შურნალისტს და მით უშეტეს ისტორიკოსს არ დაება-და კითხვა, რატომაა ანდერძი 1916 წლით დათარიღებული, როცა დავითი 1911 წელს გარდაიცავა? საქმე ისაა, რომ დავითის ანდერძი არაა გამოქვეყნებული, რაც ამ უზუსტობის ერთ-ერთი მიზეზია. მთავარი მიზეზი კი საქართველოში გაბატონებული ეროვნული და გონებრივი ნიპილიზმია. ანდერძის ზოგიერთ მონაკვეთი ზემოთ აღნიშნულ დისერტაციაშიცა მოყვანილი, თუმცა რუსულიდან თარგმნის დროს, აშკარად შეცდომებია გაპარული და ზოგიერთ მომენტში, დავითის აზრის რადიკალურად განსხვავებულ ვერსას წარმოადგენს. უახლოეს მომავალში, გადაწყვეტილი მაქვს, ანდერძი სრულად დათარგმნო და გამოვაქეყნო.

ქვემოთ მოყვან დავით სარაჯიშვილის ანდერძის შემოქლებულ ვარიანტს, რომელიც რუსულ ენაზე შედგენილ 1910 წლის 3 ივნისს, ქალაქ როსტოკში, ნოტარიუს ვასილი ტიმოთეს ძე ცეტკოვთან.

მე, დავით ზაქრიას ძე სარაჯიშვილი, მყოფი ჯანმრთელ გონებრივ მდგომარეობაში, ჩემი სიკვდილის შემთხვევაში -

1. ჩემს საკუთრებაში მქონე უძრავ ქონებას, კერძოდ სახლს სერგეევის ქუჩაზე, თავისი მიწის ნაკვეთით, ვუადერძებ ჩემს საყვარელ მეუღლეს, ეკატერინე ივანეს ძე სარაჯიშვილს, რომლის გარდაცვალების შემდეგაც ეს ქონება უნდა გადავიდეს კანონიერ მეტვიდრების კუთვნილებაში.

2. ასევე მოელი ქონება სოფელ დილოში, შემავალი ტფილისის მაზრაში ვენახითურთ.

3. ასევე, უძრავი ქონება გორგის ქუჩაზე, სადაც მდებარეობს არყის ქარხანა, მშენებლობაში, სახდელი აპარატურა და აგრეტვე ირსართულიანი სავაჭრო წერტილი, აგრეტვე

ვაძლევ წილს ჩემს ახლობელს დავით და სიმონ ფორაქოვებს, ვაძლევ აგრეთვე წილს ეგზარხოსის ქუჩაზე ჩემს საყვარელ დებს, აგრეთვე აგრაქს, რომელიც მდებარეობს სიღნაღის მაზრში, სოფ. ბაკურციხეში, ყურძნის ბალით ვუანდერ-ძებ ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილს (ამ პიროვნების იდენტობის დადგენა სამომავლო კვლევის საგანია და სა-ვარაუდოა, რომ გაპარულია ტექნიკური შეცდომა, ვინაიდან მთელი მოღვაწეობის მანძილზე, დავითს მხარს უმაგრებდა ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილის მოსხენება კი კითხვებს ბადებს. ალექსანდრე პეტრეს ძე მუსიკოსი, ვანო სარაჯიშვილის უფროის ძმა იყო.), თავად ვაჩინაძეს მიეცეს უძრავი ქონების ნაწილი სიღნაღის მაზრაში და დაჩის ნაწილი წოდორეთში. აქედან გაყიდული თანხის ნაწილი მიეცეს ქართველთა შორის წერა-კითხვისგამაცრცელებელ საზოგადოებას ქართული მუზეუმისა და რუსეთის იმპერიაში შემავალი სასწავლებლის სტუდენტებს. ასევე საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტებს. ყველა დანარჩენი ქონების ნაწილს ფაპრივებს, ქარხნებს, სახლებს, მიწას და სხვა დანარჩენ მოძრავ ქონებას ვუანდერძებ ჩემს მეუღლეს ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილს.”

ამის შემდეგ კი დავითი პირდაპირ ჩამოთვლის, თუ რომელ დაწესებულებას რა ოდენობის თანხა უნდა გადაეცეს. აი, მაგალითად - ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას მან 25 000 მანეთი დაუტოვა, განათლების საზოგადოებას პროფესიული სკოლების დასაარსებლად - 50 000 მანეთი. ქალაქ ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას და აგრეთვე ქალაქ ქუთაისს თეატრის ასაშენებლად - 40 000 მანეთი, მცირენლოვან დამნაშავეთა ახალშენს - 10 000 მანეთი, ქალაქ თბილისის სადასტაქრო საავადმყოფოს შენობის ასაგებად - 200 000 მანეთი და ა.შ. მან აგრეთვე გარკვეული თანხა უანდერძა მის მეგობრებსა და ახლობელებს, რაც მთავარია, მას არ დავიწყებია არც ერთი მუშა და ანდერძში ხაზგასმითა შენიშნული - „ვალ-დებულიაჩიმიცოლი, ეკატერინე ივანეს ასული სამი წლის თავზე ყველა ჩემს მუშას, ხელოსანს რომლებმაც იმსახურეს ჩემთან არაუმეტეს ორი წლისა მიეცეთ 25 მანეთი“. ანდერძი სულ 9 ფურცელია და მისი სრულად მოყვანა აქ არ იქნება მართებული, სტატია კი მინდა ივანე მაჭავარიანის სიტყვებით დავასრულო: „კაცი იყო შრომითა და მოყვასთა სიყვარულით სრული, ქვეყნის სიყვარულით ძლიერი! განა ასეთი ძლიერებით აღჭურვილს სიკვდილი მოერევა?

სიკვდილი მცონართა ხვედრია, რომელთაც სიცოცხლე კუჭის ტრიფიალებაში დაულევითა და ქვეყანა, ქვეყნის ბედი ფიქრადაც არ მოსკვლიათ. აკი შესჭამეს მამა-პაპული წმინდა განძი!

სიკვდილი მცონართ, რომ თუ არ ზიზლით, აღარავინ მოიხსენების!

ეს კი კაცი იყო, ქვეყნის სიყვარულით განათლებული! გაჭირებულს, დაბეჩავებულს ქვეყანას ემსახურა, მანამ შეეძლო და ახლა... ახალლამპრად აენთო მწერლში მყოფ სამშობლის, სასონარკვეთილ მშრომელ ხალხს კვლავ გაუღვიძა თითქმის ჩამქრალი ძველი იმედი: - „გმადლობ, შენ ღმერთო, კიდევ ჰყოლია ჩემს ქვეყანას ერთგული შვილი!“

აქ სიკვდილს რა ხელი აქვს?

აქ მიცვალებაა, ე.ი. უკვდავება.“ ქრებული დავით სარა-

ჯიშვილის სახსოვრად, 1911, გვ. 11.)

ნინო ბაქანიძე

## საციფრო თავმჯდომარეობის დასასრული

1941 წლის 7 აგვისტო

— ნეტა, სად არის ამდენ ხანს ექიმი? რად იგვიანებს? — შეწყოთებული ელისაბედ ერისოთავი ფანჯროდან გასცეკრის ქუჩას. — უკვე ხუთი შესრულდა... როდის ჩვენ გაყაგები- ნეთ... მაინც, რა უცბად დამძიმდა ევ საპრალო....

— ნუ დაემდურები, დაიკო. შენც იცი, მთელი დღეები  
ამ გაგანია სიცხვეში ერთი პაციენტიდან მეორესთან დარბის.  
ეჱ, გინდ ემ საათშიც მოვიდეს, ალარა მგონია, მძას რამე  
ეშველოს... — ნინო ერთსთავი—ქობულაშვილისა მაღლულად  
იწმენდს ცრემლებს. — მოსცილდი მაგ ფანჯარას, დაიკო.  
სკოლს, დაგხედოთ, ეგებ შეიღვიძა...

—არა, ეხლა ვნახე, ჯერაც სძინავს, ნუ შეაწუხებთ. —  
ოთახში თეკლე შემოდის და გაქცავებული სახით შესცეკრის  
დებს. — თქვენი ლოდინიც ფუჭია, სკობას, მიბრძანდეთ,  
მოისცებოთ. საცაა ჩეცნებიც მოვლენ. თუ... თუ საჭირო შეიქ-  
ნა, გაგაგებინებთ. — თეკლე მაგიდაზე უწესრიგოდ მიმო-  
ფანტული წამლების შეგროვებას იწყებს, თითქო დაუპატი-  
უებელი სტუმრების პასუხი არც აინტერესებს.

— კარგი, ნავიდეთ დაიკო, ნულა შევაწერებთ ხალხს. —  
შემცდარი ნინო ხელს ჰქვევს ელისაბედს, რომელიც კელავ  
ჯოუტად განაგრძობს ფანჯარაში ცქერას. ნინო უხერხულად  
იშმუშნება.

—მაინც ვერ გამიგია, რა ხანია, ესე გრძელდება და ვანიჩეკამ რით ვერ შეიძლო მაშას განკურნება? კინ მისთვე-ლის, რამდენი ადამიანი ჰყავს გადარჩენილი ამ ჩვენს ივანე დემურიასა? ან აქამდე როგორ მიყვანა საქმე?! არა, უნდა უშეველოს მარიამს, სხვაგვარად შეუძლებელია! — თავისთ-ვის ბუტბუტებს ელისაბედი.

—ფუჭდ ნუ დაიმედებთ თავს, — ცივად ეპასუხება თეკლე — დააგნოზი უტყუარია. უ ნებ რამიჯოება მისა და ამას ალარაფერი ექველება. აქამდინაც თუ იცოცხლა, ეს სწორებ ვანიჩ, კა დამსახურდა.

მეორე ოთახიდან ყრუ კვნესა და საწოლის ჭრიალის ხმა  
მიიღების.

— აგვ., გაპლიიქბია მარიამსა, — ელისაბედი უმაღლ შორდება ფანჯარას და გაჩქარებით მიეშურება ავადმყოფის ოთახისაკენ, მაგრამ ოკელე წინ გადაუდეგება. — მოითმინე, ჯერ მე შევალ, დავხედავ, — წამლებიც უნდა მიუცე. მერე ვნახოთ...

ნინო კვლავ ხელს ჰევეეს სახტად დარჩენილ დას — წამო, ელისაბედ, გაანებე თავი. ხომ ხედავ, როგორი გაღი-ზიანებულია.

—რა ვქნა, დაო, მაშას უნახვად აქედან ფეხს ვერ მოვ-იცვლი. შენ წადი, რაკი არ იძლი. ექიმს მაინც დაველოდები. იქნებ რას იტყვის?

—საოცარია, — მხრებს იჩეჩავს ნინო, — მე და შენ, აბა, რამდენი წელია, თეკლე აღარ გვინახავს. როგორი შეცვლილ-ია.

—ରାମଦେବ ଓ ଲାମିଳ ଉପର୍ଯ୍ୟାମାତ୍ର — ପାଶୁକୋଳ ଗ୍ରଣିତାଙ୍କେ-  
ଦ୍ଵୀପ — ଅତିଥି ଗାନ୍ଧୀଜୀ, ରାମଚନ୍ଦ୍ର ମେ ଓ ଶେଖ ମାତ୍ରାମ ସାନାବୁଗାନ୍ତ ମହ-  
ଦ୍ୱାରା ଉପର୍ଯ୍ୟାମାତ୍ର କରାଯାଇଛି ।

— საპრალო მარიამი, — ობრავს ნინო, — ან რა იყო

ମାଘିସି କ୍ରେଗ୍ରେଡା?! ତୁମି ଶୁଣ୍ଟିଲାମ ତାଙ୍କିସି ଫର୍ମିପ ଦା ଜାନ-  
ନ୍ତି କମିଲାମ୍ବେଦ୍ୟଶ ଶ୍ରୀଲାଭା. ଆହ, ରା କ୍ଷେତ୍ର? ମାଘିସି କମାମ ଦାକ୍ତରା  
ଝେଣ୍ଠ ଦା ନ୍ତାପିଦା ଝାକୋନିଦା. ଲମ୍ବରତମା ଗାନ୍ଧାରାଲୋକ ହିନ୍ଦେନି  
ଶାଖିକୁ. ରମ୍ଭାର ଦ୍ୟାନ୍ଦଗା ମାନିନାଟଙ୍ଗେ ଗ୍ରେନାରିଶି ମାନିଲା. ଏବ୍ରମିର୍ଜ-  
ଣି? ପ୍ରମାଣେ—କ୍ଷମାରମା କ୍ଷେତ୍ରି ଦାକ୍ତରେ ଲଳିବାରିଛା! ରନ ମନ୍ତ୍ରିକାନ୍ତିର  
କୋଲମ୍ଭେ, ମାରିବାମିଶ ବାନ ଅର୍ପ ଉପାଲା ହିନ୍ଦେତିବୁବି. ରାଜ୍ଞି ଦାକ୍ତରେବେଳିତ  
ବାରମ୍ଭେମନରତ୍ୟପମ୍ଭୁଲ, ଅମ୍ବରାଦନ୍ତେବ୍ଦା, ଅରିଗ୍ରେବ୍ଦା, ତାଙ୍କିସି କୋଲିତ  
ଶ୍ଵେତପଦ କୋଣେତ. ହିନ୍ଦେ କି ବିଳିକ୍ଷେତ୍ରିତ ଅଥ ତାଙ୍କାମିଲା ଦା ବିନିମ୍ୟେ  
କୋଲିତ ତୁ ଶେମିଗ୍ରାଗିଥିବାନିଦା ହିନ୍ଦେତିବୁବି, ବିନିମ୍ୟେ ତୁମିଲାମ୍ବେଦ୍ୟଶ,  
ମନ୍ତ୍ରିକାନ୍ତିର କୋଲିତ. ବାନ ଶ୍ଵେତପଦ ବିରା ବନ୍ଦାବନିଦାତ, ବିନିମ୍ୟେ ଏକାନ୍ତେବ୍ରାତା.

—სწორედაც, სად არან ნეტა ამდენ ხანს სტაზია და  
თამარი? — ბრაზობს ელისაბედი, — ეგენი მაინც იყვნენ აქა,  
თეკლეს რომ შეატოვეს საბრალო.

—მოვლენ, აპა რას იზამძე?! — ანუგეშებს ნინო, — არც სტაზიაა უკეთეს დღეში. ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც ქმარი დაკარგა. მაგას კი არა, მგრინი მთელ საქართველოს ჯერაც ვერ გაუცნობირების ხერიანად ვინ დაკარგა ივანე ჯავახიშვილის სახითა. ეჲ, საბრალო ანასტასია, რალა არ გადაიტანა, ან როგორ უვლიდა იმ გაჭირვების ნლებშია... პოდა, რა გასაკვირია, თუ ჯერაც ვერ მოსულა გონის! — ელისაბედი მდუმარედ უქნევს თახს. — მით უფრო, თეკლე-საც უნდა გაფუგოთ, — განაგრძობს ნინა, — მაგანაც ჯერ მეუღლე დაკარგა, მერე უფროსი ვაჟი დაუხვრიტებს... არ გაემტყუნება, აღარა აქვს გულის ადგილი.

—ჰო, კიტას დაკარგვაც დიდი დანაკლისი იყო ოჯახ-ისთვისაც და მთელი საზოგადოებისთვისაც, — უდას-ტურებს ელისაბედი. — სამაგლითო პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გახსრდათ კიტა აპაშიქ, ღმერთმა გაანთლოს იმქვეყნად ეგეცა და საბრალო გიც. მაინც, რა დაუნდობლად დახვრიტეს ჭალათებმა ოცდაათში... ღმერ-თო, მაინც რა საშინელი დრო იყო...

— საოცარი პიროვნება იყო, დაუდგრომელი. რა ვიცი, სხვა რა ვთქვა... კი შესწირა თავი ეროვნულ—დემოკრატიულ იდეაბსა და... — ამითოხრებს ნინო — სულ უშედეგოდ ფრჩად...

— მაგრამ თეკლე მაინც სტყუის თავისიანებთანაც და ჩვენთანაც. შენ კი გინძა, გაამართლო, — სიტყვას ართევს ელისაბერი. — თუმჯა... .

— გეფუნს, ელისაბედ, არ გაგვიგოს. — შექმოობული  
ნინო მეორე ოთახისაკენ აპარებს თვალს. — მაშ მე წავალ,  
დავითი, უეჭველია, უკვე მელოდება, საქმე ჰქონია რაღაც  
სასწრაფო ჩემთან... შენც იგივეს გირჩევ.

—არამც და არამც! — ელისაბედი დემონსტრატორულად ჯდება სავარეკლში — მე და მაშტეტყას ერთად გაგვიტარებია ქმაწვილქალიბა. მთელმა მაგისმა ცხოვრებამაც ხომ სულ ჩემ თვალინონ გაიარა და ამ სავალალო წეუთხში ვერ მივა-ტოვებ. მერე როგორდა ვაპატიონ საკუთარ თავსა? — ელის-აბედი ქვითინებს. ნინო მზუხარედ შესცექრის დას — კარგი, ელისაბედ. ტიროლით რას უშვილო?

—როგორ არ ვიტირო, და? მანც რა უბედურ ვარსკვლავზე გაჩნდა ეს უსათონესი ადამიანი? ამხელა ამაგი არავინ დაუფასა. აქეთ თეკლე ამადლის თავს. იქით სტაზიაა უბრად. განა ასე შეიძლება?

— ამაზე ლიად არსაფროს გვიღაბარაჯნია, მაგრამ შენც ხომ იცი სიმართლე?! — მკაცრად ეპასუხება ნინო. — მარი-ამმა თამარს რომ დაუმტკიცა სახლი, აქაოდა, არ გათხო-

ვდაო, ეგ ეწყინათ დანარჩენ ძმისშვილებს. განსაკუთრებით ანასტასიას, რაյო ბოლოს ჯავახიშვილები აცხოვრებდნენ მარიამსა. ჰოდა, რა გიკვირს?!

—ისა, რომ მთელი თავისი დღე და მოსწრება ჯამპა-კურ—ორბელიანები გადაყოლილები იყვნენ ჯავახიშვილებ-ზეც და აპაშიძებზეც. — ბრაზობს ელისაბედი. — განა ივანეს ძმაც და დედაც მაგათათ არა ცხოვრობდნენ გინდ სოფლად, გნდ ქალაქად? განა მანდ არ დაზარდა ყველამ უკლებლივ თავიანთი შეილები?!

—მაშინ ისიც გაისხენ, რა მადლინერები იყვნენ ივანეცა და მაგის ძმა გორგიც. — ეპასუხება ნინა — სულ იმას გაიძახოდნენ: „ბიძია საშიკო მამასავით გვიყვარსო“, მარიამზე ხომ ნუ იტყვი! გახსოვს განა სერგო ორჯონიძეს რო ეთქვა ივანესათვის, ეგ ჩემი პრედსედატელნიცა იყო სათა-აგადაზნაურო სკოლაში და დიდ ამაგას სწევდა ყველაზედა, ეხლა პემსა მინდა დავუნიშნოო. ივანეს კი უპასუხნია: „ვიდრე მე ცოცხალი ვარ, მაგას არავერი მოაკლდება“. ჰოდა, ივანეს მერე ანასტასიაც ვალდებული იყო ეცხოვრებინა მამიდამისი, თუნდა ბინა არ დარჩენოდა.

—ამბობენ, თამარი კიდე თეკლეს ვაჟს, ვახტანგს უმტკიცებს ბინასაო. — სიტყვას ართმევს ელისაბედი. — მოკლედ, დებს შორის უთანხმოებაა, ვატყობ, ჯოხი კი მშეტაზე ტყდება. ჩემი საპრალო მარიამი... — ელისაბედი კვლავ ქვითანებს.

თახში თეკლე შემოდის. — აქამდე სულ შფოთავდა. წამლების მიღებაზე უარს ამბობდა, ძლივს დავაწყნარე, მე კი სიქა გამძერა და..., აღარ ვვარგივარ... ეხლა ცოტა ხნით შეგიძლიათ, ინხსელოთ. — თეკლე ოფლს იწმენდს ხერხშით — დაუინებით კითხულობს ელისაბედს.

—კარგი, მაგ მე დაგტოვებთ. ზედმეტად აღარ შევაწუხებ ავადმყოფს. ელისაბედ, უთხარი მარიამს, რომ ვიყავი აქა და ჩემგან მოკითხვა გადაეცი. — ნინო თავს უკრავს თეკლეს და მიღის. თეკლეც ფეხდავებ მიჰყება. — სამზარეულოში გავალ, ჩაის მოვარდაზე და მამიდას, ვიდრე შენ იქნები მასთან. — მიაძახებს ელისაბედს.

თოახი ნახევრად ჩანებლებულია. აფისტოს ხვატისაგან დასაცავად ფანჯარაზე საგულდაგულოდ ჩამოუფარებიათ სქელი ფარდები, ფართო საწოლზე ძლივს ილანდება ავად-მყოფის სილუეტი.

—მაშუტკა, ეს მე ვარ, შენი ელისაბედი... გლვიძავს, მაშა?!

მარიამს დიდი ხანია, ღვიძეს. სადლაც, ყრუდ დები-სა და თეკლეს ხმებიც ჩაესმოდა, მაგრამ ვერა და ვერ გა-მორკვეულიყო ზმინებებიდან. რატომძაც უნებლივით ნიკოლოზ ბარათშვილის ერთი ტაქი აჲკვასტებოდა: „..., მაგრამ ვერ სცნობენ გლას მოკვდავნი განგბას ციურს!“

როგორც ჩანს, კეთილშობილ ქალბატონს, დიდებულ საზოგადო მოღვაწეს მარიამ ჯამბაკურ—ორბელიანს აღარ სურს აწყისობი დაბრუნება... მარიამს ახლა მამა წარმოუდება თვალინი, ოღონდ რატომძაც ისიც სასიკვდილო სარეცელს მივაჭულო. მკაფიოდ ჩაესმის ყურში ვახტანგ ორბელიანის სასოჩარკეთოლ ხმა, ისიც ლექსის ნაწყვეტს რომ იმეორებდა გამუდმებით პუშკინიდან: „И между тем, как все вокруг / В несумнои here утопает...“ ჰო, „ბაღჩისარაის შადრევანი“ ყოველთვისაც განსაკუთრებულად უყვარდა, — ფიქრობს მარიამი და გაჭირვებით ახელს თვალებს. მომაკვდავი ახლა

ხედავს, მოშორებით როგორ იკვეთება ახოვანი მამაკაცის ლანდი, ეს მამა არ არის, არც მეუღლეა, მისი ცხოვრების უერთგულესი მეგობარი, პრეწინვალე თავადი ალექსანდრე ჯამბაკურ—ორბელიანი. ეს... ეს ხომ პეტრე გრუზინსკია... ძლივს, როგორც იქნა... — ავადმყოფს სახე უცისეროვნდება, — ვიცოდი, ბოლოს მაინც მოხვილდი, მნახავდი...

—ნინოც აქ იყო, მაშუტკა, მაგრამ დიდხანს გეძინა, აღარ შეგანუხა და უკან გაბრუნდა. მოკითხვა დამაბარა შენთან.

მარიამი მოუღი ძალით ცდილობს საწოლში წამოჯდო-მას, შფოთავს, ხელებს უმისამართოდ იქნევს.

—ჩემი ძვირფასო, სანატრელო, როგორი მადლობელი ვარ შენი მოსვლისთვის, რომ იცოდე...

—მაშა, საყარელო, ეს მე ვარ, ელისა...

—გიცანი, განა არა, — მარიამი კვლავ საწოლში წამო-ჯდომას ლამინბს, — ძალიან ბერელა აქა. ფარდა გადასწიო, ჩემი სიახარულო, მინდა, ერთხელ კიდევ დაგინახო...

დაპნეული ელისაბედი ფარჯრისაკენ მიეშურება, მაგრამ ამ დროს მარიამი მოწყვეტით ეშვება საწოლზე. ელისაბედი მისკენ გარბის და ავადმყოფის გალეულ, უღონო სხეულს ეხუტება.

—მაშა, ეს მე ვარ, ელისაბედი.

მარიამი ერთხმად მოდის გონიზე.

—გიცანი, ელისაბედ, მომეურა თუ ნინოც იყო აქა?

—ჰო, დილიდა აქ იყო. ეხლა წავიდა.

—მერედ, რად წავიდა ჩემი უნახავი? იცი, ეს წუთში პეტიკაცი იყო აქა. ეხლა ველარა ვეხდავ. ისიც წავიდა?

—არა, არ წასულა, მეორე ოთახში გავიდა მცირე ხნით.

—გაუბედავად პასუხობს ელისაბედი.

—შენზე კარგად ვინ იცის, ელისაბედ, ჩემი გულის მე-საიდუმლევ, ჩემი და პეტიკოს ამბავი, — მისუსტებული ხმით განაგრძობს მარიამი. — ყველაფრის მერე, არც მეგონა, თუ მოვიდოდა.

—ჰო, მაგ თქვენმა პლატონიკურმა სიყვარულმა მართლაც სულ ჩემ თვალინი გაიარა, — ელისაბედს უნებლივით ახსენდება თეკლეს სიტყვები: „У нее размножение мозга“, — ღმერთო. პეტრე ხომ თითქმის ოცი წელია, რაც გარდაიცვალა. ამ საპრალოს კი ჰერნია... — ეეჲ, რაც მე და მეორე მაშა იმ ხანებში დავრბოდით ეკლესიებშია, სანთლებს ვანთებდით, ვლოცულობდით, რომ თქვენ შორის რამე შეუფერებელი არ მომხდარიყო — მიუბრუნდება ელისაბედი მეგობარს.

—აბა, რომელ მაშაზე ამბობ? — გაოცებებს მარიამი.

—მაშა შერვაშიძეზე, ჩემი დის, ნინოს მულზე. აღარ გახსოვს, განა? შენ დიდ მაშას გეძახდით, იმას კიდე პატარა მაშასა. რა იყო, სულ ერთად არ ვიყავით? განა უცხოეთში ერთად არა ვმოგზაურობდით? ნუთუ აღარ გახსოვს ეს ყველაფერი, ჩემი კარგო?

—მახსოვს, როგორ არა, — მისუსტებული ხმით პა-სუხობს მარიამი, — ეგ დრო კარგადაც მახსენდება და მნარედაც.

—კარგი მანც მეტი იყო, — ოხრავს ელისაბედი და მზრუნველობით უსწორებს ქვემაგებს ავადმყოფს. — ერთხელაც, ზაფხულში, კარალეთში ვიყავ ჩემნებთანა, შენი საშიკო რო ამოვიდა და დედაჩემს შეეხვენა, შენთან ერთად გავეშვი მოგზაურობაში სამი თვითა. უნდოდა. გასცილებო-დი აქაურობას, გულიდა გადაგეგდო ის ულირსი ადამიანი,

გარიდებოდა ყოველგვარ უსიამოვნო მითქმა—მოთქმას. კარგად მახსომის, ეს იყო 1885 წელსა. არც კი ველიძი, ისე ადვილად დაიყოლია ალექსანდრემ ცხონებული დედაჩემი ქეთევანი. ჰოდა, ჩვენც კარგი დროსტარება და მოგონებები შეგვრჩა...

— კარგიც, მნარეც... — ისევ თავისას ჩურჩულებს მარიამი, მაგრამ არც ელისაბედი ყრის ფარ — ხმალს, ძალისხმევას არ იშურებს, როგორმე მოაგუნდებოს ავადმყოფი. — გახსოვს, მაშა, რარიგ ბრაზონტდი, ვენაში რომ რასმე შევიძენდით მაღაზიაში და გამყიდველი კიდე მადლიერების ნიშნად ხელ-ზე გვეამბორებოდა ხოლმე. იტყვიდი შენა, ამ შუაგულ ვერო-პაში თავისუფალი, ბედნიერი ხალხი ცხოვრობს და ეგრე რად იმცირებენ თავსაო!..

— კარგი მეულლე მყვანდა, ჩემი საშიკო... — ელისაბედს კვლავ მარიამის ჩურჩული აწყვეტინებს სიტყვას. — მართლა თავდავინწყბით უუყვარდი, ყველაფერი მაპატია. აგე, აგე, ვხედავ, განა არა?! წელან მმა იყო სასიკვდლო სარეცელ-ზედა, ეხლა საშიკოს ვხედავ. საცოდავები? მე რა მიქირს? აღარაფერი მანუხებს, მალე ავდგები. მაგათ კი დასტოვესეს ცოდვიანი წუთისოფელი... იცი, ელისაბედ, ეხლაც იგივეს მეუბნება საშიკო, სიკვდილის წუთებში რა სიტყვებითაც გამომეთხოვა. არ გეუურება, განა? კარგი, მე გაგიძეორებ მაგის ნათევამს: „რაც შეგცოდე, შემინდე. შენსავით არავინ მყვარებია ჩემ სიცოცხლეში. მარტო ჩემი ცოლი კი არ იყავი, ჩემი სიამაყე იყავი, ჩემი ცხოვრების ვარსკვლავო“ — მარი-ამი უღიონდ ტრირის.

—ჰო, ძალიან უყვარდი საშიკოსა. ოღონდ ისიც გეხსომექ-  
ბა, მუდამ ზედმეტად ეჭვანი რომ იყო შეწს მიმართ, მით  
უფრო, თუ სასმელს დალევდა. — ელისაბედი ნაძალადევად  
კისკისებს. — თუმცა არ ც გაემტყუნებოდა. გათხოვლი იყვა  
და მაინც რამდენი თავვანისმცემლი გყვადა. რამდენი გე-  
ვერებოდა, გაანება თავი ქმარსა და მე შეგირთამო...

— პეტიკო არ მეცვენებოდა! — მარიამის ხმა უკრალ  
მკაფიოდ მოისმის — ის იყო, ერთხელ რომ მომწერა, ან  
ქმარს დასცილდი, ან ურთიერთობა უნდა შევწყიგილოთ.  
ეგრე ცხოვრება მეტი აღარ შემიძლიან და ოჯახს უნდა  
მოვეკიდოთ... — მარიამს აქ სიტყვა უწყდება და თვალდას-  
უჯული მიესვენება ბალიშზე, ელისაბედი უნდებლიერ შეკვეთ-  
ლებს. ამ დროს ოთახში თეკლე გამოჩნდება ექიმი ივანე დე-  
მურიას თანხლებით.

—რა იყო, გათავდა უკვე? — თეკლე საწოლს მივარდება და მარიამს დაუინტენით ჩასცერის. ექიმიც იქვე ჩამოჯდება და მაჯას უსინჯავს ავადმყოფს — მდგომარეობა უცვლელია, — უქმაყოფილოდ აქწევს თავს იგანე — სახუცეშოს ვერაფერს ვიტყვი.

—ეჱ, ან რად უნდა ასეთი სიცოცხლე?! — თევლე ფანკარასთან მიღის, ფარდებს გადასწევს. — ცოტა სინათლედა ჰერო მაინც შემოუვიდეს საბრალოს, მზე უკვე გადავიდა... ეჱ, რად უნდა ასეთი სიცოცხლ მაგისტანა ქალსა...

— რა ვქნა, თეკლე, ჯერ თვალები მიხელია და აბა, რა შემიძლია? — უცრად გამოეპასუხება მარიამი. ელისაბედი ბრაზით ტუჩებს იკვნეტს. მერე თავშეეავებით მიმართავს იქნებას:

—ມາສ້າ, ບ່ອນ ມັກ ອົງເບີ່ງ, ສ່ຽນ ມັດລວງວາຮົນ ມົມງວດກວາຮົນ? ພະຍາຍຸດ ແກ້ວມະນຸຍາແລ້ວ ກວດຫຼັກວ່າມີ, ຕ້ອງ ຮິ່ງມີສ ອະນາຄົມພູມຄູອົບວໍາຫຼື ບໍລິຫານ ມີທີ່ຫາຍາຮັດ ບ່ອນແມ່, ປຸ່ນກວດ ອົງເບີ່ງວ່າມີ.

“უნევს თაგვს. ელისაბედი საჩქაროდ მიღის. თეკლე და ივანე დემიტრია ითახის მოშორებულ კუთხეში განმარტოვდებიან და ხმადაბლა საუბრობენ:

— არ მეგონა, ასე მალე თუ დამძიმდებოდა. — სინანუ-  
ლით ჩურჩულებს ივანე. — დიდად ვწუხვარ, მაგრამ საშველი  
აღარ არის. არ ვიცი, სვალამდეც თუ გააწია.

— ეჱ, რას ვიზამთ, ჩემო ვანიჩქა, შენ ძალ—ღონე არ დაგიშურებია მაგის მოსარჩევად. — თავს აქვევს თეკლე.

—აფსუს, რა დიდებული ქალაჭტონი იყო. რა ძვირფასი ოჯახი ჰქონდათ მაგასა და ალექსანდრეს? მაგათნაირი

ქელმოქმედი და კეთილშობილი ხალხი ნეტა კიდე ბევრი გვყოლონდა. განსაკუთრებით ახლა, ამ ომიანობისა და გაჭ-ირვების უძმს. — ივანე მძიმედ ამოიოხერებს და განაგრძობს — განა თავის დროზედ როგორ ააყვავა ცოლ — ქმარისა ლა-მისყანა, ატენი, სულ საკუთარი ხარჯებით. ახლა როგორ ედგნენ გვერდში სახელოვან სიძეს, ჯავახიშვილსა, რამდენ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკაფეს გზა ევროპაში! — ივანე თითქო ეშმი შეკიდაო, გატაცებით განაგრძობს, — ამბო-ბენ, ცოლ — ქმარმა შეისყიდა ის მიწის ნაკვეთი, სადაც უნი-ვერსიტეტი აშენდაო, მართალია? — თეკლე მხრებს იჩეჩავს. — ახლა რამხელა თანხებს რიცხავდნენ უნივერსიტეტის ფონდში?! ეგც იცის საზოგადოებამ, ცყველაფერი იცის მაგა-თი ღვანქლის შესახებ... ჰო, იმასაც ამბობენ, თითქო მარიამს ჩამოეტანოს უნივერსიტეტის შენობის გეგმა შვედეთიდან...

— ის რა ოჯახია, საკუთარი შვილი თუ არ გეყოლება! — უცრად მკახედ ანკვეტინებს თეკლე. — მე არ უარვყოფ, რომ ჩვენზე, ყველა ძმისშვილზე, დიდი ამაგი გასწია ორივემ, მაგრამა... .

—ისევე, როგორც თქვენ და თქვენმა დამ თამარმა დიდი  
ამაგი დასდეთ ჩვენს ოჯახსა. — ჩაურთავს ივანე. — ამას  
კუმალდიდი მუდამ ცხონებულ დედაჩემსა, ეგრე ახლო რომ  
იყო ორბელიანების ოჯახთან.

—დედათქვენი მართლაც რომ სათაყვანო ქალბატონი გახდათ, — იღმის თეკლე. — განა მარიამ დემურიას ჟურნალ „ნაკადულზე“ არ დავზარდეთ ყველამ შვილები? დღესაც ხომ მაგაზე იზრდებან თაობები? განა ჩემი კატაც თქვენს ოჯახში არ გავიცანი? — თეკლე ოხრავს, სიტყვა უწყდება.

—თორემ თქვენ ნაკლები წვლილი გაქვთ ჩეცნს აღზრდა—განათლებაში! — აღტაცებით წარმოოქვამს იგანე. — თქვენ და თქვენი და თამარი დაგვსხსამდით მე და ჩემს და—ძმებს და შეგვასწავლიდით მრავალ საგანსა. მე თუ დღეს რასმე წარმოვადგენ, ეს თქვენი დიდი დამსახურებაა. — ივანი ხელზე ეამბორება თუკლეს.

— ჰო, ჩემი თამარი, ჩემი ატა, ნეტა გაუთხოვარი არ დარჩენილიყო ამ ჩვენი ელისაბედ ერისთავითა! — თეკლე გესლიანად ჩაიცინებს — რას ვიზამთ. მე და სტაზიაც აღრე დავქერძოვდით. ბედი არა გვქონია დებსა... მართლა, რად იგ-ვიანებენ ნეტა ქალები?

მარიამი კვნესის. იგანე და თექლე საუბარს წყვეტენ და  
მომაკვდავის სარეცელს უახლოოდებიან.

— მიბრძანდით, თეკლე, ცოტა დაისუენეთ. მე ვიქენები აქა — მზრუნველად მიმართავს ივანე. — ეხლა უკვე თქვენს თავზეც უნდა იფიქროთ. მეტისმეტად გადაქმნცული მეჩვენებით.

თეკლე ყოყმანობს და ერთხანს ორივე მდუმარედ დას-

ცქერის ავადმყოფს, რომელიც გამუდმებით შფოთავს და კერძების. მერე კი ერთაბაშად ჩატურდება. დროის შეგრძნებაც ქრება... თეკლე და ივანე ზეზურად თვლებენ...

კარზე აკაკუნებენ და ელისაბედ ერისთავს ოთახში შემოჰყავს სიონის ტაძრის მოძღვარი.

—მარიამ, შენი მოძღვარი გერვია, — ჩასძახის ელისაბედი მეგობარს. მარიამი ძლივსძლივობით ახელს თვალებს, რაღაცას ლულლულებს. მოძღვარ ავადმყოფის სასოფტმაღ-თან ჩამოჯდება და იქ მყოფთ ანიშნებს, დატოვონ თახი.

ელისაბედი, თეკლეცა და ივანეც მდუმარედ უსხედან მაგიდას. თეკლე ავადმყოფისათვის გამზადებულ, გაგრილებულ ჩაის წრებავს. ივანე უხერხულად წრიალებს სკამზე. ელისაბედს კი ცხვირსახოცი აუფარებია სახეზე და ჩუმად ქვითინებს. ის მხოლოდ ერთხელ არღვევს დუშილს და თეკლეს თითქო საყვედლურით მიმართავს:

—ჩემი თეკლე, ხომ იცი, ხომ დანამდვილებით იცი, თუ რარი უყვარდი მამიგადშენა? — თეკლე უსიტყვოდ უქნევს თავს. — განსაკუთრებულად გამოგარჩევდა თავის ძმისშვილებში. კიდევ კარგი, რო შეიძლო და მოასწრონ თავისი ძმებურების დასრულება. მეტი საბუთი რაღა გინდა? აბა, გაიხსენე, რას წერს იქა შენ შესახებ?!

—რაღა მახსოვს, ორი წლის უკან იყო ეგ ამპავი. — თეკლე ჩაის იმატებს ფინჯანში. — კიდევ გთავაზობთ, არ ინებებთ ჩაისა? გრილი ჩაი სასამოწირც კია ამ სიცხეში...

ივანე უარის ნიშნად თავს აქნევს, ელისაბედი კი განაგრძობს — მაში, მე მოგაგონებ: თავის „მუდმივ და უდიდეს ნუგმად“ გიხსენიებს „ყველა გაჭირვებისა და უსამოვნების ჟამს“. ჰოდა, მერე რა მოხდა ისეთი, რომ...

კარი იღება და შემოდის აცრემლებული მოძღვარი.

—ეხლა მშვიდად დავტოვე, აღარ წუხს.

თეკლე ადგილიდან წამოიწყებს.

—მობრძანდით, მამაო, ჩაი მიირთვით.

მოძღვარი მწუხარედ ოხრავს. — გმადლობთ, მეჩქარება...

ელისაბედი მაშინვე მიეახლება. — მე გაგაცილებთ, მამაო.

ელისაბედი და მოძღვარი გულდამიმებული, მდუმარედ მოუყენებიან ქუჩას. მოძღვარი მალევე შედგება — აქ დაგემშვიდობები, შვილო ჩემო, გაცილებაზე ნუღა შენუბდები. საუბედუროდ, ვიცი, ძალან მალე ისევ შევხვდებით ერთმანეთსა. შენს შეტყობინებას დაველოდები. ღმრთმა მხერის მოგმადლოს, ელისაბედ. ვილოცოთ მისი სულისათვის.

ელისაბედი მტჭუნვარედ ემთხვევა ხელზე მოძღვარს და ჩქარი ნაბიჯით მოუყენება ქუჩას.

1941 წლის 8 აგვისტო

მომაკვდავის ოთახში არავინაა. უკვე მოდლევდა, ფანჯარა კი კვლავ სქელი ფარდითა დაბურული. გვერდით ოთახში დებს მოუყრიათ თავი. ანასტასია, თეკლე და თამარი მაგიდას მისჯდომიან და წყნარად ბაასობენ. საცაა ივანე დემურიაც გამოჩნდება. ელისაბედი და ნინოც უკვე უახლოვდებიან მარიამის სახლს.

მარიამს კი... მარიამს უკვე სწვევია ძვირფასი სტუმარი, მისი მარადიული სატრიუ. — პეტრე გრუზინსკი.

—მითხარი, ძვირფასო, მართლა გივვარდი? ეხლაც მემ-დურები, საშიკო რომ ვერ მივატოვე? — ჩურჩულებს მარიამი.

—მხოლოდ ქმრის გამო არა. მგონი შენი ძმისშვილების გამო უფრო შეიკავე თავი. — მკაცრად ეპასუხება სატრიუს ლანდი. — შეგვინდა, ალექსანდრეს მზრუნველობა არ მოეკლო მათთვის. შედეგად კი ხედავ, რაც მიიღო. სულ ტყუ-ილ—უბრალოდ დათმე პირადი ბედნიერება.

—იქნებ მართალიც იყო, პეტრო, ძვირფასო... — ღონე-მიხდილი მარიამი თავის წამონებას ლამობს, სურს ძნელში მკაფიოდ გაარჩიოს ამ ულამაზესი ვაჟეაცის სახე, მაგრამ ძალა არ მოსდევს, — ეხლა რაღა გაეწყობა... მომიახლოე-დი, გთხოვ; მინდა უკანასკნელად შეგხედო, შეგიგრძნო... — მარიამი ყოვნდება, ელის, მაგრამ ლანდი ადგილიდან არ იძ-ვრის. ავადმყოფი მწარედ ოხრავს, და კვლავ ბალიშზე ეშვება ღონემიხდილი. — ისე, არც შენ დაგიხანებია, — გულში იძახ-ის მარიამი — ის საბედისწერო წერილი რომ წავიკითხე, ორი კვირა მწუხარებამ ღონისძიების მიმაჯაჭვა. აბა, კარგად მოიგონე, რასა მწერდი: ასე ვეღარ გაგრძელდება და მე ცოლი უნდა შევრითოვო. მაშინ უკვე გაიანე თარხნიშვილი გყოლია შეგ-ულებული და თან მე მეტრფოლი ვითომა. ეს პირველი, საზ-არელი ელდა იყო შენის გამოისობით. საშიკომ გადამარჩინა. სამი თვით გამიშვა ევროპაში, რო დარდი გამექარებინა. როცა დავპრუნდი, გავიგე, თქვენი ქორწინება ჩაშლილიყო. გულის სიღრმეში მეამა კიდეც გაიანეც უკვე გათხოვილიყო აფხაზეთში ალექსანდრე შერგაშიძეზედ. მაგრამ მერე რა?! დიდხანს არ დაგიხანებიათ. მეორედ ჩამეცი გულში ლახვარი, როცა გაიანეს კვლავ შეხვდი ახალქალაქი და ურთიერთობა განაახლეთ. უფრო მეტიც, — მარიამს სიბრაზისგან თითქო ძალა მოეცაო, იდავევიბით ეყრდნობა ქვემაგებს და საწოლში ნახევრად წამომჯდარი, თავისას განაგრძობს, — ჰო, უნდა მოვასწრო, დრო ცოტა დამრჩა. მინდა ყველაფერი გითხრა, რაც ამდენი წელი გულში მქონდა ჩამარსული. თითქო ჩემ ჯიპრზედა, გაიანეს სახლო უგირავე თბილისში ელიზავეტეკი ქუჩაზე, ჩემს მახლობლად. ამ შენმა ულმობელმა საქციელმა ხელმეორედ მიმაჯაჭვა ლოგინსა. როგორც იყო, მეგობრებმა მაიძულეს, ისევ გამოვსულიყავ ხალბში, გამეხსნა ჩემი სალონი, გამეხალებინა ლიტერატურულ—მუსიკალური ვეჩერები. ეს კი შევიძელ, მაგრამ ჩემ სულსა და ჯანს სამუდამო დალი დაამჩნიე...

ახოვანი ლანდი სიპნელეში იშმუშება — მაში მე ვეფულებიან მიზეზი შენი დასწულებისა. ან კი რას მოელოდი ჩემგანა?! მუდმივ ქმარზე და ძმისშვილებზე იყავ გადაგებული. ახლა შენი საზოგადოებრივი საქმიანობა რამდენ დროსა და ძალისხმებას მოითხოვდა?! გეცალა კი ჩემთვისა?! არა, ტყუილად მყვედრი. გეთანხმები, გაანესთან ურთიერთობა მეტად გამიგრძელდა, მაგრამ საბოლოოდ...

—იქორწინება დაგანიზონების შემთხვევაში, — გელიანად ანყვეტინებს მარიამი. — როგორც იქნა, პპოვე შენი ბედ-ნიერება, ვაღიარებ, ამ ულამაზეს ქალბატონთან.

—ჰო, ეგრე იყოს. მაგრამ ბარემ მეც გეტყვი სათქმელსა. გაიანესთან ურთიერთობის ალდენებისა რაც შეეხება, მარტო პირადული არ ყოფილა ამის მიზეზი. იმხანად ჩვენ ჩაეგით სოფლის ალმშენებლობაში, — ლანდი უსიამოვნობ ხითხოვებს, — აბა, შენ და საშიკოს ხომ არ ჩამოგრჩებოდი? და იცი, ვინ თაოსნობდა ამ მეტად სასარგებლობო საქმეს? — ახალქალაქში ჩვენი მოურავის, იოსებ კაპანაძის ცოლი, ანეტა გიგებედაშვილი. მეც და გაიანეც მხარში ვედექით ამ საოცარ ქალსა. თავისი საზოგადოებრივი საქმეებითა და აქტიურო-

## პრო ჭა

ბით, სხვათაშორის, გენ გამსავსებდი. სოფელში მისი ინიციატივით გაიხსნა სკოლა, ბიბლიოთეკა და ასე განსაჯეთ — სახალხო თეატრიც კი. არ გახსოვს ეგ ქალი, მარიამ? ხშირად თავადაც მონაწილეობდა წარმოდგენებში...

— კი, მახსოვს, როგორ არა. — მისუსტებული ხმით ეპასუხება მარიამი. — ახალქალაქში მეც ხომ ხშირად ჩამოვდიოდი მაკო წერეთელთან სტუმრადა...

— ჰმ, სტუმრად, არა? — ანცემტინებს ლანდი. — ვანა შენ არ აუშენე სახლი? საერთოდ, შენ არ გადაარჩინე ეგ უბელური ქალი? საბრალომ თრი ვაჟი დაკარგა რუსეთ — იაპონიის ოში, ორი კი ბოლშევიკებმა დაუხვრიტეს ოცდაოთხში. რა საშინელი დრო იყო... თუმცა, არც ეხლაა ნაკლები. იმედია, ეს ომი ჩვენამდე ვერ მოაწერეს...

— ქალთა უფლებებს იცავდა ანეტა, — თავისითვის ჩურჩულებს მარიამი — ხშირად ვკითხულობდი მაგის წერილებსა ჟურნალ — გაზიეთებში.

— ლექსის კრებულიც ხომ გამოსცა. — აღტაცებით ერთვება ლანდი — საოცარი ქალია, საოცარი. მარტო მენეჟერიკურმა მთავრობამ სამჯერ დააპატიმრა, მაგრამ მისი გარება არ იქნა...

— ვკითხულობდი ანეტას წერილებს და გულზე მალა-მოსავით მედებოდა შენგან შეურაცხყოფლსა. — მარიამი კვლავ საკუთარ ფიქრებში იძირება — ზოგი ეხლაც ზეპირად მახსოვს, იმდენჯერ გადავითხვდი ხოლმე. აი, თუმცაც ეს: “ახალმა სიოს ძალუმბა ქროლვიზმ ჯერ ვერ წარიტაცა მამაკაცის ძარღვებში გამჯდარი დედაკაცისადმი მონობის შთაბეჭდილება. მაგრამ დრო გაიღლის, გონიერი მოსული მამაკაცი ქალის პიროვნების წინ მოიხრის ქედაა”. ეეჲ, და მაინც ისე მივდივარ ამ ქვეყნიდან, რომ შენთან თანასწორობას ვერ ვეღირს. თუმცა... თუმცა ისევ შენ გეძახის ჩემი გული...

— აპა მაგას რაზედ ამბობ? — დაყვავებით მიმართავს ლანდი — ვანა არ იცი, რომ მუდამ აღფრთოვნებული ვიყავი შენი პიროვნებით, მოღვაწეობით და კიდევ შენი გადათარგმნილი წიგნებით. მახსოვს, რა დიდი რეზონანსი ჰქონდა საზოგადოებრაში ვაჟა — ფშაველას, შიო არაგვისპირელის და სხვების შენს ფრანგულ თარგმანებსა. ფრანგ კლასიკოსებზე რაღა ვთქვა?! დღესაც სიამოვნებით გადავითხვავ ხოლმე შენს გადმოქართულებულ კონწელის, ჰიუგოს, დოდეს...

— განსაკუთრებულად ალბათ მაინც მოლიერის „დონ ჟუანს“, არა? — მარიამს სახეზე გესლიანი ღიმილი დასთამაშებს. მერე უეცრად შფოთვას იწყებს, თხელ საბანს გადაიძრობს, ხელებს უმისამართოდ იწვდის. უეცრად კი ისევ წყნარდება, მიყუჩდება, გრძნობს, რომ ლანდი თანდათან უახლოვდება. აი, სულ ახლოს ჩაესმის მისი ხმა: „ვხედავ, ძალიან დაიღალუ, მაგრამ ერთიც მინდა მოგაგონო. ჩვენ ხომ მაინც მეგობრებად დავრჩით? განა ერთ — ორ წელინადში უკვე „მეფე ლიორის“ რეპეტიციებზე არა ვხვდებოდით ერთ-მანეთა?

— ჰო, პეტიკო, ჰო, — ავადმყოფი კვლავ შფოთავს. — თუმცა ეგეც ნიშანდობლივი იყო. შენ ორგული ედმუნდის როლი შეგხვდა, მე კი კორდელიას ტრაგიკული როლი...

— სპექტაკლი ჩაიმალა, — თავისას განაგრძობს ლანდი, — მაგრამ ჩვენი ურთიერთობის აღდგენისათვის კი კარგი საქმე მოხდა. ძალაუაც დაგვენანა ყველას ამდენი შრომა, მაგრამ ნამდვილად სწორად მოვიქეცით, ჯაბრში რომ არ ჩავუდექით მაშინ მთავრობას. ეს სახიფათო თამაში იქნე-

ბოდა, ჩვენს მანამდელ სახიფათო თამაშებზე რომ არაფერი ვთქვათ... განა ასე არ არის? მარიამ... განა ასე არ არის — მეთქი? მარიამ, მარიამ...

მარიამი აღარ ეპასუხება. მას სძინავს — სძინავს მარადიული ძილით. თუმცა სახეზე ისევ შფოთისა და ტანჯვეის კვალი ამჩნევია...

ოთახის ფანჯრებზე ფარდებს გადასწევენ და იქაურობას მზის კაშკაშა სხივები ეფინება... ტირილისა და მოთქმის ხმა არ ისმის. ირგვლივ სამარისებურ სიჩუმეს დაუდასგურებია.

გაიღლის შვიდი წელი და ელისაბედ ერისთავი მემუარებში ასე გაიხსენებს მარიამ ჯამბაჟურ — ორბელიანს:

„მარიამ ვახტანგის ასული ყველგან, დიდთან და პატარასთან ერთგვარად იქცეოდა, მართლაც სამაგალითო ადამიანი იყო, თავის დღეში არავის გაუგონია მისი მაღალი სიტყვა... მშვენიერი დამკვრელი, მომღერალი და დიდი საქმების გამკეთებელი საზოგადოებაში...“

დამლევ მეცხრამეტე საუკუნეში არავინ იყო მაგაზე აღზრდილი, მშვენიერი და დიდი საქმიანი ადამიანი“.

1998 წლის 17 იანვარი

## ფრიდონ ხალვაში

### ალბათოსთან შეხვედრა

მოგვირებია, ალბატროსო, მგოსანი ფრთოსანს,  
სპეტაკ სტრიქონებს გაელვებად შვერიდი მიწყივ,  
ნუ მიწყენ მეც შენს სამეფოში უცარ მოსვლას,  
შენ არ გეგონოს, რომ პირებს გადაავიწყდი.

დალლილი ფიქრი მეც შენს ფრთებზე ჩამოგასვენე  
და ვისმენ შიშით, გადარულ ზვირთების ხარხარს,  
მაგრამ აქ, სადაც ოკეანე მცემს და მასველებს,  
შენ ერთი ძევლი საიმედო ნაცნობი მყავხარ.

დღე აფრასავით დაისით რომ გაგიქუფრდება,  
მზის მადევვრი ფრენ ჩამავალ სხივებს სევდად,  
შენც, ალბატროსო, ძლიერ გიყვარს თავისუფლება,  
რისთვისაც ტანჯვა ადამიანს ყოველთვის სდევდა.  
შენ, ალბატროსო, ძლიერ გიყვარს თავისუფლება,  
გულს მტაცებლობა, სივრცეები გასხია ფრთებად,  
ქარზე განოლის აგიყოლებს დაუსრულებლად  
ტანდარხეული იკეანის გადაფერდება.

შეშურება კაცს სილალე შენი ფრენისა,  
სურვილებისთვის შენი ფრთები მოუზომია,  
თუმცა, ფერფლიდან აზრი მისი ალდგა ფერნისად,  
სიცრუესა და სიმართლეს დღეს მაინც ომი აქვა.  
გემშვიდობები, ალბატროსო, მგოსანი ფრთოსანს,  
გული ზღვებიდან მონატრებულ მინისკენ მიწევს,  
ქოჩორა ზვირთა მოფერება და ფრთების მოსმა  
გიხდება ისე, შორეულო, ვერ დაგივიწყებ.

### ხამლებათი

თურქეთში ჩვენებურები დედასაქართველოს  
მემლექეთს ეძახიან

მითხარ, როგორაა მემლექეთი,  
ჩემი სანატრელი საქართველო,  
რამე იმნაირი გამაგონე,  
გული დაკოდილი გავამთელო.

მითხარ, როგორაა მემლექეთი,  
მე სულ მისი ფიქრით დავდიოდი,  
ახლად დავიბადე, თბილისიდან  
ხმა რომ დავიჭირე რადიოთი.

კაი მექართულე ველარა ვარ,  
მაგრამ სული მიდულს იმოდენა,  
რომ შეგ სიტყვა მარად მშობლიური,  
როგორც გაზაფხული, იტოტება.

მითხარ, როგორაა მემლექეთი,  
მცხეთა, ქობულეთი, კახებრი,  
იგი ნიადაგ თუ არ ვახსენე,  
მაშინ ერთი წუთიც დამაბერებს.

ლუება არ მაკლია, მართალია,  
მაგრამ სამშობლოთი ლარიბი ვარ,  
აი, ამნაირად, უსიცოცხლოდ,  
მთელმა სიცოცხლემაც გაირბინა.

მითხარ, როგორაა მემლექეთი,  
აქ ჩვენ არ გეგონოთ ჩამქრალები,  
იზმითს ეგეოსის ნაპირებზეც  
ვაგეთ საქართველოს სახლკარები.

მითხარ, როგორაა მემლექეთი,  
ჩემი სანატრელი საქართველო,  
რამე იმნაირი გამაგონე,  
გული დაკოდილი გავამთელო.

### გენაცვალე

სნეული ხარ? – გენამლება,  
ჭაბუკი ხარ? – შეგაყვარებს,  
მოხუცი ხარ? – მოგაშორებს  
შუბლზე წელთა ჩანალარებს.  
გაწყენინეს? –

დაგავიწყებს ყველა ფლიდს და ენამწარეს,  
ლარიბი ხარ? – გაგამდიდრებს,  
ასეთია „გენაცვალე“.

რა სინათლეც გაუმქრალი,  
გენაცვალე“, სულმი გიდევს,  
ბულულებმა მარცვალ-მარცვალ  
ვარსკვლავიდან ჩამოზიდეს.  
ჩვენს თვალებში გააჩაღეს  
და თქვეს – წულარ ჩაქრებიან,  
„გენაცვალე“ თან მოგვყება  
საქართველოს აკვენებიდან.

ის მინაში ჩაითესა და ამ მინას გლეხი უვლის,  
და სიკეთით ნაკეთები სახლი უდგას მასპინძლური,  
გამოალებს ქალი კარებს:

– გენაცვალე, შემობრძანდი.

გაფიცხდება ღველფზე მჭადი,  
ნაკვერჩხალზე წვეთავს მწვადი.

გაიხსენებ ქვეყნის ავ-კარგს,  
წუთისოფელს აღლეგრძელებ,  
ამ ოჯახის შვილს დალოცავ  
და მადლობას ეტყვი ძველებს.

გათენდება დილა საესე,  
ნამოდგება მთის მზე ზეზე,

მერე ლამე გაძავდება,

ვით ადესა თხმელის ხეზე.

საქართველოს დღევ და ლამევ,  
შენს ფერადებს რალა დალევს,

შენი წყალი და ჰაერი ტყბილია, ვით „გენაცვალე“.

ცოტა იცის დედამიწის, ვისაც ჯერ არ უგემნია

შენი პური, შენი ღვინო,

შენი სიტყვა თუ გენია.

„გენაცვალეს“ მღერის ქარი, ემატება ხილს შაქარი,  
სიტყვა ძველი, თან ახალი, რბილი არის, თან მაგარი.

გენაცვალე, მეგობარო,

სიყვარულო დაუმჭკნარო,

მუდამ ვინმეს მოლოდინით გაღებულო ოდის კარო.

ყველას მოძმედ წამომდგარო,

გენაცვალე, საქართველოვ,

## ღირსესახსოვანი

შენმა სიტყვამ, პირნალესმა  
გამამაგროს, გამამრთელოს.  
გენაცვალე, სიცოცხლეო,  
მიტომ მატკბობ, თან მაწვალებ,  
რომ შენ უფრო შემიყვარდე –  
გენაცვალე!

### მე არ ვიქეპი ვენი სტუმარი

თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,  
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი,  
მეც უნდა ვიყო შენი პოეტი,  
მე არ ვიქენები შენი სტუმარი.

ნუ დამიძახებ სტუმარს იმიტომ,  
რომ უშენობა მჭირდა ასწლობით,  
შვილი მშობელთან ველზ მოვიდა,  
ველაზ იცნობდა ნაცნობს ნაცნობი.

მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა,  
ხიხანის ციხედ ვიყავ ქცეული  
და შენი სიტყვის გადასარჩენად  
ილენებოდა ჩემი სხეული.

რა გლოვად ვიყავ, რა დასანახი.  
ჭორობს მენამულ ფერში უვლია,  
საქართველოში ალბათ კალმახი  
მიტომ სისხლისფრად დაწინეკლულია.

გამომივლია ჭირი ყოველი,  
ტკივილიც ვიცი, დარდს მოთმენაც,  
მე ჭოროხალმა ორი სოფელი  
დამრჩა ნახევარ ქართლისოდენა.

ის უშენობა დედმ იტირა  
და შენი წიგნი ხელში ეჭირა.  
მე შენი მტკვარის ერთი ზეირთი ვარ,  
მე შენი მიწის ერთი კენჭი ვარ.

მე შენი ჩანგის ერთი სიმი ვარ,  
და შენი ზეცის ერთი მერცხალი,  
მე საქართველოს დიდი სიმღერა  
მკერდში ჩავინთე ვით ნაკვერცხალი.

თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,  
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი,  
შენი შვილი ვარ, შენი პოეტი,  
მე არ ვიქენები შენი სტუმარი.

### ქართული ანები

ამბობს მეფე ფარნავაზი, -  
წიგნსო ქართულს, ვეფეროთ,  
ან და მარად ეს ლამაზი  
ანბანია მეფეო.

მტერმა მოსრა სრა-ტაძარნი,  
ერთს კი ველარ შებედა, -  
იქ ანბანი ნახანძრალი  
ქართველს ესვა მეფედა.

ავდგებოდით, ვიომებდით  
და შევძლებდით შეუძლებს,  
და ანბანი ქრილობებად  
გვაჩიდებოდა სხეულზე.

ხან დაშლილა საქართველო  
კახურ-სამცხეურ-მეგრულად...  
მაგრამ ისევ საქართველო  
ქართულ ენით შემკულა.

დედა წიგნს ვერ ეზიარა, -  
ჭირდა ჭირი დროისა,  
მაგრამ წიგნი კერიასთან  
მან შვილივით მოისვა.

წალმა-უკუ ისტორიას  
ვერვინ გასწი-გამოსწევს,  
ბევრი განძი მიჰყოლია  
საუკუნეთ ქაოსებს.

ეს კი - აზრი და სიმწიფე,  
ჩვენი სისხლით დამბალი,  
იყო ჩვენი სახელმწიფო,  
ეს - ქართული ანბანი.

### პილდო

საქართველო აჯილდოებს  
განა მხოლოდ შვილს და პოეტს, -  
აჭარაში გადარჩენილ  
ქართულ სიტყვას აჯილდოებს.

უხარია ხიხან-სხალთის  
ფიქრებს, სევდად დანატოვებს,  
გაღვიძებულ დანდალოში  
განედლებულ ვაზის რტოებს.

გონიოში ბებერ კედლებს  
ფრთას ზღვაური დაატოლებს,  
ამღერება მოუნდება  
სამასი წლის სიმარტოვეს.

სინაზეზე ნაზად დედა  
ალერსს ჩამიიადონებს,  
ახალ ნანას გამაგონებს,  
კვლავ სიყვარულს შთამაგონებს.

დღეს ჭოროხი კახაბერში  
ჯავრის ზეირთებს დაიმდორებს,  
გადარჩენილ მის სიმღერას  
საქართველო აჯილდოებს.

**თაო**

კუანსუდ ღვინჯილიას  
 ტკივილით ვტირი ბოლო კურცხლამდე,  
 ავსულს კი, რაგინდ მკლას და მედავოს,  
 არ ვარ მხედარი, მაგრამ ვუცხადებ –  
 ვერ მივატოვებ მაინც მე ტაოს.  
 ვინ თქვა – იწყება იქ დასასრული, –  
 ვუვლი სიყვარულს შეუდარებელს,  
 ზღუდე-შრეებით შუბლდამაშრული  
 მინა შვილს შველას მემუდარება.

რა ვქნა, ხანდახან მაინც დავენდე  
 ჩემი ნატყვარ სიტყვის მკეტავებს,  
 მაგრამ ნუ სჯერათ, ბოლოს არ ვეტყვი,  
 ვერ დავივიწყებ მაინც მე ტაოს.

შენ კი, მოდარდევ, თანამოკალმევ,  
 თუმც ვერ ვადარებთ დღეის ტაროსებს,  
 სანამ დარდები მთლად არ მომკლავენ,  
 მითხარი მაინც რამე ტაოზე.

**შემოდგომაზე გაგვახსენდება**

ვუახლოვდები ბუქრიან ოდას,  
 ყორეზე ყივის შავი მამალი,  
 მე ნალიასთან ვიყნოსე ცოტა  
 ფიჩხების კვამლი, როგორც ნამალი.

კვლავ მომეხვია მოხუცი დედა,  
 კვლავ მომიტანა ღაზლის წინდები,  
 მე კი დარცხვენილ თვალებით ვხედავ, –  
 კაბა აცვია შარმანინდელი.

შვილებმა ვიცით მშობლების ქება,  
 როცა ხელთაა სავსე თასები,  
 მაგრამ ხანდახან არც გაგვეგება  
 ნამდვილი ფასი ამ დაფასების.

ხელცარიელი შევალებთ კარებს,  
 გარეთ გავათრევთ მძიმე კალათებს,  
 დედას ვუტოვებთ მოწყენილ თვალებს,  
 ჩვენს თავთან თეთრად ლამეგანათევს.

წავალთ, გაგვართობს შეხვედრა სულ სხვა,  
 ვითომდა ლუკმა ცით გვეძლეოდეს...  
 და ძმაბიჭებთან სუფრაზე უხვად  
 დავაწყობთ ახალ სადლეგრძელოებს.

ის კი – მშობელი, სოფელს რომ უვლის  
 და ჩვენი ნახვის ნატვრით ბერდება,  
 შემოდგომაზე ყურძნების წურვის  
 დრის ხელმეორედ გაგვახსენდება.

## თარიღ მანი

### პატრიკ კავანა

(1904-1967)

#### დედის ხსოვნები

მე არც კი მჯერა, რომ განისვენებ ცივ სამარეში შენ მონაგანის სასაფლაოზე, იმ უკუნ ბნელში, ასე მგონია, კვლავ მიაბიჯებ სადგურისაკენ ყაყაჩობით მიმოფენილ ძველ ნაცნობ გზაზე.

ანდა ტაძრისკენ ლოცვად მიმავალს ისევ შემხვდები, შემომანათებ ნათელ თვალებს, ძვირფასო დედი, ჩამიჩურჩულებ კმაყოფილი და ბედნიერი: არ დაგავიწყდეს, რომ პირუტყვი გყავს მისახედი, შენს იმედზეა რომ საქმე ბევრი. ო, რომ იცოდე, თავად ანგელოზს აოცებს როგორ შენი სიკეთე, შენი ზრუნვა და გულის ოქრო.

სულ მგონია, რომ შენ ხალისიან სიცოცხლეს შერჩი და კვლავ შეუვლი შვრის ყანებს ივნისის თვეში. ასე მგონია, ერთხელაც, ქალაქის ბოლოს შეგხვდებით ჩვენ და საქმისგან როცა მოვიცლით, გავივლით ერთად, ალმოსავლური ქუჩების გასწვრივ მოვივლით ასე მაღაზიებსა, კიოსკს თუ მარკეტს.

არა, არ წევხარ ცივ სამარეში, საღამოა და მოსავალს ვიღებთ, ჩვენ თივასა ვდგამო მთვარის მერთალ შუქზე, შენ კი მარადი ლიმილით გვიმზერ.

#### პალი გუში

(1948)

#### სკაინის ცერილი ამარინს

შენ თუ ქარი ხარ, ზღვაზე რომ მოქრის გაშმაგებული, მაშ, მე წყალი ვარ, ამ ქარისგან აღელებებული. შენ თუ ღელვა ხარ და თუ შენ ხარ მოვარდია ზევირთის, მე ნიუარა ვარ ცარიელი, რომელიც გიცდის. შენ თუ ქარიშხლის ღმუილი ხარ, იცოდე მაშინ, მე ამ ტალღების ტყლაშუნი ვარ შუადლის ხვატში. შენ თუ წიდა ხარ ნაომარი, ნაბრძოლი ბევრჯერ, მე ჩვემს მალულ გზას გამოვყები მომავალს შენკენ. შენ თუ ქორი ხარ, ბინადარად მაღალ კლდეს რომ ჰყავს, მსგავსად ტოროლის გალობისა შეგასხამ ხოტბას. შენ თუ წვეთი ხარ ნამის, მზეზე მპრენინავი, გრილი, მე შენთან ერთად მოვინახულებ ბალახებს დილით. თუ შენ სული ხარ ყვავილების, მე მაინც გიცნობ და შენთან ერთად ვიყვავილებ სამარადისოდ. თუ შენ ტახი ხარ გახელებული, შლევი და გიურ, მე ეშვებს შენსას უვნებელვყოფ სიცილ-სიცილში. თუ შენ მორევის ორაგული ხარ, მე რაღა მეთქმის, მაშინ უამრავ მნერს მოვიტყუებ, იცოდე, შენთვის! თუ ტბა ხარ გამლილ დაბლობზე, გნამდეს, ასე იქნება, რომ შენს სილმეში ჩავიძირები დაუფიქრებლად. თუ შენ არსი და სურნელი ხარ პოეზიისა,

მე მარადისი მუზა ვარ შენი, დაეძებ ვისაც. თუ შენ ბრძოლაში ჩაებმები, არ დააყოვნებ, მე შენ მოგხიბლავ მაშინათვე და გაგაოგნებ. თუ შენ გონებას შთაგონების ცეცხლში გაახვევ, სულს შევუბერავ მეც ნაკვერჩლებს და ცეცხლს განახვებ.

მე კარგად ვიცი, ვინც გამიკვალა სავალი გზები, ვინ მიძღვნა მზე, მთვარე, ვინ იყო ცოდნის ვარსკვლავი ჩემი. თუმცა ლოდები გვიახლოვდება, დღე კი დღეს მისდევს, სინათლე თავის გზას დასდგომია დასასრულისკენ, ჩვენ ისლა დაგვრჩა, გრძნობით, სიტყვით ყველაფერს ვძლიოთ, ჰოდა, ქარივით ერთმანეთის აჩრდილებს ვდიოთ.

#### საიმონ ლუისი

(1978)

#### ეპვესი თეთრი სათოალი

ცოცხალი იყო თუ არა, თავიდან ვერც მივხვდი მაშინ, სანთლებისაკენ მიპყრობილიყვნენ თვალები ბავშვის. ჰო, დანიელი ექვსი წლის გახდა სწორედ იმ დღისით,

ტორტიც დახატა, საიუბილეო, მან სანთლებისთვის. იწვოდა ექვსი თეთრი სანთელი ოთახში წყარიად, ხოლო ბავშვი კი მაგიდასთან იჯდა უძრავად.

სანამ სანთლები იფერფლებოდნენ, მოწყენით იყო, მან გარევევით თქვა: „როცა მოვკვდები, არ დამივწყოთ!“

მანამდე დაფაზე ცარცით დაწერა ეს სიტყვა — „შჰოაჰ!“

და დაფის გარეთ სინათლეზე გატანა გვთხოვა. რაბი შვატცი კი ჯერ შორიდან ხედავდა ნახატს, უნდოდა ეთქვა: ხომ დახატეო, ეს ნახატი წაშალე ახლა!

ჩვენთვის ნამცხვარი ზედმეტია, ის არის კრული და სხვა ვინმესაც აღუსრულებელს აღუძრავს სურვილს. რაბი შვატცს სურდა, წინ წაგვანა ბავშვი შუქისკენ,

საშლელი აიღეო, ამ სიტყვებით წავიდა მისკენ. ნახატს ახლოდან რომ დახედა, ის უცებ შეერთა, ანაზდად მისი მზერა ბავშვის ცივ მზერას შეხვდა.

მუხლი მოეკვეთა და მას ხელი წაავლო მელავში, ამ დროს წაიქცა, იატაკისკენ დაეშვა ბავშვი და რაბი შვატცი ბოლომდე მიხვდა ყველაფერს ოდეს,

ბავშვის უმწეო თითები უკვე ოდნავლა თრთოდნენ... და გვეყვებოდა ამ ყველაფერს ჩვენ რაბი შვატცი, დალონებული, ანონილი, გამხდარი კაცი.

ყვებოდა ბავშვზე, ოსვენციმში რომ დაიღუპა, რომ იგი ახსოვს ასე მწარედ და დღემდე უყვარს,

րոմ և անտեղովութ յսասրպութ կուզուլութ օճշուս  
միս սովորացն ասեց ոյ գարդապուլութ პատարա ծովուն.

**Պատ ծոռանո**  
(1963)

**ՏՈՒՄԱՅԻՆ**

Օսոնո Ֆագավանեն որ մանգասկար, Շեմյորտալս,  
Ռոմելուաց միւպապեծու քեռվելու Շեխվագատ...  
Մեջյ դաձրունդա երտ-երտո ծրմունունան,  
միսո անորուպուլու վայուպ մովունա.  
Եռլու յալունու սիրումը օգնեն,  
Եծլայէյէծունեն երտագերտ օմեցս,  
Օմ օմեցս, րոմ ար անհիւզա ծեցու և նորու մատ  
մեյուն դա միսո վայուսատցուս, ամ որ մասեյուր յալս.  
Օսոնո ոյ միմեց և սունոյէպնեն,  
Միւպանչազու գույրուն միւրուլուպս Ֆագավանեն,  
Տոտյուն սապա, արա մեռլուն մոմենցու երտո,  
Մտյունու գոյունա օլունունու հայուլուն ցայերգուն.  
Ես գոյուն Ֆյունդատ, րոմ և սամպարու կուզուլու նոյա,  
Դա մերյ երտեսան հագոյրուպուլու կոծեցն տացադ.

**ԿԱՑՐՈՆ ԵԲ ԿՈԼԵՆԻ**  
(1976)

**ՏԵՐԵՎԱԾ**

Միմուունուն մանուն Ֆանու սկումրունու... Ֆանու գոյուրունու Ֆերին,  
մանուն օգրուն, րոմ դացլալա եզյուլուն կոծեմ...  
Երտմա գուրուն արու նոյգարու հացունու ելուն  
դա մերյ երտեսան հագոյրուպուլու կոծեցն ոչայէ.

Երտու նոյգարու հապարյ չունեցն գորտենունագ,  
Եռլու մեռուն... ամաս մեցիւնու, հիւմագ տէցու ասյ.  
Պորունուն րաս յունամ? Ֆան գալունու տացածրուն, տծունագ,  
„Սեցաս մեցունանաց“, — կունաց հիւմագ տէցու, սոյետուն  
սացսեմ.

Միցաւս մետեզեցն օւնունուն Առունա հիւմտցուս արս  
մելուն, մացրուն մինուն արու զունուն մանուն մանուն,  
Սեցուն գուն, հիմու անուն, սանուն Ֆանու,  
մերյ բա, ոչայու պուգա որուստցուս յունուն մենուն!

Վուտ սանապորու գունուն, ծրունուն մաց տմեցն զերպելու  
դա յը տալունու յուրուն ասյ սամպարու,  
Սեցուստցուս րամունչայր ցագունանաց նոյգարու, զերու  
զունուն,  
ասյու մետեզեցն զակուրուն դա ցունու ամապուն.

Վուգու արուն գունուս ասյուն ցուլույունուն,  
ոչայուն դամիսայցու, յու հիմու են ոչայուն ցունուն!  
Սագույրունու բացարուն ցագունանաց նոյգարու, զերու  
զունուն,

**ԵԱՆԱ ՄԱԼԱԹԵՐՈՒՆՈՒ ՏԱՐՁՄԱՆԵՑՆ**

## ლეგიული

**სანდრო ნებიერიძე**

**ვუძღვნი ქ.თბილისის 52-ე საჯარო სკოლას,  
განსაკუთრებით ჩემს საყვარელ  
კლასელებს და მასწავლებლებს**

ივნისი, 2013 წელი

### **როგორ გაეგუშინო დაცარჩენი სიტყვები ზოგებს**

ერთხელ ზმნებს დანარჩენი სიტყვები გაეპუტნენ და გადაწყვიტეს მათ გარეშე გასულიყვნენ იოლად.

ადგნენ და ყველაფერი ზმნებს მიახალეს პირში:

— ალარ გვინდა თქვენთან მეგობრობა, წინადადებაში ზმნა მთავარიო, ავდგებით და ახალ ენას და მეტყველებას შევქმნით! — მიაძახა არსებითმა სახელმა ერთ ზმნას.

— მართალია, ვინა სართ ასეთი მაგრები, რომ ჩვენზე საზოზღარ დიქტატურას ამყარებთ, შეის გამო ბრუნება არ შემიძლია, შე საძაგელო შენა, — გათაოთა ნაცვლსახელმა პირველადი ზმნა.

— კი ბატონი, წადით, შექმნით ახალი გრამატიკა, ნახავთ ზმნის გარეშე რას გახდებით! — მიუგო ნაწყენა სახელზმნამ დანარჩენ სიტყვებს.

იმ დღესვე დაშორდნენ მეტყველების ნაწილები ერთ-მანეთს და იმავე დღესვე წარიდნენ ზმნები შევტულებაში, დანარჩენი სიტყვების გარეშე რაღა გვინდა მეტყველებაში.

მეორე დღეს საშინელი ამბები დატრიალდა. სკოლაში დაირცეა ზარი და მასწავლებელმა გამოაცხადა:

— ბავშვებო, დღეს ახალი მათემატიკის მასწავლებელი. მას ნინო. იგი ძალიან იმით, რომ თქვენ, მეექსეკლასელებს.

ბავშვები ახმაურდნენ. ოთარმა თქვა:

— რაღაც მასწავლებელი უცნაურად. ზმნებს.

მაიკო გაეპასუხა:

— მათემატიკის მასწავლებელი ძალიან ლამაზი. ნეტა კარგად?

იმავე დღეს მისწერა ერთმა მოზარდმა შეყვარებულ წერილი:

“ძვირფას სოფიკო!

ძალიან. მალე. ახალი სახლი კარგი. ხვალ.

შენი ვანო”.

როგორც კი დანარჩენმა სიტყვებმა ეს შემზარავი გრამატიკის ამბოხი ნახეს, მაშინვე კრება მოაწყვეს აკაკი შანიძის გრამატიკის წიგნში. სიტყვების დედაქალაქი ძალიან დაცარი-ელებულად გამოიყურებოდა.

კრება დაიწყო:

— მე მგონი ზმნებთან უთანმშობება არ უნდა მოგვსულოდა . . . — ამოიხვენშა შორისდებულმა.

— მთელი ქართული ენა დაინგრა. ზმნების გარეშე ვერ-ავინ გადმოსცემს აზრს. რა ვქნათ? — ტური მოიკვნიტა წინ-დებულმა.

— სხვა გზა არაა. ისევ ზმნებთან უნდა დავდოთ ზაფი, რომ გრამატიკა ისევ კალაპოტში ჩადგეს, — თქვა არსებითმა სახელმა.

ზმნები კი ამ დროს კარგად ისვენებდნენ თაბახის ფურ-ცლებზე, რომელიც სწორედ გრამატიკის წიგნის გვერდით იდო.

მეტყველების ნაწილებს არ დასჭირვებით ერთმანეთ-თან მისვლა ერთი შემთხვევის გამო.

როცა ამ საგრძნის პატრონი საქმეს მორჩა, თაბახის ფურცლები აიღო, ეგონა, რომ ზმნები გათლილი ფანქრის ნაფხვენები იყო და მათ სული შეუბრა. ზმნებმა ამ შებერვას ვერ გაეძლეს და ერთმანეთის მიყოლებით ჩაპირქვავდნენ გრამატიკის წიგნი.

— ვამე! ასოების ნიაღვარი! — წამოიბლავლა ნაცვალ-სახელმა და გული წაუვიდა.

ზმნები როგორც იქნა ფეხზე წამოხტნენ და ჩამწკრი-ვდნენ. მეტყველების ნაწილები დამნაშავედ უყურებდნენ მათ. ზმნები ახარხარდნენ. ბოლოს კი, რიცხვითმა სახელმა ამოილო ხმა:

— ისა . . . თუ შეიძლება, რომ ისევ დაპრუნდეთ და გრამატიკის წარმართვაში მოგვეხმაროთ?

ზმნები დასერიოზულდნენ. ბოლოს კი ნასახელარმა ზმ-ნამ უპასუხა:

— რა თქმა უნდა მოგეხმარებით, თუ ჩვენს უფლებებს არ შეზღუდავთ.

მეტყველების ნაწილები აყიუნდნენ და დიდი წვეულება გამართება ზმნების ხელახალი დაპრუნების აღსანიშნავად.

### **წევარჩელის ცითელი ფოთლის ფიქრები**

“უჳ როგორ დავიღალე . . . ზამთრის ჭირხლი თითქმის მთელ სხეულს მიბოჭავს. რა ვქნა, ქურქი არ მაქეს და პალ-ტო, რომ მოვიხეო და ცოტათი მიანც გავთბე . . .

აგერ ჩემი თანამოძმები მდინარის ქვეშ წვანან და იქ მშეიდად არიან, ერთმანეთს მაინც ესაუბრებიან . . . მე კი . . . ეჳ, მე კი მხოლოდ საყვედურს შეუბნებიან ეს მაჩვი, მუხა . . . მუხა მშეიდად მაინც არის, თვალებში, მხოლოდ თვალებში ეტყობა უცნაური, ირონიული გაოცება.

მალე, სულ მალე ჩამოვარდები . . . მე ჩემი მეგობარი, ჩემი ჩეული მჭირდება, რომ დამშვიდებულმა გაწვისვენ სქელი თოვლის საფარველქვეშ . . .”

სწორედ ამ ფიქრებში იყო ჩაფლული წევერჩელის წითელი ფოთოლი, როდესაც ნისლიან გარემოში ამაყი, ზვიადი სარიჩემის ფიგურა გამოიკვეთა. წყაროს წყლის სამას რომ მორჩა. აიხედა მალა და გაოცდა . . .

ყველაფერი გაირინდა, ყველაფერი . . . თითქმის დრო შეჩრდათ მთელს ტყეში, მთელს სამყაროში . . . და უბოძა, უსასოდა მოსწყდა ხეს . . . წევერჩელის წითელმა ფოთოლმა ალისფრად გაიელვა, მაგრამ ეს სულერთი იყო მისთვის. მან თავისი მიზანი აისრულა.

ფოთოლმა ბურუსი წელი ფართატით გაევეთა და თოვლზე დაეშვა. გაიღიმა და სამუდამოდ შერჩა ბაგეზე ეს სიყვარულის სამარადისო გამოცხადება . . .

სარირემმა თავი ასწა და დაიბლავლა, დაიბლავლა ისე, რომ ამ ხმამ მთელი მსოფლიო, მთელი სამყარო, მთელი გალეატიკა შეძრა.

სანდრო ნებიერიძე, აპრილი, 2012წ.

## სიკვდილის თვალები

(მოთხრობა)

კაცმა საათს შეხედა. ზუსტად 21 საათი და 58 წუთი. ციფრა ოფლმა დაასხა. საგარეულო ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო. იმის გაფოქრება არ უნდოდა რაც ორ წუთში მოხდებოდა. მან იცოდა, რომ ის ნაძღვილად მოვიდოდა. იგი არასდროს აგვიანებს, მაშინაც კი არ დაუგვიანებია, როცა კაცი ამის შესახებ გააფრთხილა. ამდენი ნაშრომი და ნაღვანი სულ წყალში ჩაწყრბოდა, ბოლოს და ბოლოს სიცოცხლე ხომ ყველაზე ძვირფასია.

უცბად ისევ ძველ, პატარა შეშინებულ ბიჭუნად იქცა. თვალნინ ნარმოულდა სიზმარი, რომელიც იმ სანებში აპკვი-ატებოდა – ამ სიზმარში ბიჭს სულ ერთ და იგივე მუმია დასდევდა, რომელიც სულ იქტერდა და ჯადოსნური ნემისი გაკეთებას აიძულებდა. ეს ნემსი მას ან კლავდა, ან აძინებდა. ამ სიზმრიდან სულ გაოფლიანებული და განერვიულებული იღვიძებდა. მთელი ცხოვრება ნარმოიდგინა – ჩვილობა, ბავშვობა, მოზარდობა, სტუდენტობა, დიდობა – რაღა დარჩა? ალბათ სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ფერფლი ან, უკეთეს შემთხვევაში, ძვლები დარჩებოდა მისგან – მეტი არც არაფერი.

ეკლესიის ზარმა შორს თორმეტი ჩამოჰკრა და კაცი წამოხტა, ოპ მან იცოდა, ის მოვა, მოვა, მოვა . . . ისე მოუნდა სადმე დამალვა, თითქოს მართლა ძველ ბიჭუნად ქცეულიყო და მუმიას გაურბოდა, თუმცა ის ხომ მართლა მუმიას ჰეგას, ძველ გახრწნილ მუმიას, რომელიც სიცოცხლესაც ხრწნის, ყველაფერს ამანიჯებს და ჰელავს. . .

პატარა, დამფრთხალი ცხოველივით შეხოხდა საგარდლის ქვეშ და ზუსტად ამ ნამს კიბეზე მძიმე ნაბიჯების ხმა მოესმა, თითქოს ორი დიდი ლოდი მონგრევდა შენობას. კაცის გულის „დაგადუგი“ ნაბიჯების ხმას დაემთხვა. ახლა კაცს ციფრა და ცხელმა ოფლმა ერთდროულად დაასხა. იგი ისე შემოვიდა კარში, არც დაუნგრევია, არც გასაღებით გაულია, უბრალიდ შემოვიდ. ესეთი აგენტულების იყო. ნელა გადმოაბიჯა ზღურბლს და გაემართა კაცის ოთახისკენ. იცოდა, რომ კაცი ვერსად დაემალებოდა.

კაცი უყურებდა მის ჩინჩისებურ სხუელს და ცივ სუნთქვას გრძნობდა, რომელიც ყველა ცუდს და საძაგელს ერთად ამოანთხევდა.

– ვერსად დამემალები, ეს შენც იცი, – უცბად გაისმა ღრჯიალა, საშინლად ბოთი ხმა.

კაცს ძარღვებში სისხლი გაეყინა და იატაკზე გაენთხა. – ვერსად დამემალები-თქო, სულელო არსებავ, – დაიღ-რქიალა ხმამ, ერთი ამოიქმინა და ცელის ერთი დარტყმით სავარდლისგან მხოლოდ ნაფოტები დარჩა. კაცი გამოძრვა და დაახველა. უშველებელი ნერწყვი გადაყლაპა. უკვე აღარ ეშინოდა. ეს ხომ ოდესლაც უნდა მომხდარიყო, თუნდაც ახლა. სიკვდილს თვალი გაუწიორა და ჩაილაპარაკა:

– ის მაინც მითხარი, როგორ უნდა მომკლა. – მაგას რა დიდი ცოდნა უნდა, შე იდოოტო, ამ ცელის დარტყმით მოგელავ და ვერავინ ვერ გაიგებს, ეგონებათ მკვლელობა – სიმართლეც იქნება და მეც თავს მშვენივრად დავიძრენ, – გადახარხარა სიკვდილმა.

– ეს უსამართლობაა, ადამიანი დაავადებისგან ან რაიმე ადამინის, ცხოველის თავდასხმისგან კვდება და არა შენი

ცელის დარტყმისგან, – წამოიძახა კაცმა და უკან გახოხდა.

– იცი, რამდენი ადამიანი მომიკლავს ამ ცელით?! – სიკვდილმა ხელში ცელი შეათამაშა. ცელმა ნათურის შუეზე ავად გაიბრნებინა, – მერე თავხელურად გადამიძრალებია მკალელებზე და უდანაშაულოებზე და გამომძრალუარ. შენც ესე გიზამ, ვერავინაც ვერ გაიგებს.

– ღმერთი დამიმომებს! – შესძახა კაცმა, გულში იმედი ჩაესახა, – თუ არა და თავს მოვიკლავ, შენი უსამართლობის ატანას ეს მირჩევნია! – კაცმა აივნის კარი გაანგრია და მოაჯირს გადაეკლო. იყვდილმა გადაიხარხარა. კაცი სუთი მეტრიდან გადომიმხტარიყო და მინაზე ცოცხალმკვდარი ეგდო. მან წამონევა დააპირა და გაქცევა, თუმცა აივნის თავზე სიკვდილის დამესავით შავი ფიგურა შენიშნა. ფიგურამ განიავარდა პარშში და კაცისკენ ცელამოლებული ელვასავით დაეშვა.

კაცმა სულ ბოლო წამს მოასწრო სიკვდილისთვის თვალებში ჩაქერდა. თვალებში შავი სიცარიელე იყო, თუმცა კაცი კარგად დააკვირდა, რისი შესაძლებლობაც თითქოს ბადაგადეცეულმა ერთმა წამმა მისცა.არა, სიკვდილის თვალებში სხვა რამეც მოჩანდა, შავი სიცარიელის გარდა. კაცმასიკვდილის თვალებში ცრემლი დაინახა.



მაშინ სიკეთე -- უებრო საზრდო  
სულის პურია.

მარხული სული --  
გამოუხსნის კვლავ გულის კარებს,  
მართალ სიყვარულს --  
დღეს ხომ ისიც განდევნილია,  
ქარია,  
თუმცა გაბადრული ანათებს მთვარე,  
დეკემბრის ლამეს --  
ცივა და ცა მუქი ლურჯია.

### 6 0 6 დ ა პ ა რ ა რ ა

ქალწულმა ვერ სცნო ხელითქმნილი  
კერპები ღმერთად,  
მზის სხივებივით გულს ვერ უთბობდა  
ყალბი მითები,  
ეძიებდა და ჰპოვა -- სამყაროს  
„ანბანი“ ფერთა --  
ხერბს, ყვავილებს ყურს უგდებდა  
ულურტულს ჩიტების.

ეძიებდა და ჰპოვა ამა სოფლის  
ნათელი,  
ქრისტეს მცნებებთან ზიარებით  
დააყრდა სული,  
წარმართ მამამაც ვერ ჩააქრო  
ნაზი კანდელი --  
გულში რაც ჩადგა უზენაესი  
სიყვარულით.

ცის თაღზე მზესთან ერთად, მაშინ  
გამოჩნდა მთვარეც,  
შორიდან შობის ვარსკვლავს ელოდა  
დეკემბერი,  
სულინმინდისგან გაბრნებული  
წმინდა ბარბარე --  
თავად შემოსა მაცხოვარმა -- ღვთიურ  
მზის ფერით .

ნისლს დაუფარავს ქედები,  
ღრუბლებში იბადებიან  
წვიმის პატარა წვეთები.  
მერე ძირს დაეშვებიან  
მიწისკენ დიდი სურვილით,  
ამ დედამიწას ვწებიანს  
ეგებ მოუკლან წყურვილი.  
ყვავილებს ეპურებიან,  
გზად თუ ვერ შევეგებები,  
ფანჯრის მინაზე სხდებიან  
გარეთ თუ არ ვიხედები.  
ცოტა ხნით მელოდებიან  
არც ისე გადამეტებით,  
მერე უჩინარდებიან  
წვიმის პატარა წვეთები.  
პატარა წვეთები...

\*\*\*

ხან მგონია, რომ შევაჩერებ ღელვას -- ატეხილს,  
შევიმოსები იდუმალ ძალით -- სადმე მოვძებნი,  
მაშინვე მოვალ -- მოგიშუშებ გულსაც გატეხილს;  
სიყვარულით და მადლით ღვთისაგან ნაბოძებით...

თუმც ხან მგონია წვეთი ვარ სისხლის, -- ჩამოწვეთილი,  
გრძნობასთან ერთად გადმოდენილი -- შენი გულიდან,  
ან ცრემლის წვეთი -- ტირილისას თვალს მოწყვეტილი  
და უნებლიერ ზღვის ტალღებში დაკარგული ვარ.

ხანაც მგონია ხის ფოთოლი ვარ -- ფერგაცვეთილი,  
ან ნერგი ხისა, როცა სხვა ბალში გადარგულია,  
შორს გაფრენილი მერცხალივით გულდაწყვეტილი,  
დაბრუნებას რომ ელის შენთან -- გაზაფხულიდან --

### რას ვინატოებდი?

ჰქონდეთ მშვიდობა --  
უმამოდ დარჩენილ  
ჩვენ პატარა  
ობლებს ---  
და ჯანმრთელობა  
ვისაც სჭირდება,  
ყველა მვედრებლის  
შვილებს და  
მშობლებს .

6 3 0 8 0 6 6 3 0 თ ე ბ ი  
ნიავს კვლავ ჩასძინებია,

## რუსულან ჭანტურიშვილი

„საქართველოს ბიბლიოთეკა“  
(სამეცნიერო-პოპულარული და  
მეთოდოლოგიური ჟურნალი)

დღეს „ისინდის“ მკითხველს გვინდა გავაცროთ ახალი ნომერი ყოველკვირეული ჟურნალისა, „საქართველოს ბიბლიოთეკა“ (სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდოლოგიური ჟურნალი). იგი 2000 წლიდან გამოიცემა. ამჟამად 2019 წლის 3 (76) ნომერს მიმოვიზოავთ.

ჟურნალის მთავარი რედაქტორია ალექსანდრე ლორია. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: გურამ თაყინიშვილი, გულ-ნარა სტურუა, მაია მიქაელიშვილი, მირიან ხოსიტაშვილი, რუსუდან ასათიანი.

ყდის დიზაინის ავტორია- გივი გელაშვილი; ტექნიკური რედაქტორია- ლომა სანაია; დამკაბადონებელი- გელა ბაბაკიშვილი.

„ ჟურნალის შიდაყდა გვამცნობს, რომ ამ ნომერში გამო-  
ქვეყნებული სამსონ ფირცხალვებას, ეკატერინე გაბაშვილის,  
პირველი ქართული გაზეთის ფოტოები აღებულია საქართ-  
ველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული  
ბიბლიოთეკა „ივერიელიდან“.

რედაციის სვეტში ერთ გვერდზე კომპაქტურად არის გამოყენელი ჟურნალის ამ ნომრის მოკლე შინაარსი, რომელის წაკითხვის შემდეგაც მკითხველმა უკვე იცის, რომ ჟურნალში დაბჭყდილი ყველა წერილი მეტად საყუადღებო და მნიშვნელოვანია.

რუსპირკაში „ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაცია და მოდერნიზაცია“, კახა ქორიძისა და ნანა ჩიბრაძის წერილება დაბეჭდილო.

ნეალტუბის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფურჩქეთის  
ბიბლიოთეკის უფროსის ბიბლიოთეკარი კახა ქორიძე მრავალ-  
ფრთხოებით სოფლის ბიბლიოთეკაზე მოვიდითხობს.

წერილიდან თვალნათლივ ჩანს, თუ რამდენი სასიკეთო საქმის გაცემება შეუძლია წიგნირ და პროფესიონალ ბიბლიოთეკარს. ბ-ნ კახა ქორიძის მაგალითი დედაქალაქის ბევრი ბიბლიოთეკისთვასაც სანიტუროა. მნ, სოფლის ბიბლიოთეკებს გამგემ, ადგილობრივ მმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ბიბლიოთეკას დამატებითი ფართი შემოუროთა; შეძლო კონტაქტი დაეყმარებინა მსოფლიო ბანესა და ჩეხეურ არასამთავრობო ორგანიზაცია YISAP-თან; PIN-თან- „ადამიანი გაჭირვებაში“; დაწყებო თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაცია- თემთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასოციაციასთან „იმერეთი“ და „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრ CSRDG“-თან; ნორვეგიულ კომპანია „ქლინ ენერჯი გრუპ ჯორჯიასთან“... ასეთი კონტაქტების წყალობით მიიღო ბიბლიოთეკისათვის საჭირო თანამედროვე ინვენტარი, ლეპტოპები; ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსდა ახლგა ზრდული (კინტრი.

საქართველოს საბიძლიოთეკო ასოციაციის ორგანიზებით და ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის („ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“) ფარგლებში 2017 წელს გასაუბრების შედეგად ბ-ნი კახა ალმოჩინდა შერჩეული 15 ბიბლიოთეკარს შორის. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში შეიძინა მან თემის მობილიზაცირის და ტრენინგის უნარ-ჩვევები; გაიცნო ბიბლიოთეკა კურსები და საქართველოს ყველა კუთხიდან. ბ-ნი კახა

ხაზგასმით აღნიშვნავს, რომ „საბიძლოოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის რუსუდან ასათიანის ძალისხმევით საქართველოში შეიკრა ერთი მთლიანი და მოტივირებული ბიბლიოთეკართა ძლიერი გუნდი“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ლოგიკურია, რომ სოფელ ოფურჩხეთის ბიბლიოთეკა დღეს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი, თანამედროვე, მობილური და ინ-ფორმაციული ყველა ასაკისა და კატეგორიის მეთხველ-ისათვის.

ნებალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუბისნეალის  
ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი **ნანა ჩაბრაძე** თავის წერილში  
„ინტერნატიზაცია სოფლის ბიბლიოთეკაში“ მოგვითხრობს  
ოთხი წლის წინ აღდგენილი მისი სოფლის ბიბლიოთეკას შეს-  
ახებ, რომელიც კარგად არის აღჭურვილი თანამედროვე ტი-  
პის კომიუნიტერული ტექნიკით. მისასალმებელია, რომ ქ-ნი  
ნანა ჩაბრაძე იმ მნიშვნელოვან პროექტში, რომელსაც პარ-  
ლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პრეზიდენტის სარეზერ-  
ვო ფონდი და საერთაშორისო კვლევისა და გაცვლითი  
საბჭო IREX-ახორციელებდა. რამდენიმე კონკურსში მიიღო  
მინანილება; გაიმრვება პრეზიდენტის სარეზერვო ფონ-  
დის მიერ გამოცხადებულ მცირე საგრანტო კონკურსში.  
მისმა ბიბლიოთეკამ ოფურჩხეთის ბიბლიოთეკასთან ერთად  
შექმნა და განახორციელა პროექტი, რომელიც დღეს ძალიან  
აქტუალურია - „მომავალი ძალადობის გარეშე“. ეს პროექ-  
ტი წყალტუბოს რაიონის ოთხ სოფელს მოიცავდა. მონინავე  
ბიბლიოთეკარებთან ერთად ქ-მა ნანამ ჩაატარა ტრენინგები  
ისეთ უმნიშვნელოვანებს თემებზე, როგორიცაა: „ნაადრევი  
ქორწინება“, „ოჯახური ძალადობა“, „პოზიტიური მშობე-  
არობა“...

ცხადია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში საინტერესო წიგნებითა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ბიძლიოთეუები განათლებული ბიძლიოთეკარების ხელმძღვანელობით, ცოდნის მიღებაში უდიდეს დახმარებას უწევენ სოფლის მოსახლეობას, განსაკუთრებით - ახალგაზრდებს.

„ ქურნალის რეპროკები: „ქართული უურნალისტების ისტორია“ და „წიგნის ისტორია“ შორენა ოსმპოვასა და ნინო ხელიდელიძის საინტერესო წერილებს გვთავაზობს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთიკების შევიათ გამოცემათა განყოფილების უფროსი შორენა ოსიპოვა წერილში „პირველი ქართული გაზეთი - 200“ საინტერესოდ მიმოიხილავს ყოველკერძოულ პირველ ქართულ გაზეთს, რომელიც 1819 წლიდან გამოიყოდა სათავერით „საქართველოს გაზეთი“, 1820 წლიდან კი სათავერით „ქართული გაზეთი“. მკლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს გაზეთი უკვე XIX ს-ის II ნახევრაშივე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გამხდარა. ქნ შორენას არც იმის აღნიშვნა დაკინცია, რომ სოფიო დოდაშვილმა შესწირა წერა-კითხვის გამარცელებელ საზოგადოებას 1819ხლის მარტის ერთი ნომერი: კანცელარიის ჩინოვნი ივანე ბაბალოვს კი ძევს ქალალდებმი უზოვა 1821 წლის „ქართული გაზეთის“ ნომერი. იქნება ქართულის საზოგადოებამ დიდი ენთუზიაზმით იმიტომაც არ შემოუნახა შთამომავლობას ამ გაზეთის ნომრები, რომ გაზეთი თუმცა ქართულ ენაზე იბეჭდებოდა, მაგრამ მის ფურცლებზე ძირითადად რუს მოხელეთა დაჯილდოების ცნობები, ადგილობრივი მმართველობის განწესების და

ბრძანებები ქვეყნდებოდა. თუმცა იყო საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ამბებიც, ამნარიდებიც რუსული პრესიდან, მაგრამ ყოველივე ეს ქართველ მკითხველს ვერაფერს არგებდა. ქ-ნი შორენა სამართლიანად აღნიშნავს, რომ „დღევანდელი მკითხველისთვის შემაძრნუნებელია აქ მოყვანილი განცხადებები, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ქართველი თავად-აზნაურობა უდიდეს ეკონომიკურ სიღაცხირეს განიცდიდა, მატულები ვალების გამო იყიდებოდა. მძიმე საკითხავია განცხადებები ყმების გაყიდვის შესახებ, იყიდებოდნენ ცალ-ცალკე და მთელი ოჯახებით“. შორენა ოსიპოვას ეს წერილი ცოცხლად წარმოგვიჩნეს იმ უმძიმეს ყოფას, რომელიც ჩვენი ხალხი რუსეთის „მფარველობის ქვეშ“ აღმოჩნდა.

XVI საუკუნის შევეიცარიაში გადავყავართ ნინო ხვედელის წერილს „ცხოვრებისეული სურათების ილუსტრატორი“, რომელიც ცნობილ შევეიცარიელ მხატვარს, წიგნის ილუსტრატორს, მესტაბე-გამომცემულა და XVI საუკუნის II ნახევრის ყველაზე ნაყოფიერ გრავიორს- ითსტ ამანს გვაცნობს.

სათანადო ლიტერატურაზე დაყრდნობით ქ-ნი ნინო გვიყვება ამ უნიკალურ ხელმოვანის ცხოვრების შესახებ. წარმოშობით შევეიცარიელმა ითსტ ამანმა ცხოვრების უმტესი ნაწილი გერმანიაში, წიგნის ბეჭდვის სამსახურში გაატარა. გრავურებს ასრულებდა სპოლენზე, ხეზე. ხატავდა ტილოსა და მინაზე. წიგნის შექმნის თემაზე მოამზადა 52 ქსილო-გრავიურა.

ნინო ხვედელის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ითსტ ამანი თანამედროვეობით იყო დაინტერესებული და მის გრავიურებზე ყველდღიური ცხოვრებისეული სურათებია ასახული.

წერილს ამშვენებს ითსტ ამანის რამდენიმე საინტერესო გრავურა.

რეპრიკაში „ქართული ემიგრაცია“ წარმოდგენილია მარიამ მარჯანიშვილის - „ყოფიერების ამაოებით დაღლო-ლის აღსარება (ემიგრანტთა ეპისტოლების მიხედვით)“.

ქ-ნი მარიამ საფრანგეთში მცხოვრები თვალსაჩინო ემიგრანტის- რეზო გაბაშვილის წერილებიდან ამონარიდების მოხმიბით წარმოგვიჩნეს ამ დიდბუნებოვანი ადამიანისა და პოლკოვნიკი გორგო ამილახვარის სევდიანი ქალიშვილის-დოდო ამილახვარის სიყვარულისა და შეულლების ამბავს.

რეპრიკაში „ბიბლიოთეკები და ადგილობრივი ხელისუფლება“, ვეცნობით გიორგი კილაძის საყურადღებო წერილს- „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა „ლია მმართველობის პარტნიორის“ ფორუმის წევრია“.

ეს წერილი გვიხსნის თუ რა მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ხელისუფლების მუშაობაში. სანიმუშოდ ბ-მა გიორგიმ გაგვაცნო საზოგადოების მონაწილეობა იზურგების მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში..

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ 2010 წელს აშშ-ში გაერთი გენერალურ ანსამბლებაზე ჩაეყარა საფუძველი „ლია მმართველობის პარტნიორობას“, რომელშიც 75 ქვეყნა მონაწილეობს და საქართველო ერთ-ერთ პირველი ქვეყნაა, რომელიც შეჩ-ს შეუერთდა. ესმოხდა 2011 წელს.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა რეპრიკა „კორესპონდენციები“. მკითხველი ბევრ საინტერესო ინფორმაციას ეცნობა მარიამ მიქაბერიძის, ლია გიგაურისა და ნიკოლოზ მაჭა-

ვარიანის წერილებიდან.

არ შემიძლია მადლიერება არ გამოვხატო მარიამ მიქაბერიძის მიმართ, რომელმაც თავის წერილში- „უურნალი ისინდი“ საფუძვლინად მიმოიხილა ეს ნამდვილად ეროვნული და სამართლიანობისათვის მებრძოლი ლიტერატურული უურნალი.

ქ-მა მარიამ მიმოიხილა ჟ. „ისინდის“ წომრები 2017 წლის 2-დან 2019 წლის ივნისის ჩათვლით. თავის წერილი გაამდირა სათანადო ამნარიდებით უურნალის რედაქტორის-იკა ქადაგინის წერილებიდან და სამართლიანად აღნიშნა, რომ უურნალის „რედაქტორი, ქალბატონი იკა ქადაგიძე, მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი, ამ უურნალის სული და გული, მისი იდეური წარმმართველია“.

მარიამ მიქაბერიძემ დაასახელა რედაქტორის ყველა ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი. ამ წერილების სათაურებშიც გამოსცვილის მათი ავტორის მებრძოლი და ეროვნული სულისკვეთაშა. უყურადღებოდ არ დარჩენა არც იკა ქადაგიძინის პოეტური შემოქმედება, რომელიც გამოჩნდება ხოლმე რუბრიკაში „ერთი ლექსის გაელვება“.

ქ-მა მარიამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ „საინტერესო შემოქმედებითი კოლექტივი შემოიკრიბა უურნალ „ისინდის ირგვლივ“; დაასახელა სარედაქციო კოლეგის შემადგენლობაში შემაგალი როგორც მუდმივი, ისე დროებითი წევრები, წერილების ავტორები. აღნიშნა, რომ „მათი ნიჭის, ერუდიციისა და მხატვრული აღლოს შედეგია ამ უურნალის ყველა გამართული წომერი“. წერილის ავტორს არც იმის თქმა დავიწყნია, რომ უურნალში სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები იძებულებიან, რომელთაგან ზოგი უკე აღიარებული საზოგადოების მიერ, ზოგი კი ახლა გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე.

ქ-მა მარიამ სამართლიანად გამოჰყო თავისი კოლეგა-გორგი კილაძე, რომელიც გარდა იმისა, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბევრი საინტერესო პროექტის ავტორია, თავისი საინტერესო შემოქმედებითაც იზიდავს მკითხველს. სიტყვამ მოიტანა და არ შემიძლია არ აღნიშნა, რომ უურნალ „ისინდის“ მთელი რედაქცია დიდ მადლიერებას გამოხატავს გიორგი კილაძის მიმართ, რომელიც უურნალის ნამდვილი გულშემატევივარია და დიდი წერილი მოუძღვის მისი ელექტრონული ვერსიის გამოცემის საქმეში.

მარიამ მიქაბერიძემ მიმოიხილა მარსიანის, ლერი ალ-იმანაის, ვახტანგ ჯავახაძის, ბონდო არველაძის, ლევან ბებურიძევილის კრიტიკულ-ლიტერატურული წერილები; მონინა უურნალის ყველასაგან გამორჩეული დიზაინი, რომელიც ყველა ნომერში იცვლება და მათი ავტორები არიან: რეზო ემილიანე ადმინის, თამარ ლომიძე, დალი კაბანი და მარსიანი, რომლის ნახატებიც ყველაზე ხშირადაა ჟ. „ისინდის“ გარეყდაზე.

მისასალმებელია, რომ ჟ. „საქართველოს ბიბლიოთეკა“ ეხმანება მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებებს დედაქალაქსა თუ რეგიონებში. როგორც ცნობილია, ჩვენი გენიალური ვაჟა ფშაველა 1886-1888 წლებში სოფ. თონეთში ეწერდა ჟედაგოგიურ მოღვაწობას. ამიტომაც, თეორიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ თონეთში 2019 წლის 29 ივნისს „ვაჟაობა“ გაიმართა. უურნალში კარგად არის გაშუქებული ეს მნიშვნელოვანი და ხალხმრავალი ღონისძიებების დასახელებულია ყველა სტუმარი როგორც მთავრობის,

ისე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მხრიდან. ხაზგას-მით არის აღნიშნული, რომ ამ საზემო ვითარებაში, ამავე სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა მწერლის- დათა პატა-ლაშვილის ინიციატივით ვაჟა ფშაველას სახელობის პიბ-ლიოთექა გაისნა.

მართლა აღმოჩენაა ლია გიგაურის წერილი- „პარუთიუნ (არუთინ) თუმანინის „აღმოჩენა““. წერილის ავტორმა, ჯერ კიდევ ასპირანტმა, გასული საუკუნის 90-იან წლებში ხელ-ნაწყობი ინსტიტუტის საარქივო ფონდში მიაგნო დიდებული პიროვნების, სომხური ლიტერატურის კლასიკოსის, მწერლის, დრამატურგის, პოეტის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის- პარუთინ თუმანინის არქივს და თავის წერილში დაასაბუთა, რომ ეს დიდებული მოღვაწე, რომელიც საქართ-ველში ცხოვრიბდა ილიასა და აკაეის დროს, დავინიშების ლირისა არ არის. ქამა ლიამ განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა ილიასა და ვაჟა ფშაველას ნანარმოებთა მისუელ თარგმანებს.

**ნიკოლოზ მაჭავარინის წერილი-** „მადლობა თქვენ, ქა-რთული ენის ჭეშმარიტო გუშაგო!“, ასახავს ხარაგაულის „კულტურისა და ხელოვნების ცენტრში“ ბატონ ტარიელ ფუტკარაძის- ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორისა და მრავალი რეგალის მქონე პიროვნების სტუმრობას. წერილის ავტორი ბატონი ტარიელის ქართული ენის მიმართ განუეც ღვანილზე მოგვითხრობს და მადლიერებს გამოხატვას მის მიმართ.

რუბრიკა - „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-ლიქები საზოგადოება-140“ რუსულად წიქაძის, გურამ თაყინი-აშვილისა და გულნარა სტურუას წერილებს მოიცავს.

**რუსულად წიქაძის წერილი-** „ქ.შ.ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების პირველი სახალხო ბიბლიოთეკები“ გვაცნობს იმ პიროვნებებს, რომლებიც საქართველოში უფასო ბიბლიოთეკების დაარსების ინიციატივები და ამ საქმის აღმსრულებლები იყვნენ; ასახელებს დედაქალაქსა და საქა-რთველოს სხვა რეგიონებში დაარსებულ ბიბლიოთეკებს 1895-1916 წლებში.

**გურამ თაყინი-აშვილი** თავის წერილში- „ბიბლიოთეკის გამგის ტრაგიული აღსასრული“, მეოთხველებს აწვდის შეზარავ ცნობას იმის შესახებ, რომ „1951 წელს საქართ-ველოს სახელმწიფო მუზეუმიდან უანდარმერიამ გაიყვანა ამავე მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგე, 80 წელს მიღწეულის-ამსონ ფირცხალავა“. ბ-ნი გურამი მიმოიხილავს ამ უპატი-ოსნესი ეროვნული მოღვაწის წერილებს და სამართლიანად აღნიშნავს: „მიზეზი მისი დაპატიმრებისა გახლდათ მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწობა, სამშობლისად-მი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება მისი კეთილდღე-ობისათვის“.

**გულნარა სტურუა წერილში-** „მეცხრამეტე საუკუნის ქა-ლთა დიდი დედა და მასნავლებელი ეკატერინე გაბაშვილი“, მიმოიხილავს ეკატერინე გაბაშვილის- 11 შეილის დედისა და მე-19 საუკუნის ქართველებისათვის დიდ დედად მიჩნეული ქალბატონის მრავალმხრივ მოღვაწობას.

უ. „საქართველოს ბიბლიოთეკა“ განსაკუთრებით მდიდარია ისეთი წერილებით, სადაც საქართველოს რე-გიონებში ბიბლიოთეკების მდგომარეობა და საბიბლიოთეკო საქმიანობა გაშუქებული. ამ მხრივ საინტერესოა რუბრიკა-ბი: „საბიბლიოთეკო ქსელი“, „ეროვნული ბიბლიოთეკის სიახ-

ლენი“ და „IREX ინფორმაცია“.

**გურამ თაყინი-აშვილი** და ნანა ქავთარაძე სამეცნიელო-ზე-მო სეანეთის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმა-ციო მომსახურებაზე მოგვითხრობენ.

წერილი- „ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების რეგისტრაციის ცენტრი“, 30 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პირველ კორპუსში ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების რეგისტრაციის ცენტრის გახსნას იუნიუბა.

ხალისი მომგვრულია საქმიანი და ამასთანავე, იუმორის გრძნობით დაწერილი წერილი- „გურჯაანის მუნიციპალიტე-ტის სოფელ ვეჯინის ბიბლიოთეკარის რეცეპტი ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“.

რუბრიკაში „რუცენზები“- მზია ტოგონიძისა და მარი ჩაკვეტაძის საინტერესო წერილებია.

**მზია ტოგონიძე** თავის რეცენზიაში მიმოიხილავს ემერ-იტუსი პროფესიონის- უუუნა ფერის მუნიციპალიტე-ტის სოფელ ვეჯინის ბიბლიოთეკარის რეცეპტი ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“.

**მარი ჩაკვეტაძის** რეცენზია დაწერილია მწერალ ნეფერ-ტარის (ნინო ჭიპაშვილის) რომანზე „პედურინი“, რომელიც თანამედროვე ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ბესტ-სელერად არის მიჩნეული.

ორგვე რუცენზია მაღალ დონეზეა დაწერილი და აღ-ნიშნული წიგნებისადმი დიდ ინტერესს აღძრავს.

რუბრიკაში- „ქრონიკა“, საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები თანმიმდევრუ-ლად, ლაკონურად და საინტერესოდ არის გადმოცემული.

ჩვენ მიერ მიმოიხილავ ამ შესანიშნავი უურნალის მთა-ვარ რედაქტორს- პროფესიონის ალექსანდრე ლორიას 85 წელი შესრულდა. უურნალის ეს ნომერი მთავრდება მილოცვის წერილით- „მრავალმხრივი შემოქმედი და მკვლევარი“. მი-ლოცვის ამ თბილ და სიყვარულით დაწერილ ტექსტს ხელს აწერს: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთე-კა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, უურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქტორი. ქ. თბილისის პირ-ველი მთავარი ბიბლიოთეკა, მე-10 ბიბლიოთეკა-ფილიალის თანამშრომლები.

უურნალ „ისინდის“ რედაქტია უერთდება ამ თბილ მი-ლოცვის და თავადაც უსურვებს ბატონ ალექსანდრეს ჯან-მრთელობასა და დლეგრძელობას! უურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ სათავეში დიდაბანს ყოფნას და მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ!

## ფილოსოფიის დოქტორების - ზურაბ ხასაძის და ნაპო კვარაცხელიას დიალოგი

### მესამე ათასელეულის კარიბჭესთან

**ზურაბ ხასაძა** - ვაკეში, ბატონი ნაპო, ცხოვრობს ერთი ქალბატონი. „თეთრი მანდილის“ წევრია, ოლონდ მანდილი არასოდეს ჰურებია; არც თეთრი და არც სხვა ფერისა. მის-აყველურა ჩემი საგაზითო წერილებისათვის. ნახევარი საათი ჭუა მარიგა, თან სულ უფასოდ: პოლიტიკოსებმა აკეთონ; შენ ფილოსოფიის საქმეა, პოლიტიკოსებმა აკეთონ; შენ ფილოსოფიის საკითხებს მიხედე, თუ შეგიძლია

თვითონ ქათქათა მანდილს სულ არ უფრთხოლდებოდა და ნავარინ კიბეჭზე იჯდა, ეს პოლიტიკაში გარევა არ იყო და მიეტევებოდა, მაგრამ მე რომ სამშობლოს იავარყოფაზე ვწუხვარ და გამოსავალს ვეძებ, ეს კი უთუოდ პოლიტიკოსობაა და არ მებატიება.

ფილოსოფიურ საკითხთა გამო კი ამ მოფილოსოფოს ქალბატონს უნდა მოეხსენებოდეს: არ არსებობს ფილოსოფიური და არაფილოსოფიური საკითხი: არსებობს ფილოსოფიური და არაფილოსოფიური მიდგომა. მატერიას თუ არაფილოსოფიურად მიუდევი, ის მაშინვე ქსოვილის ნაჭრად გადაიცევა, მაგრამ თუ ღრანჭმოქცეულ ფეხსაცმელს ვან გოგივით ფილოსოფიურად მიუდევი, ის მიწიერი ტანჯვეს ფილოსოფიურ კითხვას შობს.

ამიტომაც, თუ შავგვრემან „თეთრმანდილოსანს“ არ წყინება, ჩვენ ბატონი ნაპო, სრული უფლება გვაქვს „კოლური კოშკიდან“ „ლაშარის გორში“ გადმოვინაცვლით და კიდევ ერთხელ ჩავუდრმავდეთ საქართველოს დღევანდელ უბედურებას.

**ნაპო კვარაცხელია** - რაც იმ წყეული გადატრალების დროიდან საქართველოში ხდება, თვითმკვლელობის ტოლ-ფასია. როგორც ჩანს, ისტორიის მდინარებაში დგება უძი საბედისწერი, როცა ერის სასიცოცხლო ენერგია იშრიტება. იგი სულიერად იფიტება და ეროვნული სუბსტანციის ორი საწყისიდან - სიკედილ-სიცოცხლიდან სიკედილი იმარჯვებს. თანატოს ზეობს ეროსზე, თუ რენანის აზრის: „ერი მუდმივი პლებისციტია“ გავითვალისწინებთ; ისიც უნდა ითქვას, რომ თვითმკვლელობა თუ მისი მცდელობა ერის კოლექტიური ნების ერთგვარი გამოვლინება. ასეთ დროს იგი უარს ამბობს საკუთარ არსებობაზე, ერად ყოფნაზე და თანატოსური საწყისის მეოხებით უჩინდება თვითმოსპობის მოთხოვნილება. მის სულ რაღაცნარი ევთანაზია იპყრობს და უუფლება. რომის იმპერია საბოლოოდ გაანადგურა თვითონ რომაელი ხალხის სულიერი დაცემამ და არა ნახევრადველურია ატილამ ან ალარქისმა.

„თვითმკვლელობას“ ერი, როგორც წესი, მუდამ სხვას აპარალებს და ესეც ზნეობრივი დაკინიების უპირველესი მაჩვენებელია. ამაშია ემერსონის ცნობილი აზრის სიღრმე და სიმართლე: „ერს კი არ კლავენ, ერი თავს იკლავს!“

**ზურაბ ხასაძა** - მე არ მეგულება სამყაროში თვითმკვლელობაზე უფრო რთული, იდუმალი ამბავი. კამიუმ თვითმკვლელობის საკითხი ფილოსოფიის უმთავრეს საკითხადაც გამოაცხადა. ძველ აღმოსავლურ მითებში ყურადღებას იპყრობს ფენიქსის სახე: ეს ფრინველი თავს იწვავს, რათა განახლდება თავისავე ფერფლისაგან. ესა არის დაფლვა აღზევებისათვის, სიცოცხლის უღრმესი მისტერია.

მაგრამ სხვაა თვითმკვლელობა. ამ დროს სიკვდილი მხოლოდ სიკვდილს ემსახურება, ხოლო მკვლელი და მოკლული სრულიად ერთი და იგივეა. ამის განხილვის კვალად აზრის სინათლე წყდება. ერის თვითმკვლელობისას ამ ბურუსს ერთი უცნაურობაც ერთვის ზედ: ერი შეიძლება ისე მოკვდეს, რომ მისი ყველა შვილი ცოცხალი და საღ-სალამათი დარჩეს. ერის თვითმკვლელობა, ალბათ მეტაფორაა იმ ვითარების გამოსათქმელად, როცა ერის შეიღებს აღარ სურთ ერის შვილობა და ძუნის შვილებად იქცევიან. დედა კი უშვილოდ რჩება და ამიტომ აღარც დედა ეთქმის. ერი, რომელსაც შვილები აღარ ჰყავს, მკვდარია.

**ნაპო კვარაცხელია** - თვითმკვლელობა გონიერისათვის მიუწვდომელი წამია. ასე ეროვნული თვითმკვლელობაც. მოვლენებს, რომლებიც რუსთაველის პროსპექტზე დაიწყო და შემდეგ მთელ საქართველოში განვითარდა, ძნელია მოკებინი გონიერული, რაციონალური ახსნა. ისინი პათოლოგიას სფეროს უფრო განეკუთვნებიან, ვიდრე ისტორიული რეალობისა.

როგორც ჩანს, არსებობს კოლექტიური სიგიურცი. აკი, ისე რუსი გენის კაცმა, მწერალმა და ლიტერატორმა სერგებრიავოგმა მისცა მომხდარს თუ მოსახდებს ზედმინევნით ზუსტი შეფასება: „ხომ არ გაგიუდი შენ, ქართველო კაცო?“

**ზურაბ ხასაძა** - როგორ ზუსტად თქვით: კოლექტიური სიგიურცი ეს სიგიურის, ალბათ ყველაზე მძიმე შემთხვევაა. პავლე მოციქულს თუ ვერწმუნებით, კაცთა ცხოვრება სიგიურ უფროა, ვიდრე გონიერება, ხოლო ფროიდის თქმით, დასავლური ცივილიზაცია ძირფესვიანად ნევროზულია: ჩვენ ყველანი ნევროტიკები ვართ. ფრიად სამწუხარო კურიოზია: ფრიოდი სწერების კიველევდა და ადამიანის ზოგადი თეორია გამოვიდა - ესე იგი, თითქმის მთელი ცივილიზაციული დასავლეთი სულიერად სწერები აღმოჩნდა. კაცობრიობის ისტორიაში დატრიალებული კოშმარებისათვის თვალის ზერელე გადავლებაც კი საქართველოსა, რომ ანაზღად მთელი სამყარო საგიურად მოგეწვენოს.

კოლექტიური სიგიურე განსაკუთრებით მეურნალი ერჩის. მისოვეს მთავარზე უმთავრესა ჯერ ქრისტე აცვას ჯვარზე. ის ხომ თვითონ მეურნალობს თავისთავს და მეურნალობს იმით, რომ ნორმალურს აცხადებს გიუად. ვერაფერს იტყვი: გიუ როცა თავისთავს მეურნალობს, დიდებული შედეგია მოსალოდნელი.

ნამდვილი მეურნალობა კი მიზეზების დადგენით იწყება. სად უნდა ვებრძოთ ყოველივე ამის მიზეზი?

**ნაპო კვარაცხელია** - როგორც წესი, ასეთი მიზეზად რუსეთის მთავარბას და იმპერიულ ძალებს ასახელებენ. მართლაც, იმპერია და მისი ადგილობრივი მეზურე კოლონა პირდაპირ გააცოფა და გააბოროტა ხალხისა და ეროვნული ხელისუფლების ერთიანობაში. მეტროპოლიას კოლონიაში ასეთი რამ არამცდარამ არ აძლევს ხელს. პირიქით, მისი იდეალია ანტისალენური რეჟიმი ანუ, როგორც თქვენ ბრძანებდით, დამარცხებული ხალხის გამარჯვებული ხელისუფლება.

ალბათ გახსოვთ პუტინისტური პროპაგანდის უნიათო ჭორინები როგორ აქისებდნენ და აბაბრუებდნენ ხალხის ცნებას. ედეპელი ჭანტურია იჭაჭებოდა: ხალხი ბრძოა!

უფრო სამწუხარო ის არის, რომ ერთი ჩვენი ფილოსოფიის დოქტორი ისე მოიხსელა ამ „სიპრძინით“, რომ იგი ტელეეკრანებიდან პირდაპირ სტუდენტებისათვის განკუთვნილ ფილოსოფიის სახელმძღვანელოში გადაიტანა.

დიახ, ხალხს ბრძოდ ნათლავდნენ და შემდეგ იმავე „პრბოს“ ეჯვებოდნენ საკუთარი რეჟიმის დაკანონებას.

**ზურაბ ხასაძა -** ხალხის გამო ბუნდოვანი ნარმოდგენა ახალი ამბავი არაა. მჩატე აზრს ხალხი ცალკეულ ინდივიდთა შემთხვევით გროვა ჰქონია. ინდივიდები, უმეტესად, უფრეული და უმნიშვნელონი არიან. აქედან ასკვინან, რომ ხალხში დიდი არაფერი ჰყრია.

სინამდვილეში ასე არაა. ხალხი ატარებს პიტალო ოქროს ზოდს, რომელსაც მხოლოდ თავისმა კეთილშობილებამ გააძლებინა. ზებუზებრივ სიკეთეშია ამ ზოდის უკვდავების საიდუმლო. ინდივიდი კვდება, მაგრამ ხალხი უკვდავია. ინდივიდი სულნასული და ბოროტია, ხალხი - დიდსულოვანი და კეთილი.

ინდივიდს ეს ოქროს ზოდი გაცნობიერებული არა აქვს, რადგანაც გამცნობიერებელს ტარება გაუჭირდება. ეს ნაკლი კი არაა, არამედ - ღვთაებრივი წესი და რიგი.

რასაც ხალხი არაცნობიერად ატარებს და ინახავს, მას გამოჩენილი პიროვნება აცნობიერებს და კარგად გამოხატავს.

მინდვრის ყვავილებს ფუტკრები დასტრიალებენ, რათა იშვიათი წექტარი ამოსნოვონ. თვითონაც ტებებიან და ყვავილებსაც სიცოცხლეს განუახლებენ, აცოცხლებენ. ხალხსაც მისი უკეთესი შვილები თავს დასტრიალებენ, მხოლოდ მისგან სხავლობენ და ამითვე ანაყოფიერებენ მის ოქრორეულ უშრეტ გრიას.

ამიტომ ხალხი და მისი საუკეთესო შვილები უერთმანეთოდ ვერ სძლებენ, რასაც ვერ ვიტყვით ჭანტურიას ან გოგა ხაინდრავას ურთიერთობაზე. შემჩნეულია, რომ ისინი მშვენივრად სძლებენ უერთმანეთოდ.

**ნაპიროვანები -** რას იზამ? ძალაუფლება თავებდია თავისი ბუნებით. პოლ ვალერი მწარე ირონიით შენიშვნავდა: ძალაუფლება მისი ბოროტად გამოყენების გარეშე ყოველგვარ სიბლს და ლაზათის დაკვარგავდა. ჩვენმა პუზისტემბა ზედმინებით კარგად უწყინ ეს „სიპრძნე“ და შესაშური მონდომებით ახორციელებენ კიდეც მას ცხოვრებაში. ამ მხრივ ისინი რესული ბოლშევიზმის ლირსეული მემკვიდრეები არიან. მათ ასევე შესანიშნავად იციან, თუ სად და რა არის სიმართლე. ამიტომაც ებრძევან მას ცხოველური ჟინითა და ჯალათური გულმოდგინებით.

და მანიც უნდა ითქვას: იმპერიის დასახელება უახლესი ესრთული ტრაგედიის მიზეზად ოუმცა კი სწორია, მაგრამ ერთობ ასატრაქტულია. გამომძიებელი იურისტს არავინ დაუჯვერებდა, კაცის დახრჩობის მიზეზად წყალი რომ დაესახელებინა; თუმცალა ადამიანის სასუნთქი სისტემა ისეა მოწყობილი, რომ წყალი, საზოგადოდ, ახრჩობს ადამიანს.

ვინ არ იცის, რომ იმპერია ყველა ბოროტების სათავე; მაგრამ ისიც საცოდნელია, რომ ყველაფრის სხვაზე გადაბრალება პასუხისმგებლობის გრძნობის დაქვეითებიდან ან სულაც არქონიდან ნარმოსდება და ერის თუ ინდივიდის სულიერი დაკნინების მაჩვენებელია.

ვისაც თავისუფლება სურს, მან პასუხისმგებლობა უნდა იყისროს, რადგან სწორედ ეს უკანასკნელია თავისუფლების

საფუძველი. თავისუფლება უდიდესი ტვირთია და მას ყველა ვერ უძლებს. ამიტომაა, რომ არაიშვიათად ინდივები და ერები უარს ამბონენ თავისუფლებაზე და ისევ მონობას ირჩევენ, რაკი ეს უკანასკნელი ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობის და თავისუფლების მძიმე ტვირთისაგან. ამის გამო, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ადამიანი ქვეცნობიერად გაურბის თავისუფლებას, რათა თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას. ასეც ჰქვია ერის ფრომის წიგნს: „გაქცევა თავისუფლებისგან“.

თუ თავისუფლებაში ყოფნა განვიზრახავს, კეთილი უნდა ინგრძელოს გვირგვინით და მძიმე ჯვრით გოლგოთის გზაზე სიარული უნდა შეძლო. ეროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება პასუხისმგებლობაში ყოფნის მუდმივი რისკია. რისკი კი დიდ სულიერ ძალისმევას და ძნეობრივ სიმამაცეს მოითხოვს.

**ზურაბ ხასაძა -** თავისუფლებისაგან გადაჩვევის და მონობის ყველაზე კარგი მაჩვენებელი თავისუფლების არცოდნაა. მონას არასწორი ნარმოდგენა აქვს თავისუფლებაზე და ხშირად იმიტომაც მისწრაფვის მისკენ; ხოლო როცა ნამდვილ თავისუფლებას მოჰკრავს თვალს, შიშით უკუიქცევა.

ასე მოუვიდათ ებრაელებს ეგვიპტიდან გამოსვლის მერე. მათ დაინახეს, რომ მონობა ისეა ცუდი, თორემ წესი და კიტრი თურმის ბლომად ასხია ზედ. თავისუფლებაც ისეა კარგი, თორემ, ვარდისა არ იყოს, სულ ეკლებს ისხამს; თან სულ ცუური მანანა ჩემმა მტერმა ჭამა.

აგერ ჩევენმა ბუბამაც მსგავსი რამ არა თქვა? ამერიკაში თავისუფლება კია, მაგრამ იქ ვერ გავძლებ - სულ პამბურგერი ჩემმა მტერმა ჭამა. ნამდვილი ბუბური ლოგიკა! არიქა, საქართველოც არ შეიძლოს - რალაც ეშმაკად მომრავლდა პამბურგერები ამ ბოლო დროს.

ბიბლიურმა ებრაელებმა ღვთის ჰქვა - ქუსილიან გამოცხადებასაც ვერ გაუძლეს და ღმერტთან პირისპირ თავისუფლად დგომას მოსეს შუამდგომლობა არჩიეს. აქაც თავისუფლების მტანჯველი სიმძიმე უნდა ვიგულისხმოთ.

ამ თემაზე კარგი მოთხოვბა აქვს კამიუს. ალექირელმა არაბმა სულ არაფრის გულისათვის ნამგლით გამოჭრა ყელი პინაშვილს. თანასუფლებები მის დასაჯას ითხოვენ. ფრანგულმა პოლიციამ, მღელვარების თავიდან ასაცილებლად, დაიჭირა მკვლელი და შებორკილი ნამოიყვანა უახლოების ქალაქისაკენ, რათა მართლმასაჯულებას გადასცეს. დანიშნულების ადგილას მის მიყვანა სთხოვეს მთის სოფელში გამწესებულ ფრანგ მასწავლებელს. მასწავლებელმა არ იკადრა ურთიერთობა ბორკილგაყრილ მკვლელთან და ახსნა ბორკილები. რამდენჯერმე მისცა გაქცევას შესაძლებლობაც, მაგრამ გაკვირვებულმა დამაშავემ არ გამოიყენა. ბოლოს გალიზიანებულმა მასწავლებელმა გზაჯვარედინზე დააყენა და აუხსნა, რომ აღმოსავლების გზა ციხისა და მთავრობისკენ მიღიოდა, სამხრეთისა კი - თავისუფლებისაკენ. თან საგზაულო მისცა, ფულიც აჩუქა და თავად უკან გამობრუნდა. ტყვე საგონებელმი ჩავარდა, იყოებან, ტვინი იჭყლიტა და ბოლოს აღმოსავლებისაკენ გაუდგა გზას.

აქ ნათლად ჩანს, რომ კაცი გაექცა თავისუფლებას. მას პასუხისმგებლობისა და რისკისა თავი არ ჰქონდა და ამიტომ ჰქვია.

ჩევენს დროში ამ თემის წინ ნამონევა საერთო დაკნინების

და დაძაბუნების ნიშანია. სიამოვნებისათვის ცხოვრებამ არ იცის პასუხისმგებლობა. მანქანურ-კომპიტერული ხანა თავისუფალი ნების ნამუსრევოთაგან იგება. თანამედროვე ადამიანი „ძია კომპიუტერის“ უპასუხისმგებლო ვაჟი.

**ლიბეროფობია** - თავისუფლების შიში ქართველისთვისაა განსაკუთრებით დამლუპველი, რადგან ჩვენ საშმობლო გვაქს დასახსნელი. ვინ არ იცის, რომ მოამერიკელი ქართველი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამბრუნებელი არაა.

მე და თქვენ, ბატონო ნაპო, სააფხაზოს მკვიდრნი ვართ და რა გასაკვირთა, რომ თუ საქართველოს პრისტოლებს აფხაზეთის პრობლემიდან ვუყურებთ. ცნობილია, რომ საკითხის სწორად ჩამოყალბება და მისი დასმა მის სანახევროდ გადაწვეტას უდრის. მაგრამ თუ საკითხი არაა ჩამოყალბიერული და დასმული, მისი გადაწყვეტა არანაირ სულიერს არ ძალუდს. სააფხაზოს პრობლემა განვებდ არასწორადაა ჩამოყალიბერული და დასმული, აღბათ იმისათვის, რომ არასოდეს გადაწყვეტა.

**ნაპო კვარაცხელია** - აფხაზეთის ომი კანინიერი ეროვნული ხელისუფლების დამხობის ვერაგული გეგმის შემადგენელი ნანილია. ამ გეგმის შედგენაში თანაბრად მონანილეობდა დისიდენტი აკადემიკოსი სახაროვი და საიდუმლო სამსახურის მავანი მოხველე. გახსნოვთ აღბათ, სახაროვთა საქართველო მცირე იმპერიად მონათლა და ამით იდეურად შეამზადა აფხაზური დენთის აფეთქება; თუმცა იმპერიას უკვე დეკაბრისტების დროიდან ეჭირა თვალი აფხაზეთზე.

ბოროტების სათავე ისევ და ისევ ეროვნული ხელისუფლების დამხობის ფაქტში უნდა ვეძიოთ. აკი პრეზიდენტი წინასარმეტყველურად გვაფრთხილებდა, ჩემი გადადგომის შემთხვევაში დაიკარგება სამაჩაბლო და აფხაზეთი, მაგრამ გამძინარებულმა „დემოკრატება“ ყურიც არ ათხოვეს...

**ზურაბ ხასაძა** - ბატონო ჩემი, იმ შემოდგომაზე სამაჩაბლოსა და აფხაზეთზე ზრუნვისათვის, აპა, ვის ეცალა, როცა „სინდისის პატიმარი“ გვყვადა გამოსახვიზებლიდან დასახსნელი. „თავისუფლება გოგა ხაინდრავას!“ - ყელს იღადრავდა და ედეპე. ძედის ირონით, სულ ქრისტიანულ სიყვარულზე იპურდებოდა ეს სიძულვილის გორგალი. „თავისუფლება სინდისის პატიმარი!“ - მხარს უბამდა ჭანტურიას რამეკანი ბუღა, „ზონგან!“. თან ასე ფიქრობდა აღბათ: „პატიმარი კი ვიცი რაა, მაგრამ ეს სინდისის პატიმარი. ნეტა, რა პონტიაო?“

ასე იყო თუ ისე, ვათავისუფლებდით გოგა ხაინდრავას, - ჩვენი დემოკრატის სინდის და შენი სააფხაზო და სამაჩაბლო ვიღას ადარდებდა.

**ნაპო კვარაცხელია** - ასე იყო. გამძინარებულმა დემოკრატებმა ყურიც არ ათხოვს პრეზიდენტის წინასარმეტყველურ გაფრთხილებას და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ამ იმში, რომელსაც რატომდაც კნინობით „ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად“ ისხსენები.

**ზურაბ ხასაძა** - ეს ტერმინი რუსეთის გენტაბში იშვა, რადგან დიდი რუსეთისათვის ჩვენი სამშობლოს ნახევარი ტერიტორიის გადაწვა ერთი პატარა კონფლიქტია და სხვა არაფერი. ჩვენი ხელისუფლება კი ამ ტერმინს იმეორებს იმიტომ, რომ ისიც რუსეთის გენტაბიდან აზროვნებს. ამ გენტაბიდან გამოგვეცხადა და, თუ არ ვცდები, ამ გენტაბით უდგია სული დღესაც. კაცი ქართველი არ უნდა იყო და საქართველოს კრემლის ვარსკვლავიდან უნდა დაპყურებდე,

რომ აფხაზეთის ჯოვოხეთურ ომს კონფლიქტი უწოდო!

**ნაპო კვარაცხელია** - იმ ომში ყველაფერი ისე აირ-დაირია და გადაეხლაერთა ერთმანეთს, რომ გორდიასის კვანძის ახსნა უფრო იოლია, ვიდრე მასში გარკვევა. სიძელე და გაურკვევლობა კი, მოგეხსენებათ, ხალხის ცნობიერების მართვის ნაცადი ბოლშევიკერი ხერხია. ამიტომა, რომ მებრძოლებმა დღემდე არ იცინ, ვის ებრძოდნენ; ხოლო საცოდავ ლტოლვილებს ჯერაც ვერ გაურკვევიათ, თუ ვინ გამოდევნა ისინი აფხაზეთიდან - რუსეთმა, არინბამ თუ სხვა ვინმე. მასმედიის ძლიერი ნარკოზის ქვეშ მყოფი ლტოლვილები ჰიპნოზიდან ვერ გამოსულან და იმას იჯერებენ, რასაც ჩასძახიან.

მთელ ამ გაურკველობაში ერთი რამ უდაოა და ცხადი: ეს იყო რუსეთ-აფხაზეთის ანონომური ომი, რომელშიც უკანონი ხელისუფლების და იმპერიის ინტერესები უნაშთოდ დაემთხვა ერთმანეთს. აპა, ვინ არ იცის, რომ გუდაუთის ლურსმნის სამქრიში არც ტანკები მზადდებოდა და არც ბომბდამშენები. აფხაზეთში გვარდიის შეყვანის მიზანი სწორედ ეროვნული ძალების განადგურება იყო და არა რეინგზის დაცვა. უკანონი ხელისულებაშ აფხაზეთი წააგო, მაგრამ ხელისუფლება შეინარჩუნა.

ეს იყო ომი, რომელიც წინასარ დამარცხებისათვის იყო განწირული, რაავ დამარცხებას ისახავდა მიზნად. დამარცხების ორგანიზება კი უფრო ადვილი როდია, ვიდრე გამარჯვებისა.

**ზურაბ ხასაძა** - დამარცხების ორგანიზების ეს აფხაზური ტრაგედია მუდამ მახსენებს ერთ ჩვენს კინოკომედიას. ბავშვთა მწვრთნელმა, მეტასხელად ფეოლი (პალიოტე ხეიჩია) შეთანხმებით, უნდა წააგებინოს თავის გუნდს უფრო სუსტ გუნდთან. ცმუკას, ვერ ისვენებს. სარბენ ბილიკზე გამორბის, ყყირილით აძლევს თავის ფეხსურის უფლებას არასწორ მითითებებს. განსაკუთრებით კი თავისმა საუკეთესო თავდამსხმელმა ხელდელიძემ გაუშრო სისხლი - პანტა-პუნტით ატყუებს მოწინააღმდეგე მცველებს და სადაცაა, ბურთის გაიტანს. „დაცვას მიხედე, ხელდელიძე, დაცვას!“ - იჭაჭება ფეოლია-იპოლიტე და გამარჯვების შემთ ციფი ოფლი ასხამს.

„დაცვას მიხედეთ, დაცვას!“ - უკიუინებდა ჩვენს მებრძოლებსაც მთავარსარდალი და გაგრიდან სოცეტში აბრუნებდა, ტყვარჩელიდან ოჩამჩირები, ოჩამჩირიდან გალში, გალიდან ცხენისმცალზე, რათა აქ შებრძოლებოდა ნამდვილ მტერს, საქართველოს სახალხო ლაშქარს, ეროვნული მოძრაობის „ფურუნჯულს“. მე თქვენმა ნათქვამმა გამახსენა ეს: გამარჯვების ორგანიზებაზე იოლი როდია დამარცხების ორგანიზება. მართლაც ფეოლია-იპოლიტემ ვერ მოახერხა ეს. ჩვენმა მთავარსალდამა კი მოახერხა. მან შეუძლებელი შეძლო. ბოლშევიკები ხომ გაჩერის დღიდან ასე არიან - შესაძლებელს თავს ვერ აბამენ, შეუძლებელზე არინ დაგეშილები.

ერთია, თუ როგორ დაგვარგეთ. მეორეა, თუ როგორ დავიბრუნოთ დაკარგელი.

**ნაპო კვარაცხელია** - თუ როგორ და რანაირად უნდა მოხდეს ჩვენი იურისდიქციის აღდგენი და ლტოლვილების დაბრუნება, ეს პოლიტიკოსების და სტრატეგოსების საქმეა. მე კი დანამდვილებით ერთი რამ ვიცი; უაფხაზეთოდ საქართველო რუსაზეც და რეალობაშიც, ისევე მახინჯია, როგორც ელცინის ხელის მტევნია.

დისიდენტების და თავისუფლებისმოყვარე ხალხების დამცველი, დიდი სასიკეთო იმპულსების მომცემი პრეზიდენტ რეიგანის თეთრ სახლში ყოზნის შემდეგ (1980-1988 წე) აშშ-ს შემდგომმა პრეზიდენტმა, მეორე რესპუბლიკელმა, ნეოკონსერვატორმა პრეზიდენტკ ჯორჯ ბუშმა (უფროსი), ჩვენ თავისუფლებისმოყვარე ქართველებს, რეიგანისაგან განსხვავებით, მკვეთრად უარყოფითი დაგვამოხსავრებინა თავი. ამის გამო, ჩვენი ქვეყნის ანტიკომუნისტი ლიდერი ზეიად გამსახულდია აშშ-ის კონგრესმენებთან და სენატორებთან შეხვედრისას გულდანყვეტით თქვა: ჩვენთვის, ამერიკის თავისუფლების მისწრაბებების სიმბოლოა, - ნიუ-ორეგონის აღმართული თავისუფლების ქანდაკება ჩირალდნით ხელში, მაგრამ სამწუხაროდ, დღის საზემოოდ არ გაქვთ საქმე. ის ჩირალდნი ჩვენთვის ქართველებისათვის არ ანათებს.

განგებამ მერაბს და ზეიადს ეკლიან გზაზე სიარული არგუნა, მაგრამ, მითხარით გეთაყვათ, ეკლიანი გზა განა რჩეულთა ხევდირ არაა?

მერაბ კოსტავა.

რით დაიმსახურა მან „ყოველთა ქართველთა“ ერთობის ესოდენ საჩინო პატივისცემა?

განა რა ასეთი განსაკუთრებული კვალი გაავლო ქართულ მინაზე?

ამ და სხვა კითხვებზე, მომავალში უფრო უკეთ, უთუოდ გვმართებს მკაფიო პასუხის გაცემა.

...და მაინც ვინ იყო მერაბ კოსტავა?

მარადებებს ფიზიული სინდისი ჩვენი.

ქართველი ერის გაუტეხელი სინდისი.

შენ დაიფერფლე, მერაბ, შენივე ლექსში:

მთაწმინდის თეთრი ბილიკების ამონაყარზე ვინ დაიფერფლა და თბილისის იქცა მფარველად, ჰო, თბილის, შეს დიდებად მთაწმინდა კმარა, იმისი მადლით ხამს სატანა შენგან განვიდეს, მთაწმინდის ზეცა თავადა ლოცვა ანკარა, ლოცვა ნართქმული წმიდა ბაგით - მამა-დავითის. („დირს მამა დავითს“)

მერაბ კოსტავას, როგორც ქართველი კაცის კაცობრიული უმაღლესი მისია, ზეიად გამსახურდიამ თავისი, „ნამებულ ძმისადმი“ (1986 წ.). მიძღვნილი ლექსის სტრიქონებში გამოხატა: „ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე, ბნელში მსხდომთ კვლავაც აღვუნოთო კვარი, და მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.“

ზეიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას შემდგომში იტყვის (1991 წ.): „...ცენტრს (კრემლს) აქვს მიზანი. მისი მიზანია ჩვენი დასჯა. ჩვენი დასჯა იმისთვის, რომ ჩვენ დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოთ...“

მერაბ კოსტავამ თავის სასამართლო პროცესზე (ხელმეორედ პატიმრობაგრძელებულს ვითომდაც „ხულიგნობაზე“ დაპატიმრებისას, 1981 წ.) 11საბოლოო სიტყვაში დასასრულ ასე თქვა:

„თქვენ ისე მეცეცევით მე, როგორც რუსეთი ექცევა ჩემს სამშობლოს, საქართველოს!“

დამეტანხმებით, კომენტარი ზედმეტია.

თქვენ, ორივეს (მერაბს და ზეიადს) ღრმად გწამდათ იმ სიტყვების უცყვარობა, რომლითაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცმა, ზეიად გამსახურდიამ, ცხრა წლის შემდეგ (1990 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის პირველი არხით), თავის თანამებამულებს დამდეგი ახალი წელი მიუღლოცა და დასასრულ ასე თქვა: „...მოგეხსენებათ, მსოფლიო ისტორიის უმთავრესი კანონზომიერებაა - იმპერიების დროებითი არსებობა და მათი საბოლოო აღსასრული ყოველთვის გარდაუვალი!..“

ცხადია, ყველა გულმეურვალე ანტიიმპერიალისტი და ანტიკომუნისტი ქართველი პატრიოტი ამას ვეთანხმებით.

იგი ამით როგორც საბჭოთა, ისე რუსეთის იმპერიაზე მიუთითებდა, რომლის შესახებ უფრო ადრე ცნობილი ამერიკელი სივეტოლოგი, პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, რიჩარდ პაიში თავის წიგნში, რუსეთის იმპერიის შესახებ წერდა: „რუსეთის იმპერია არის დიდი ფეტიში, რომელსაც ეტრიის, ცარიზმი იქნება ეს თუ პოლშევიზმი.“

მერაბმა და ზეიადმა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან საბჭოურ წყვდიადში, ტირანის სრული აღზევების შემდეგ, სინელენისა და უმეცრების, ათებზის ღრმა ჭაობში აგიზგიზების მამულის სიყვარულის ჭეშმარიტი ლამპარი.

ზეიად გამსახურდია შემდგომში ერთგან ორიგინალური სტილით დაწერს: „დიდი ახსნა-განმარტებითი სამუშაოა საჭირო, რათა ფართო მასებს შევაგნებინოთ თუ რაში მდგომარეობს დღეს სიკეთის წინააღმდეგ მიმართული ტაქტიკა. ეს არის უაღრესად დახვეწილი დემაგოგია, ახალი „დემიკრატიული“ და „ქრისტიანული“ ნიბის მორგება. ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს სამწუხაროდ ყოველთვის ვერ ცნობდა ხალხი. იყვნენ აშკარა აგენტები, კრემლისა და სუკის ღია ემისრები, მაგრამ უფრო საშინი იყვნენ და არან „წყალქვეშა ნავება“ და „ტრიას ცხენები“, რომელთაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ხალხის და საზოგადოების დარბევაში, მოტყუბებში. საბჭოთა პერიოდში მათ „დისიდენტების“ სახელებიც კი პქონდათ, ან ნეიტრალური ინტელიგენტების, „რეალისტების“ და ასე შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, არავინ იცოდა მათი ნამდვილი მისა.“

(მართლაც რომ სუკის მცოდნეობის უბის წიგნაკში ჩა-

საწერი სიტყვებია).

ძმაო, მერაბ! არაერთი ქ შეცდომილი ადამიანი და სხვადასხვა ჯურის პოლიტიკური სექსოტი, სუკ-ის ინსპირირებით ყოველთვის ცდილობდა და დღესაც ცდილობს თქვენი (მერაბის და ზვიადის) ერთგული და შეურყუნელი ძმობის მოშლას, თქვენს შორის, თურდაც ოდნავი ხინჯის შეტანას.

ამით, არამარტო მათი სახელები შეურაცხყოს, არამედ სუკ-ის ძეველი ოცნება აისრულოს და მათი თავკაცობით წარმართული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოირაობაც ლაფით შესვაროს.

...მაგრამ, სულ ამაռდ!

შენი წასვლა ამა სოფლიდან, იქნებ იმ საზიზლარი „ოცნების“ აღსრულების ბოროტისეული გაგრძელება იყო?

მე ეს, სრულებითაც არ გამიკვირდებოდა?!  
ახლა ასე მოგმართავდი, მერაბ!

დღევანდელი მძიმე განწყობილებიდან გამომდინარე, მინდა სრულიად გულწრფელი პათეთიკით მივმართო ჩვენს მარადდაუვიწყარ საქართველოს ეროვნულ გმირს.

ვალმოხდილი მიუხვალ, ძმაო, ჩვენს დიდ წინაპართა წმინდა აჩრდილებს.

შენ ყოველთვის და ახლაც სრულიად საქართველოს ხარ!

მეციხოვნე იყავ მამულის და ასეც დარჩი, ბორკილებ-დადებულო დარღო ჩვენო და დიღო სიამაყევ!

შენი ცხოვრების დევიზი იყო ხალხური „ბმით წატირალი“: „სიკვდილო, ნურც შენ მოგწონ თავი, სირცხვილზე მეტი არც შენა ხარ...“

შემდგომში პრესის ფურცლებზე, ინტერვიუში მერაბის დედა ქ-ნი ოლდა დემურა - კოსტაგასი იტყვის: „მე, როგორც მერაბის დედა, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ზვიადის და მერაბის მეგობრობა იყო ყოველთვის ქრისტე-სმიერად ჭეშმარიტი და შეუბრალავი. მე ყოველთვის ძალიან განვიცდი, როდესაც ჩირქს სცხებენ მათ მეგობრობას“.

„უფალო ლირს მყავ ჩემი ერისთვის არ შევეცუო ხევდრის სიმძიმეს, აქ გამოვლილი სატანჯველისთვის იქაურ ტანჯვას ნუ შემიტირებ“ – ეს სიტყვები ჭეშმარიტ ქრისტიანს, მერაბ კოსტაგას ეკუთვნის.

მინდა დავისარულო ის, რაც უკვე ზემოთ ვთქვი, ასეთი ნაღდი კაცები ამას ჭეშმარიტად იმსახურებენ:

„დიდხანს და დიდხანს ქართველს საბუთი ექნება სთქვას, რაც მარტო დიდბუნებოვან კაცზეა თქმული: „მოკვდა და თვისის ანდერძით ან ისევ საქმობს მკვდარიო“.

თბილისი - ზუგდიდი.  
ქრისტეშობისთვე, 1992 წ.

## შეცნევები

1 გაზ. „აღდგომა“, № 4 მაისი, 1992წ.

2 მერანდრე – დიდი ტელეპრეზი დრამატურგი და კომედიანტი, მოლვანეობდა ქვ/ალ. 342 – 251 ნ.წ.-ში.

3 ამგვარი ქმედება (მთელი ამ სამარცხვინო პროცესების დასასრულ, ისევე როგორც ლეგიტიმური პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდისა და ეროვნული ხელისუფლების საქართველოდან

განდევნის აღსანიშნავად გამართული „ტრაპეზის“ თუ ღრეობის მოწყობა) ყოვლად აღმაშევობები და დასაგმობი ფაქტია ყოველი ქართველის, ყველა ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ქრისტიანი ადამიანისგან, რომელიც დიდი ეროვნული ტრაგედიას მიზეზი შეიქმნა.

4 სამარცხორდ, ქართველი ხალხის ერთ ნაწილს (ევრეთ წოდებული პასურები, ნეიტრალური, როგორც ყოველთვის სსვების მომლოდნე ბონვატები, არსებითად არაპოლიტიკურად მოტივირებული, ასეთები მათში შედარებით ყველაზე დიდ წანილს წარმოადგენდნენ) კრიტიკულ მომენტში, არ აღმოჩნდა სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის შესაბამისი წვდომა და პოლიტიკური ალლო. ცენტრმა (კრებლმა) საქართველოსათვის მეტად დრამატულ მომენტში, საკუთრ დაქაშ შაგბნელ ძალებთან ფარული აღიანისთ, პროფესონალ პროვოკატორთა მიერ ბინძური ჭირების გავრცელებით და ცრუ პროპაგანდით, შეიძლება ითქვას დახვენილი დემაგოგით, ე.წ. „წყალქვემა ნავების“ და ე.წ. „ტროას ცხენების“ გამოყენებით ასევე ადგილობრივი პოლიტ-სექსოტა დახმარებით, ათასგვარი ინსინუაციით, ე.წ. „ეროვნული პარტიების“ ხელშეწყობით შეძლეს „დაბნეული“ ხალხის შედარებით მცირე წანილის დარწმუნება, იმ ერთი ცრუმაფიცარი „დიდპოლიტიკოსი“ შევას (შევარდნაძისათვის დასავლეთში უურნალისტების მიერ ასე შემოკლებულად შერქმეული სახელი) უძლეველობაში. მათაც დაიჯერებს! მსოფლიოს „დიდ პოლიტიკოსებთან“ ნაცნობობა-ჩამდაკაცების გამო. მანაც, მისთვის ჩვეული სიცრუით დააჯერა ისინი, რომ: სულ რაღაც რამოდენიმე (ორ-სამ) ნელში, ქართველის ევროპა-მერიკულად კარგად „დაგარცხნილ“ ქეყანას „ჩააბარებდა“. მხოლოდ ამის შემდეგ საქართველოს აღმონიშებისათვის დამაშვრალ და ლვანლმოხდილ მოხუც შევას თითქოსდა მორალური უფლება ექცებოდა გასულიყო ლირსულ პერსონალურ პესიაზე.

სამუხაროდ, ვერ დავიცა მოციცალური! „ოფიციალური“ პოლიტიკური ეპიცენტრი - რუსთაველის გამზირი! ვერ ვიხილეთ ქართველი ხალხით გადაჭრდილი გამზირები, მოედნები, ქუჩები. ვერ და ვერ ვეღირეთ სამშობლოს გასაჭიროს უძის ერთსა და ბერის ერთობას! საწმყსოს მწყემსმთავარი და წინიდა სინიდის მაღალი ერარქები, ბერ-მონაზენები - წინა ხაზზე ანთებული კელაპტრებით, სანთლებით და ჯვრებით ხელში! ვერა და ვერ მოვისმინეთ და წავიკითხეთ ეკლესიებსა და ღია ცეკვე, ისე როგორც 80-იან წლებში პოლონეთში თავისუფალი პროფესიონული მოძრაობა „სოლიდარობის“ საყოველთაო აღზევების ჟამს საჯარო ლოცვა-კურთხევას, საყოველთაო ეროვნული თანხმობისა და ხანგძლივი სამჯელაქო შშვილობისთვის განეული მუდმივი ზრუნვა-გარჯა (თუნდაც ისე, როგორც ეს ლიტვაში ვილნიუსის ცნობილი მოვლენებისას, რვა თვის განმავლობაში დღისით და ღამით იცვადა პარლამენტის შენობას, რის გამოც საბჭოთა არმიის ტანკებმა და „ომონმა“ იქ თავიანთ მიზანს ვერ მიაღწია, თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ლიტველმა ხალხმა გმირული თავგანწირების ფასად შეძლო).

სამუხაროდ, ზემოთქმული (ე.წ. პასურების) „დაბნეული“ ხალხის ეს წანილი დაიღალა და იყოდა გატყდა (თითქოს ამისთვის მზად იყონენ კიდევ). კრემლის დეზინფორმაციულმა მანქანამ თავის უგვან მზანის მიზანით ექიმები - თავი იჩინა კიომინალისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ, თანდათან იმქლავრა თანა-მედროვე ქართველებისათვის დამახასიათებელმა ჩვეულმა სენ-მა - უდარდელობამ და უმნიშვნელოვანების საკითხების მიმართ ზერევე დამოკიდებულებამ, სამართლის და კანონიერებისადმი დიდმა უპატივცემულობამ. საპირისპიროდ იქცევდა ხალხის მეორე, დიდი წანილი, რომელიც არნახული სიმტკიცით და გასაოცარი სიმამაცით გამოირჩეოდა. მაგრამ, როგორც იტყვიან „ძალა აღმართს ხნავს“ - (რაც თავის მხრივ, ცალკეული

რი ნაშრომის დაწერას გვავალდებულებს).

ასევე საგულისხმოა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 25 დეკემბრის განცხადების („მიმართვა ქართველ ერს”, გამ. „საქართველოს რესპუბლიკა”, N252, 25.12.1991 ნ.), მოტევებელმა ნაყრუბაძ და ე.წ. „პასიურების” შესაბამისმა „უპასუხისმგებლობამ (მისი სიტყვით რომ ვთქვათ ...შევი დღე დაუდგა საქართველოს” - ზეიად გამსახურდა) საკალალო შედეგები გამოიღო, რაც თავგანნირგის, გმირობის ფასად უცილობლად უნდა დაგვეცვა, ვაგლახ, რომ ჯეროვნად ვერა და ვერ გადავარჩინეთ!

5 აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავ-  
შირის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიქტის ხე-  
ლისუფლების ორგანიზმა 1991 წლის 25 დეკემბერს არსებობა  
შეწყვიტეს (ეგზისტენციალურად რომ ვთქვთ, როგორი ძალ-  
ადობრივი, დანაშაულებრივი, არასამართლებრივი გზითაც იგი  
შეიქმნა, ისეთივე ძალადობრივი, დანაშაულებრივი, არასამართ-  
ლებრივი გზითაც იგი დაიშალა). საქართველოს რესპუბლიკის  
ეროვნულ ხელისუფლებას საბჭოთა კავშირის დაშლის გაფორ-  
მების პროცესსა და ისევე „დაზ“-ს (კრემლის მხრიდან იგივე  
მეთოდოლოგიის გამოყენების გამო). ეს კი ინიციატივა, რომ საქა-  
რთველოს რესპუბლიკა გაემიჯნა საბჭოთა კავშირის დემონტა-  
ჟის პროცესს (რაც აღნიშნული საკითხის ცრუ ინტერისტეტაციას  
ნარმოადგენდა, ჩვენი მიზანი ყოველთვის კველგან გაცხა-  
დებული იყო: დამოუკიდებელი საქართველოს სრული სახელ-  
მწიფოებრიობის აღდგენა, ესეიგი სრული დამოუკიდებლობა,  
ქვემარტიტი სუვერენული სამრითელებრივი სახელმწიფოს შექმნა.  
სწორედ ამის მოუღებლობის გამო გადაწყვიტეს ჩვენი დასჯა!)  
ყოველივე ზემოთ თქმული, პირდაპირ უკავშირდება 1991 წლის  
22 დეკემბერს თბილისში განხორციელებულ სამხედრო სახელ-  
მწიფო გადატრიალებას (კრიმინალურ პუტჩი), იგი აგრეთვე  
უშაულო კავშირმა „დაზ“-ს (მანამდე სხვა მსგავსი სავარაუ-  
დო გაერთიანებებზე უარის თქმა) შექმნასთან (1991წ. 21. XII),  
რომლის შემადგროლობაშიც შესვლაზე საქართველოს რესპუ-  
ბლიკის პრეზიდენტმა და ეროვნულმა ხელისუფლებამ, რუსეთის  
ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ. ლუცინის თხოვნის  
მიუხედავად, კატეგორიული უარი განაცხადა (პრეზიდენტი გამ-  
სახურდის პასუხი მოკლედ ასე გამოიყენებოდა: ჯერ სცანით  
ჩვენი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, მერე მიუსუსდეთ  
მოლაპარაკების მაგიდას.

სახელმწიფო საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ხელისუფლების და მისი ღიდერის ზ. გამსახურდის (1990წ.) პოლიტიკური და სამართლებრივი პოზიცია, როგორც მანამდე ისე მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეუცვალად მტკიცე და თანმიმდევრული იყო. ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებამდე ზ. გამსახურდია აღნიშნავდა: „ვწინადან საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის უკვე გაკეთა 1918 წელს. ოურიდიულად ეს დეკლარაცია დღესაც ძალაშია და განმეორებითი დეკლარაცია ჩავინარჩუნდება. საქართველო ოურიდიულად ყოველთვის დამოუკიდებელი იყო და დღესაც დამოუკიდებელია. ოლონდ სხვა საქმეა დე-ფაქტო ე.ი. ფაქტობრივი დამოუკიდებლობა. ეს არის ჩვენი მიზანი ფაქტობრივი აღდგენა სახელმწიფო ებრიობის, რომელიც ჩვენ ანგესის შედეგად დავუკარგეთ“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1(21) 1991 წ.).

საქართველოს „ურჩი“ რესუბლიკის ლიდერი ზ. გამსახურდია სსრკ კავშირის პრეზიდენტი მ. გორბაჩივს 1991 წლის 12 იანვარს წერს: „ჩვენ 1922 წლის სამოკავშირო ხელშეკრულება მიგვიჩნა უკანონოდ საქართველოს მიმართ, რადგან იგი დაიდო საქართველოს ოფიციალურ პირობებში. ქართველი ხალხის ნების გაუთვალისწინებლად... საქართველოს რესუბლიკის უზნენას-მა საბჭომ გამოკახად და დაკანონა გარდამავალი პერიოდ

სრული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. ამ პერიოდის განმავლობაში ჩეკენ თავს უცნობთ სსრკ-ს შემადგენლობაში იმ პირობით, რომ სსრკ ალირებს ქართველი ხალხის სუვერენიტეტ უფლებას მთლიანად აღიდგინოს ძალით წარმომატებით სახეობის ფორმირებით... სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიების გათვალისწინებით...

დარწმუნებული ვართ, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 10, 1991.).

1991 წლის 25 დეკემბერს მოსკოვში, კრემლში უკანასკნელად შეიკრიბა სსრ კაშშირის უმაღლესია საბჭოს ერთ-ერთი პალატა რესპუბლიკების საბჭო. ამ სხდომაზე (სხვა დოკუმენტებისან ერთსად) მიღეული იქნა „დელარაცია საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოს და საერთაშორისო სამართლის სუბიექტის გაუქმების შესახებ“ (142-ტ)... 1991 წლის 12 დეკემბერს რსფსრ პარლამენტმა მოახდინა სსრკ შექმნის შესახებ, 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დერომასანცა რსუსერ გამოვიდა სსრკ შემადგენლობიდნ. ხოლო 1991 წლის წლის 25 დეკემბერს სსრკ-ს პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა ჩ. გორბაჩიოვმა ხელი მოახერა თავისი უფლებამოსილებების შესახებ განკარგულებას და გადადგა (ყ. 3162). ამით სსრკ-მ ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა.

6 წერილი მოგვიანებით გამოქვეყნდა „ურნალში“ „გუშაგი“ N20 (ქართული ეროვნული პოლიტიკის და ლიტერატურის ორგანო. პარიზი, საფრანგეთი).

7თებერვალი, თავისი მხრივ მსურს ალექსიშვილი, რომ „სიძულვის ანატოლიმის“ ამგვარი პილიტიკური გამოყლინებებით თავის დაპირისპირებით როგორც საქართველოში, ისე ყოველი საბჭოთა კაუნირის რესპუბლიკურში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ერთნაირად მოუწესრიგბელი იყო. იგი ჩვენთან ხორციელდებოდა სუკისა და გრუ-ს მიერ ლუპით დაკვირვების ქვეშ და მისი კონტროლით. დაახლოებით ისეთივე მტკიცნეული პროცესში პოლიტიკური დუღილის „მაღალი ტემპერატურიის“ მიმდინარეობდა სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად: ბალტიის ქვეყნებში (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხეთში, აღმოსავლეთი გერმანიაში (გდრ-ი). ქართველები ამ მხრივ არ ვიყავით განსაკუთრებულდ „გამორჩეულნი“. თითქმის ყველაზე, ყველანი ერთმანეთს ლანდღვადნენ და ჩსუბობდნენ, კამათობდნენ ყოველგვარი ეთიკური ნორმების დარღვევით... შემდგომში პარტიები მრავალგზის „იხლიჩებოდნენ“ პატარ-პატარა ნანილებად. ყველგან დაახლოებით ამგვარად ხდებოდა. ცხადას, პოლიტიკურებს ქცევის კიდექსს დაცვა ესაქიროებათ, ამას გარდა, მათ ერთგვარი პოლიტიკური თამაშის წესების დაცვა მოეთხოვდათ. ეს თემა პოლიტიკურ კულტურას განეკუთვნება და ცალკე გასარჩევი საკითხია. ამას კი არ ეგების არც ძალზე გამძაფრება და არც მის იგნორირება.

სამწევაროდ, პოლიტიკურ თემაზე დისცუტისას ექსპერტები და პოლიტოლოგები ისტორიად, ან საერთოდ არ საუბრობენ, პოლიტიკური კამათის მთავარ საკითხებზე ვფაქტორობ, და არსებით, მის აზრობრივ მსარებელი, მათი მნიშვნელობის აუცილებლობაზე:

რომელიც ძალზე დელიკატური და უფრო სიღრმისული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და ჩვენ წარმოგვიდგენია. რამეთუ, იგი უკავშირდება ორი ურთიერთგანსხვავებული პოლიტიკურ – მსოფლიმებველობითი (პირობითად) სკოლის – ხედვის და პრინციპების კონცეპტს. ეს ეხება თანამედროვე „მსოფლიო წესრიგის“ „რეალი – პოლიტიკის“ უმნიშვნელოვანების გამოწვევებს: გეოპოლიტიკის, გეოსტრატეგიის, გეოეკონომიკის ცოდნას და წარმოდგენბას. ის მოთხოვს პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთმიმრთვების დადგენას, ასევე სხვადასხვა მეცნიერებათა და დისციპლინათა სიღრმისულ ცოდნას (რელიგია, ლიტისმეტყველება, კულტუროლოგია და სხვ.) ის აუცილებლად მოთხოვს სახელმწიფოებრივი, აზრივნებისათვის დამასასატებელ სიზუსტეს, დამოუკიდებელი ქართული სუვერენული სახელმწიფოს შექმნა-დამკიდრების მისამართისად.

როგორც ცნობილია, ერთი მიერ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა (საქართველოს შემთხვევების ესაა სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა – და არა სხვა რამ! ვთქვათ საბჭოთა კავშირის დაძლის შედეგად შექმნილი „ახალი სახელმწიფო“, რომელთანაც ჩვენ (საქართველოს რესპუბლიკას), იურიდიულად არაფერო საერთო არ გვქინდა) ეს კი, სამწერარიც, ხანგრძლივი საერთაშორისო პროცესია. პროცესის დაწყების აუცილებელი პირობა იყო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განცხადება – ისეთი დედალაციის მიღება, რომელიც არ დაარღვევდა საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და არ გამოიწვევდა ტერიტორიული მთლაბობისა დარღვევას, იგი მოითხოვდა სრულ დამოუკიდებლობის ფაქტის დადგენას, რაც ჩვენს შემთხვევაში მოხდა კიდეც! (საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ პოლიტიკური და სამართლებრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესრულების გამო), 1991 წლის 25 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის დაძლის შემდეგ, კანონიერი ხელისუფლების და სუვერენული სახელმწიფოს, ან უკვე, იურიდიულად აღლადშემდგარი დე-ფაქტო და დე-იურე სრულიად ლეგიტიმური მდგრადირობით. (მათს გამო შეტრიბულამ და მასთან ფრინვლ ალიანსში მყოფმა შავბრძლმა ძალის გადაწყვეტის ჩვენი სასტიკი დასჯავ)... აშკარაა, რომ ასეთი ზომები საქართველოს წინააღმდეგ განპირობებულია იყო იმით, რომ რუსეთმა ვერ მიიღო ჩვენგან დაუყონებლივით თანხმობა „სან“ ში საქართველოს შევლის წინააღმდებაზე (და არც უნდა მიერო). საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გამოცხადებლობამ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე ალმა-ათაში, 21 დეკემბერს გამოიწვია, რომ თბილისში დაიწყო პარლამენტის შენობის შეტანი.

პრეზიდენტი გაგამსახურდი გულისტკივილით ამპობდა: “ეს შეთქმულება ჩემს წინააღმდეგ, რომელიც, სამწერარიც დასავლეთიკ მონაწლეობდა... დასავლეთი თვალს ხუჭვს, რომ ამდენი სისხლი დაიღვარა, რომ საქართველოს კანონიერად არჩეული ხელისუფლების გარეშე დარჩა, რომ განდევნილია პარლამენტი! კარგი ვთქვათ, პრეზიდენტი დიქტატორი იყო, მაგრამ ხომ არ შეიძლება დექტატორი იყოს მთელი პარლამენტი!”

დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი შემდგომ იტყვის: „საქართველოში პუტინი და სამხედრო გადატრიალება, ეს იყო ჩვენანში პარტოკრატიისა და მაფიოზური სტრუქტურებისა, რევანში მოსკოვის იმპერიალისტურ ძალების საქრონოელის კვლევ ხელში ჩასაგდება. ამ პუტინის და სამხედრო ხუნტის უკან მდგარი ყოფილი კომუნისტური პარტოკრატია ცდილობს დაბრუნოს ხელისუფლება და პრივილეგიები, ხოლო მეორეს მხრივ მოსკოვის შოვინისტურ - იმპერიალისტური ძალები ცდილობენ საქართველოს შენარჩუნებას, როგორც გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანების რეგიონისა“. შევარდნაძე განასხიერებს, როგორც ყოფილ პარტოკრატიას, ასევე რუსეთის დიდმძყრიბელურ შოვინიზმს და ემსახურება ორივეს ინტერესებს საქართველოსათან

მიმართებაში. ამიტომ არის იგი დროშა ფსევდოპოზიციის და კომუნისტური მაფიისა“ (გაზ. „ქართული აზრი“, 6, 26 თებერვალი).

დასასრულ უნდა ითქვას, რომ რჩებოდა მხოლოდ დასკვნითი ეტაპი – საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობის აღიარების – იმპლიმენტაციის პროცესის დაგვირგვინება.

1991 წლის 23 ნოემბერს, პრეზიდენტი ზ. გამსახურდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ჯინი ბეკერის სახელზე გაგზავნილ წერილში წერდა: „ჩვენ მტკიცედ გვნამს, რომ არცერთ ხელისუფლებას ან პოლიტიკურ ლიტერატურას არ ძალუდ მოითხოვს უკან შემოტრიალება“.

ამ პირობებში დამლუბველი იყო დესტრუქციული ძალების მოქმედებანი, რომლებიც ძალადობის გამოყენებით იბრძოდენ სხვადასხვა ფიქტიური იდეალების განსახორციელებლად.

ვიმედოვნებ, რომ „ მომავალში ამ საკითხს უსათუოდ დაუბრუნდება ჭეშმარიტად ქართული გონი.

8 ასეთ პიროვნებათა ფსიქოლოგიური და ფსიქოანალიტიკური კვლევა-დაკვირვებანი დასავლეთის ქვეყნებში დიდი ხანია, რაც ლრმადა შესწავლილი და ამ საკითხზე არაერთი ლირსული ნაშრომია დაწერილი, როგორც საფრანგეთის რევოლუციების სასტიკ და სისხლიან რევოლუციონერებზე, ისე რუსეთის იმპერიის ბოლშევიკ მამამთავრებზე და ფიგურანტებზე ფსიქოლოგიური პორტრეტებია შექმნილი. ამ თვალსაზრისით, სწავლულებს არც შემდგომი თაობის, კომუნისტური ელიტის გენსხვების და „პოლიტიკუროტჩივების“ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა დავინუბიათ. ამ სახელების და გამრების ჩამოთვლას ჩვენ აქ აღარ შეუდგებით...

9 გაზ. „საქართველო“, 1918წ. 15-28 თებერვალი.

10 საუბარი შედგა 1991 წლის დეკემბრის ბოლოს, (ცეცხლში გახვალურ პარლამენტის და მთავრობის სახლის შენობების დაბომბვის შემდეგ, რომლის დროს გამოყენებული იყო ქვემები, სარაკეტო დანადგარები და ჯავშან-სატანკო ტექნიკა) პრეზიდენტის მეგობრის და დთი მხარდამჭერის, საქართველოს რესპუბლიკის უზენას საბჭოს დეპუტატის ნათელა ქუთალის, საბჭოს დეპუტატის ნათელა ქუთალის, მეტადრე აღელვებული და ფრიად გაცსარებული საუბარი ზვად გამსახურდისათან (პუტინისტი ინტელიგენციის სამარცხ-ვინ ქმდებების გამო), რომელიც საუბრის დროს, ქართველი ერის შეცასებისას ხმირად მეორებდა აკაკის ცნობილ სიტყვებს <...>. (საუბარი შედგა 2007 წელს თბილისში ჩემი ჩანაწერ-ბიდან – ვ.ბ.)

11 ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილი გენსეკი, იური ანდროპოვი ხელისუფლების საავაშში მოსვლის შემდეგ, (ისევე როგორც, სსრ კავშირის სუკის შეფილი პოსტზე მის მრავალნიანი „სანიმუშო“ მოღვაწეობის პერიოდში) გამოირჩეოდ პოლიტ-პატმირებისადმი განსაკუთრებით „სათუთი“ მოპყრობით, ახალი ფაბრიკაციული „ნოვაციური“ მეთოდოლოგიის დანერგვით. მაგალითად პოლიტპატმირების ვადის ამონურვამდე, რამდენიმე ხნით ადრე, მათ ისევ განმეორებით ამნესებდნენ ციხეში.

## მოგონება

**ვანო გელაშვილი (თორელი)**

### კურიერი ლოვა

წოველა აღწერის რესთაველის თეატრის სახელობის  
სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ცხოვრების  
ერთ-ერთ ეპიზოდს

რა ხდება?- რატომ არ ვიწყებთ? - ყველანი სცენაზე! ჩქარა, ჩქარა! სად არის სცენის გამნათებელი ტიგრანა- აქა ვარ! ყველაფერი რიგზეა. თავი გამოყო ჯიხურიდან “და-დია” ტიგრანამ, რომელიც ათეული ნლები ემსახურებოდა თეატრალური ინსტიტუტის სააქტო დარბაზშა და პატარა სცენას. ძალიან კარგი! მოდი აქ, რა ხდება! თავი ვერ მოუყარე სტუდენტ მსახიობებს? გამწყარლი სახით ეუბნება სადაცლომზ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი-პედაგოგი, შოთა მესხი, ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტს, რომელიც დღეს მისი ასისტენტია. მსახიობი გრიმს იყენებს პედაგოგ გიორგი სარჩიმელიძესთან, ამთავრებენ. ზოგიც კიდევ დაბლა არიან გარდიონში ბეჭასთან კოსტიუმებს ირგებენ, ჩქარა!

- დარბაზში შემოდიან სამსახიობო, სარეჟისორო და მუსიკალური ფაკულტეტის კათედრის წევრები: დიმიტრი ალექსიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, მიხეილ თუმანიშვილი, კუკური პატარიძე, ალექსანდრე მიქელაძე, აკაკი ფალავა, რემი შაფორშვილი, ანტონ თავზარაშვილი, შალვა განერელია, რევაზ მირცხულავა, გიორგი სარჩიმელიძე, გიზმ შორდანია, მალიკ მრევლიშვილი, ბაბულია ნიკოლაიშვილი, რექტორი ილია თავაძე, პრორექტორი ეთერ გუგუშვილი, მუსიკალური კომედიის ფაკულტეტის კათედრის წევრები კომპოზიტორი მელვინეთუხუცესის ხელმძღვანელობით. საპატიო სტუმრები: კულტურის მინისტრი თენგიზ ბუაჩიძე, ბესარიონ შედენტი, რევაზ ნათაზე. პედაგოგები, სტუდენტები, ინსტიტუტის თანამშრომელები, დარბაზში ტევა არ არის. დღეს ხომ მუსიკალური ფაკულტეტის კურსდამთავრებელ სადაცლომო სპექტაკლია. სტუდენტები ხუთი წლის ნაშრომ-ნალვანს ავლენენ. უნდა გამოავლინონ თავიანთი ცოდნა და ნარსდნენ საზოგადოების წინაშე. სპექტაკლის დაწყება იგვანებს, ერთერთი სტუდენტის მოუსვლელობის გამო. მართალი მას მთავარი როლი არა აქვს, მაგრამ ერთი სცენა სპექტაკლისა შეტყვრელი კვანძია დრამატურგიგისა. დღი არავერ: - მეკუბოვე უნდა შემოვიდეს და საზომი არშინით ხელში ტახტზე განლილი მიცვალებულს” ზომა უნდა აულოს, რაღაც უნდა ნაომლეროს უფრო ლუდლულით “ცოდნა, ცოდნა” - ეს უბედური მერე უნდა ნაიბორძიოს ვინაიდან მთვრალია, - თავგაბურძგნული ბოგანო, და ასე უნდა გავიდეს სცენიდან, ეს არის და ეს. ამ სცენისათვის რეჟისორს დაკავებული ჰყავდა მეორე თუ მესამე კურსის სტუდენტი გოვენი კონწურაშვილი, მაგრამ არ სჩანს. რა ვენათ! - ინსტიტუტის ფორეში წრიალებენ სპექტაკლის ნამყვანი და მისი თანაკურსელები. ვის ჩვაცვათ! - უცბად ლიფტის ხმაური ისმის, კარგი

2

ილება, და ლიფტიდან გამოდის ინსტიტუტის კურიერი, მდივან გოგუცა აბაშიძეს მარჯვენა ხელი, ლოვა ნიკოლოპუსი, ოპერის დიდი მოყვარული. ერტ დროს ოპერაშიც უმუშავ-

ია, მასიურ სცენებშიც კი მიუღია მონაწილეობა. ტანდაბალი მუდამ გაუპარსავი, მაგრამ მომდიმარი და მხიარული კაცი. ტიპაჟი, რომელიც შეეფერებოდა მიცუმულ სცენას. ბიჭებო! არის იდეა!- ყვირის გოგი ქავტარაძე. ვანოს, გურამის, და-თოს დაბმარებით, ლოვა ხელში ატაცებული, თავისი დიდი ჩანთით თეატრალური გარდიორის წაყვავთ. არიქა ქალბატონონ ბეტა - გოვენის კოსტიუმი, სწრაფად ლოვას აცმევენ თეატრალურ კოსტიუმს, სირბილით მიყავთ საგრიმიოროში - გრიმის პედაგოგ ბატონ გიორგი სარჩიმელიქსთან. ბატონი გიორგი გაოცხული უყურებს, - ეს ხომ კურიერი ლოვა, შემდეგ ბატონი, შემდეგ, მერე აგიხსნით, ოლონდ ახლა დაგვეხმარეთ. ჰო, ჰო, კარგი! ასე ჩაცმული, გრიმგაკეთაბული დაბნეული ლოვა ისევ ხელში ატაცებული მიაქანებენ სცენის კულისებისაკენ. ლოვა უსიტყვოდ ემორჩილებოდა ბიჭებს, პარიკს ისწორებს და ლუდლულებს- არიქა ვანო შენ ხომ სადადგმო ნანილის გამგე იყავი, სადმე გადანახული ლიკინო გეგენება, მოტანე ჩავათხლიშოთ, თორეგ საქმეს გაგვიფუჭებს, ვანომ საიდნაც ნახევარლიტრიანი არაყის ბოთლი გამოაძრინა. ამ დროს სპექტაკლი დაწყებულია, ლოვას ანუ გოვენის სცენა ახლოვდება. . არის!- ამბობს ვანო და ლოვას არყის ბოთლს აყვედებენ, თან სცენის პირობას უხსნიან: შეხვალ “მკვდრის”- ზომას აულებ- რის მკვდარის რა მკვდარის გიყდება ლოვა, არა კაცო თავი დამანებეთ აქეთ იქნება ლოვა, - არა ლოვა ეს სპექტაკლია, ვითომ მკვდარი, ა-ჲა ჲო გავიგე აზზრზე მოდის ლოვა თან ერთიანებად გულშიც უხარია :- მეც ვითამაშებ, გაახსენდა ახალგაზრდობაში იცნებასავით, რომ ჰქონდა მსახიობი მომღერლობა რომ სურდა . ხმა კი ჰქონდა . ეს ბედს რა უთხარი! ლოვა ახლა მიხვდა ყველაფერს, ჲო ყაბულსა ვარ, ოლონდ კიდევ ერთი ყლები არაყი “დღია ხრაბროსტი” ბოთლს სტაცა ხელი ვანომ ძლიერს გამოსატაცა ხელიდან არაყი, მიღი შედი და რომ გამოხვალ შენია . ხომ გესმის შენ, რა უნდა გააკეთო მკვდარს ზომა უნდა აულო, მერე უნდა წაუმდერო, ტირილით დაემხო. არ ასვენებენ, კიდევ და კიდევ რეპეტიციებით რიგორიგობით ბიჭები. ესენა არიან თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები: გოგი ქავტარაძე, ვანო გელაშვილი, დათო კობახიძე, გურამ ჩერქეზიშვილი, ნუგაზარ ლიკროთქიფანძე, ოთარ ჯანგშერებილი, მანან იმედაძე, ნანა კლდიაშვილი, მიხეილ თუმანიშვილის კლასის სტუდენტები, მომავლი რეჟისორები, რომებიც რიგორიგობით ეხმარებიდნენ რეჟისორ - პედაგოგებს

3

საკურსო თუ სადიპლომო სპექტაკლების მომზადებაში, როგორც ასისტენტები. სცენაზე ყველა სპექტაკლის მონაწილე გაფრთხილებულია, ხელი შეუწყონ ლოვას, რომ რამე არ აურდაურიოს. სპექტაკლის მსვლელობა კულმინაციას აღწევს, კარგად მიღის და აი, დადგა ლოვას სცენაზე შესვლის დრო. ვანო ხელში აჩერებს ლოვას არშინს, ციმციმით მიყავთ კულისებში, ლოვა ჯარუტობს, თვალი არყის ბოთლი-საკუნ გაურბის რომელიც ვანოს უჭირავს, გამოხვალ შენია მიღი! - შევიდა ლოვა - სამგლოვარო მუსიკა, მუსლებზე დაეცა ლოვა მიცვლებულის წინაშე და ისეთი კივილი მორთო თანაც სიმღერაში, რომელიც ერტ გოგობით ეხმარებიდნენ რეჟისორ - პედაგოგებს

ხელით ანიშნებენ კულისებრიდან მონაწილეებს- ლოვა არშინით იდებს ხომას, მერე უცანურად ცრუმლებმორეული ბდა-ვილით ემსხობა “მიცვალებულს”, სტუდენტი “მიცვალებული” თავს ძვლივს იკავებს სიცოლისგან. კულისებში ხორხოცია, სცენაზე მონაწილეები გონის მოდიან ; იური ვასაძე, ნოდარი პიპინაშვილი, აპალონ დაშნიანი, ოთარ ბაზდაძე, ნოდარ პეტროშვილი, ლილი ჩიბახაშვილი, უტა რატიანი, უნა თოიძე, ნელი მინდიაშვილი. ყველა მონაწილე სპექტაკლისა, ვაი ვაი ძახილით ცდილობდნენ ლოვას ანინვნას მიცვალებულისაგან, ის კიდევ გაშლილი არშინით მომხდეულთ და ”თაოჩემოს” სიმღერით განაგრძობდა სცენას; კულისებში ბიჭებმა მოიფიქრეს ; არიქა ფარდა - ვანო ქაჩავაშვილის თოქს, მაგრამ ფარდა ადგილიდან არ იძვრის, ვანო ადის მაღლა ”კალასნიკებში” და ძალით ხურავს ფარდას . მუსიკის ბოლო აკორდები პიანინოზე დამკვრელი ქალი გაოცებული თვალებით - მხრების აჩერვით ღმერთი ჩემო რა ხდება! დაინგრა დარბაზი - ასეთი ტაში კარგახანა არ ახსოვთ ინ-სტიტუტის ამ პატარა დარბაზს, სადაც სტუდენტობის დროს ეთამაშებიათ ; ეროსი მანჯგალაძეს, რამაზ ჩხივაძეს, ბადრი კობახიძეს, კოტე მახარაძეს, გურამ სალარაძეს, კახი კავასაძეს, ოთარ მელვინეთურუცეს, კარლო საკანდელიძეს, მედეა ჩახავას, თაოთა ხანდრავას, სალომე ყანჩელს. ლოვა სასწავლით გაჰყავთ სცენიდან, ჩაჰყავთ გარდირობში, ხდან პარიკს, ტანსაცმლს, გრიმს, სვავენ ლიფტში აძლევენ არყის ბოთლს და უშვებენ ქვევით-ყველაფერი ეს ხდება სიცილით, ხარხარით . ამ დროს კიბებზე ამოდის გოვენი, - არიქა გოვენ, სწრაფად ბეტასთან გარდირობში, ბეტა გაორგებული უყურებს და აწვდის ახლახან ლოვას მიერ გახდილ კოსტიუმს, პარიკს, არშინს- გოვენი მზად არის, ჰერონია, რომ სპექტაკლი ჯერ არ დაწყებულა, მშვიდად ზის და ელოდება თავის შესვლას სცენაზე. ისმის სპექტაკლის ფინალის

4

მუსიკა, იხურება ახლა უკვე წესრიგში მოყვანილი ფარდა, და მსახიობებს ოვაციებით ეხმობიან ”პაკლონზე” შეძაბილებით, გოვენ, გოვენ... ბიჭები ხელს სტაცებენ გოვენს და სცენაზე გაჰყავთ, გოვენი გაკვირვებული, გაოცებული ხელებს იქნეს, ბიჭები მას არ აცდიან, რიგში იყენებენ და ნინ სცენისაკენ ფარდის მიღმა მიღმან, გოვენი უხერხულობისაგან ლამის პარტერში გადავარდა რომ არა იური ვასაძე დროზე წაატანა ხელი . ამან ხომ სულ გადარია დარბაზი.....

რატომ არ მოვიდა გოვენი ინსტიტუტში სპექტაკლში მონაწილეობის მისალებად? მისმა მეგობრებმა წყნეთში დაპატიუეს დაბადების დღეზე, თვითონაც კარგი ლოტბაზანა იყო, კარგად იქვიფა, გამოთვრა და გამოთვინისას სტუდენტაქში ქველივს მიღასლასდა. შეადლეზე გაელვისა და გაახსენდა, რომ სტეპენდის დღე იყო, და თავგასიებული ბაზუსისაგან , ინსტიტუტში წამოვიდა, სულაც არ უფიქრია, დღეს სამ საათზე სადაპლომო სპექტაკლში რომ იყო დაკავებული. ეს ამბავი რაც მოხდა სპექტაკლში გოვენის მაგივრად ლოვას შეყვანა, გოგუცა პაპიძეს გარდა გოორგი სარჩიმელიძე და ბეტამ იცოდა, მაგრამ არ თქვეს. მოეთრევა ხვალ ჩემთან ეს სასაკვდილო შვე დღეს დავაყრი, ჩუმდ ბუტბუტებდა გოგუცა, თვით საძა კიკნაძესაც არ უმხელდა იქვე მჯდომარეს. ლოვა კი იმ დღეს საერთოდ არ გამოჩენილა გოგუცასთან , თავის წერილებითა და გაზეთებით გამოტენილი ჩანთა გარდირობში ეგდო ბეტასთან. სპექტაკლის შემდეგ კათედრის

წევრები შეიკრიფნენ - სადიპლომო სპექტაკლში მონაწილეთა გასაჩინევად. ყველა ულოცავდა რეჟისორ შოტა მესხსარა ის „შეკუბოვე“ - მგონი მესამე კურსელია, რა გვარია ? - ჰო, გოვენ კინეურაშვილი არ ვიცი მისა ვოკალური მონაცემები , რადგან დიდი პარტია მას არპერინია, ისე სამსახიობო მონაცემები მას კარგი აქეს, ცერ დაიწუნებ, ამბობს კათედრის გამგე დიმიტრი(დოდო) ალექსიძე . არა ცოტა პრიმიტიულად გამოიყრებოდა, დასკვნის მიხეილ თუმანიშვილი, თუმცა ნინ კიდევ ორი წელი აქეს, გამოასწორებს. გოვენი კი საერთოდ აზრზე არ იყო თუ რა მოხდა მის ირგვლივ. ცოტა დაეჭვებული დამდგმელი რეჟისორი შოთა მესხი კი ფიქრობდა ; ასეთი გარდასახვა?- წარმოუდგენელია. სიცილით გაბრუებული ბიჭები მერე უყვებოდნენ გოვენს და ისიც დაბრუებული მადლობას უხდიდა მათ. თუმანიშვილის ნათევამს ყველა ერთხმად უჭრდა მხარს გოვენი აღარავს ერთერთ ნიჭირ სტუდენტად იმ სპექტაკლში. ერთი ჭირი მარგებელია ნათევამია, - ეს ამბავი მისა თუმანიშვილის ლექციაზე ბიჭებმა უმბეს, გაუმშილეს მიშამ ბევრი იცნა მათ მოხერხებულობაძე, წააქო... იმ დღიდან ლოვა აღარ იყო

## 5

უპრალო კურიერი სტუდენტთა თვალში : ’ სტუდენტ-დები ორად ” ითვლებოდა. სხვათაშორის არსებობს იმსტიტუტის არქევში იმ სპექტაკლის ფოტოები, სადაც ლოვაცაა გამოქმული . რომელსაც ეთერ დავითია აგროვებდა . ლოვა კი, ამაყად დააბიჯვებდა ინსტიტუტის გრძელ კარიდორში და ილიმებოდა თავისი უბილო პირით . ასეთია შენი ლოვა. როგორია ლევონი ხშირად იმეორებდნენ შესვენებაზე შეკრებილი ბიჭები ლოვას დანახვაზე , ისიც ხელის ანევით ესალმებოდა მათ. მათგან განსხვავებით მხოლოდ მას ჰქონდა ლიფტის სარგებლობის უფლება, რადგან ის კურიერი იყო. ლოვას უცნაური თვისება ჰქინდა შეეძლო ისეთი რამ ეთქვა არ შემდგარი ტყუილი, რომელსაც თვითონაც შეეძლო დაეჯერებინა. მოიტანდა რაღაც მონაგონებ ჭირებს და აქ, ინსტიტუტში ავრცელებდა, რისთვისაც გოგუცას ხშირად გაუთახება. ერთხელ ხმაც გავცერლდა მისა გარდაცვალების გამო, თავის ლოტბაზარა ამანანგს დაარეკინა გოგუცასთან ; - სანქალი ლოვა გარდაიცვალო, თვითონ კი იქ ალექსანდროვის პალში ქეიფობდა, იქ სადაც მხოლოდ ლუდი იყიდებოდა , ამ სალბიეს ტუალეტი არ ჰქონდა და გარშემო ბურბები შარდის სუნად იყო აქოთებული. ჰოდა ამ სალობიერში მსხდომო ლუდი მოძებრდათ, ყარეს კენჭი და ლოვას შეხვდა ლვინის მოტანა, ლვინის მადლობა, ლვინის მადლობა და ლვინის მოტანა და ლვინის მადლობა და ლვინის მოტანა გადასახად გადასახად ასევე ასევე კულტურის სამინისტროსთან ქვევით ინსტიტუტის გვერდით გავლით წამოვიდა, სულ დაავიწყდა, რომ ინსტიტუტში მასზე გლოვა იყო გამოცხადებული. კულტურის სამინისტროსთან არ მისულმა დაინახა, რომ იქიდან რექტორი ილია თავაძე და საშა მიქელები გამოვიდნენ ლოვას მაშინ გაახსენდა თავისი ამბავი, ვაი რა ვენა, იქვე კულტურის სამინისტროსთან ქვევით ინსტიტუტის გვერდით გავლით წამოვიდა, სულ დაავიწყდა, რომ ინსტიტუტში მასზე გლოვა იყო გამოცხადებული. კულტურის სამინისტროსთან არ მისულმა დაინახა, რომ იქიდან რექტორი ილია თავაძე და საშა მიქელები გამოვიდნენ ლოვას მაშინ და გაახსენდა თავისი ამბავი, ვაი რა ვენა, იქვე კულტურის სამინისტროში შესასლებრი კარგებან ზურგით დადგა და დაელოდა როდის გაივლიდნენ ილია და მისი თანამოაზრენი, მაგრამ ასე არ მოხდა: სამინისტროდან კულტურის მინისტრი თეგიზ ბურბები გამოვიდა და მატომორის დილოვი გაიმართა. გაუჭირდა ლოვას ასე დგომა თან ლუდდალეულს მოაწვა

## ძოგონება

აცქმულუნდა, ხან ერთ ფეხზე დადგებოდა, ხან მეორეზე ეშ-ინოდა ბოთლები არ გავარდნოდა ხელიდან ბოლოს ველარ შეიკავა, ველარ მოითმინა გამოვიდა სამალავიდნ და რაც არი არისო, ჩაუარა მათ და თან იძახდა არ მომკვდარა ლოვა არა!- მოსაუბრეებმა ერთი კი გადახედეს ერთმანეტს და გა-კვირვებულებმა მხრები აჩერეს.-მერე ლოვას შეხედეს. ასე ჩაუარა ინსტიტუტის წინ მდგარ სტუდენტებს - იქაც შესძახა არ მომკვდარა ლოვა არა ! სტუდენტებმა ტაშის გრიალში გააცილეს, ბრავოს

## 6

ძახილით - სალოლ ლოვა, სალოლ! რუსთაველის სახე-ლობის თეატრისაკენ ღილინით მიმავალ - გულში კი ერთი დარდი ჰქონდა ლოვას ; ხვალ როგორ დაენახვება გაცხარე-ბულ გოგუცას.

ჭ.ჭ. ძვირფასო მეითხველო, ზემოთ მოყვანილი ამბავი სინამდვილეს შეეფერება, ოლონდ ცოტა შელამაზებული.

## მარსიანი

## მიმდინარეობა თუ დარგი?

ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმ «ებლიტფოს» კრებულში «ლიტერატურული...» გამოქვეყნებულია მოთა დიდტელმვილის (მოთა გაგარინის) სტატია «კონცეპტუალური – პოეზია?» ავტორი პირდაპირ ასე იწყებს: «მოდით, თავიდანვე გახსნი კარტებს. არ არსებობს არანარი კონცეპტუალური პოეზია», ეს სრული აბსურდია. რა თქმა უნდა, შემძეგ ავტორი შეძლებისდაგვარად განმარტავს თავის ამ განაცხადს, მაგრამ საკითხავი ისაა, რატომ ლაპარაკობს იგი არარსებულზე. თურმე «არსებობენ კონცეპტუალისტი პოეტები და არ არსებობს კონცეპტუალური პოეზია. იგი სვამს შეკითხვას: «პოლოსდაბოლოს რა დავუძახოთ ამ ხალხის შექმნილ პროდუქციას ამ კონსუმერული სამყაროს ზენიტში? რას ყიდან ისინი?»

«კონსუმერული სამყაროს ზენიტი» რას ნიშნავს, არ ვიცი, მაგრამ ამ კითხვას კითხვითვე ვუპასუხებდი: თუ ამ პოეტების მიერ შექმნილი პროდუქცია კონცეპტუალური პოეზია არ არის, მაშინ რატომდა ვეძახით მათ კონცეპტუალისტ პოეტებს? კონკრეტულად ვის გულისხმობს შ. დილმელ-აშვილი ამ ხალხი? კარგი იყო, ბარემ დაესახელებინა ისინი, განეხილა მათი ლექსები და ერვენებინა, რატომ არ მიეკუთვნება ისინი კონცეპტუალურ პოეზიას (რომელიც განუხორციელებლი ყოფილა).

თუმცა სტატიის ავტორი ზოგადად კი მსჯელობს იმაზე, რომ თანამედროვე პოეზიის (მისი გამოთქმით «ვანტ-გარდისტულის») უანრობრივი დეფინიცია ძნელია, რადგან ხელოვნების სხვადასხვა დარგებს შორის ზღვარი თითქმის ნიშლილია: მისი თქმით, დღეს ლექსი მხატვრობასთან უფრო ახლოა, ვიდრე პროზასთან, «შრატვრობაშაც ისწავლა პერფორმანსების ენა და პოეზიამაც....»

კი მაგრამ, რა ძალა გვადგას, მაინცდამაინც პოეზია ვუნიდოთ იმას, რაც უკვე აღარ არის პოეზია? მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გაურკვეველი სახის მარგინალურ პროდუქციას ავტორები პოეზიად გვთავაზობენ? ერთ მაგალითს გავიხსენებ ავანგარდისტული (თუ რაც ჰქვია) მხატვრობის ისტორიიდან: ერთი ე. წ. «მხატვარი» თურმე კი არ ხატავდა, არამედ მაყურებელთა თვალწინ სხვადასხვა პოზებში დგებოდა და ამას უწოდებდა თავისი «მხატვრობას». კი მაგრამ, რატომ იყო ეს მხატვრობა და არა თქვათ, პანტომიდა? შეიძლება არც პანტომიმა იყო, მაგრამ მხატვრობა ხომ ასჯერ უფრო არ იყო!

პერფორმანსი პერფორმანსია, მხატვრობა მხატვრობა, პოეზია კი – პოეზია; შეიძლება თითოეული ამათგანი ზოგჯერ სხვა დანარჩენთა თვისებებსაც მოიცავდეს თავისითავში (განსაკუთრებით ეს პერფორმანსზე ითქმის), ოღონდ აუცილებლად დაქვემდებარებული სახით, საკუთარ სპეციფიკაზე მორგება-მისადაგებით. სხვაგარად, თუ ხელვენების რომელიმე დარგი (თუ უანრი) ზედმეტად თავს მოიხვევს ხელოვნების სხვა დარგის (უანრის) ნიშან-თვისებებს, იგი დაკარგავს საკუთარ სპეციფიკას, დატოვებს საკუთარ დარგობრივ (უანრიბრივ) ჩარჩოებს და ალბათ იმ მეორე, მასზე მიმდლავრებული ხელოვნების დარგის (უანრის) ერზაციად იქცევა, ფაქტობრივად ხელთ შეგვრჩება ბლეფი, ტყუილი, სნობური აუდიტორიის მერყევ გემოვნებაზე მის-

ადაგებული ფსევდომხატვრული რეალობა (ესეც საუკეთე-სო შემთხვევაში, რადგან ის სიმბური გემოვნება ყველანაირ ბლეფს როდი იხუტებს გულში).

ზოგჯერ ხელოვნების ესა თუ ის დარგი არათუ სხვა ხელოვნების, არამედ სულაც «არახელოვნების» არეალში იჭრება, ვთქვათ, მხატვრობა იქცევა გეომეტრია, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გეომეტრია გვევლინება მხატვრობის პრეტენზით: გავიხსენოთ ცნობილი მხატვრის კაზიმირ მალევიჩის სახელგანთქმული ნარმალობი «შავი კვადრატი». ამ ქმილების როგორია გასაგებ მიზეზთა გამო არ მინახავს და საგანგებოდ გამოვიყიოხე, კვადრატის სიშავეს რამე ფერნერული ლირუბულება თუ აქვს, სხვადასხვა ფერების მხატვრული შეზავებით მიღებული სიშავე თუ არის-მეთქი(რეპროდუქციაში საამისი არაფერი ეტყობოდა). არაო, მიპასუხეს, უბრალოდ შავად შეღებილი კვადრატია. თუ ასეა, ეს ბლეფი ყოფილა, ოღონდ გარემოებათა გამო ნარმატებული ბლეფი-მეთქი, დავასკვენი. მაშინ ასეთი ისტორია მიამბეს: თურმე ჩაუტარებიათ ექსპერიმენტი – გაუკეთებიათ შევი კვადრატის ზუსტი ასლები და ორგინალთან ერთად ჩაუმნერივებიათ საგამოფენო დარბაზში. დამთვალიერებლებს, რომელთაც არ იცოდნენ, ამ კვადრატებიდან ორგინალი რომელი იყო, სოხოვეს, სურვილისამებრ ერთ-ერთი აერჩიათ. და, პო საოცრებავ, უმეტესობაზე თურმე სწორედ ორგინალი, მალევიჩის მურქ დახატული შავი კვადრატი არჩია!

მანც რა უნდა დავასკვნათ აქედან? რა და, თურმე მხატვრის მიერ დახატულ ორგინალს მისი ასლებისაგან განსხვავებული, ბევრად უფრო ძლიერი ენერგეტიკა ჰქონია, დამთვალიერებლებს ამით იზიდავდა და ამიტომაც ირჩევდნენ სწორედ მას და არა მის ასლებს.

კი მაგრამ, ჩვენ მხატვრობა გვაინტერესებს ამ შემთხვევაში თუ რალაც მაგია? ენერგეტიკა ენერგეტიკაა, მხატვრული ლირებულება კი – მხატვრული ლირებულება, რომლის გარკვევაც ზემოხსენებულის მსგავსი ექსპერიმენტებით არ ხდება. მხატვრულ ლირებულებას გემოვნება ადგენს. გემოვნება კი მოცემულ შემთხვევაში ვერაფერს დაადგენდა, რაკი ორგინალსაც და ასლებსაც ზუსტად ერთნაირი მხატვრული ლირებულება ჰქონდა (ანუ საერთოდ არ ჰქონდა).

ერთმა მინგრელია გამოსცა ვებერთულა წიგნი, სათაურით «არაფერი». წიგნში მართლაც არაფერი ენერა, მისი ასეულობით ფურცელი სრულიად ცარიელი იყო. ამ «მინერალმა» ერთ ინტერვიუში განაცხადა: «ეს წიგნი იმიტომ შევქმენი, რომ ნათლად გამომეხატა ჩემი იდეა – მე თქვენთვის სათემელი არაფერი მაქს». წიგნი უზარმაზარი ტირა-ჟებით გამოიცა და გაიყიდა. მართლაც მახვილონივრული ტრიუგა, თანაც კომერციულად მომგებიანი – «მინერალმა» სწორული საზოგადოების მოთხოვნაც დააკმაყოფილა და ფულიც იშვია.. ოღონდ ერთა – როცა დად ნოვატორ მწერლებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ჩვენ, ვთქვათ სიტყვაზე, «ულისეს» ავტორი ჯეიმზ ჯონის

გვასხენდება და არა იმ «არაფერის» ავტორი, რადგან «ულისეს» (ცხრაასი გვერდი იმ «არაფერისგან» განსხვავებით, სიტყვებითა საეს და ის სიტყვები მთელ სამყრის გვიხატავს.

მარსელ დიუშანის მიერ სამხატვრო გამოფენაზე წარმოგენილი პისუარი კონცეპტუალური ნამუშევარი თუ ამგვარ ნამუშევართა პროტოტიპი კი არ არის (როგორც

შ. დილმელაშვილი უნივერსიტეტს), არამედ მხატვრის მიერ საზოგადოების ეპატირებისათვის გამოყენებულ საგანი. თუ ამ აქციას მანიცდამანც ხელოვნების აქტი გვინდა დავაკრძებათ, მაშინ შევუწირჩიოთ შესაფერო სახელი – ეპატაჟის ხელოვნების აქტი, ან, თუ გნებავთ, პერფორმანსი, მაგრამ რა შეუძია აქტატვრობა? ის ფაქტი, რომ ამ პისუარს ლუკრეტი ინახავენ დიუშანის სახსოვრად, სულაც არ ნიშნავს, რომ იგი «ნამუშევრა», ხელოვნების ნიმუშია.

საერთოდ, ამგვარ შემთხვევებში კარგი იქნება, ანდერ-სენის «შიმველი მეფის» ზღაპარს თუ გავიხსენებთ....

შ. დილმელაშვილს მოჰყავს კონცეპტუალისტი არტისტის, სოლ ლევიტის ციტატა: «კონცეპტუალურ ხელოვნებაში მუშაობის უმნიშვნელოვანესი ასპექტთა იდეა და ცნება. როცა არტისტი იყენებს კონცეპტუალურ ფორმას, ეს ნიშნავს, რომ ყველანაირი გადაწყვეტილება გეგმიურია და მიიღება წინასწარ, ხოლო თავად შესრულება უკვე ზედაპირული, არცთუ ისე მნიშვნელოვანი საქმეა. თუთ იდეა იქცევა მანებად, რომელიც აკეთებს ხელოვნებას».

შეცდომაში არ უნდა შევგიყვანოს ზოგიერთი დიდი ხელოვანის მტკიცებამ, რომ თავიანთ შედევრებს სრულად გაცნობიერებულად, მათემატიკური გაანგარიშებით ქმნიდნენ. ედგარ პომ თვისი «ყორანის» შექმნის ისტორია დაწვრილებით მოგვითხრო და აյ მართლაც შესანიშნავდაა ნაჩვენები ცნობიერის როლი ქმნადობის პროცესში (ცველა ხელოვანთან როდია ამგვარად აქტივიზირებული გონიერის «მათემატიკური შესაძლებლობანი», ზოგინ მართლაც «ერთია ამოსუნთქვით», მთლიანად ინტუიციას მინდობილი ქმნან შედევრებს): მაგრამ ეს ყოველივე, საბოლოო ჯამში, მაინც შეცორადი გახსლავთ და ქმნადობის ზედაპირულ შრეებს ვერ სცდება. მსგავსი მუშაობით შეიძლება სხვა, რიგითმა ხელოვანმაც გააკეთოს ლექსი, მაგრამ რიგითი ხელოვანის ნამუშავარი რიგითი ნანარმოები იქნება და არა შედევრი. ედგარ პო, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერაფრით აგვისხნიდა, რა ძალამ აქცია, «ყორანი» მსოფლიო კლასიკის ერთ-ერთ მნვერვალად, რატომა აქვს პოეტის მიერ ამ ლექსისათვის შერჩეულ სიტყვებს, სიტყვათა კომბინაციებს მომწუსხველი ხიბლი და იღუმალება.

არაცნობიერი ადამიანში ლოკალურზებული კოსმოსია მთელი თავისი უკიდევანობით: იქაა კრეაციულ ძალთა საუფლო და მისი სადინარების გადაკეტვა ხელოვნების კასტრაციას იწვევს. კონცეპტუალისტთა შორის თუ ვინმეა ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი, მას თავის საუკეთესო ნაწარმოებებში უთუოდ დარღვეული ექნება კონცეპტუალიზმის დოგმა იდეის პირველადობისა და შესრულების მეორადობის

შესახებ, თუნდაც თვითონ არ აღიარებდეს ამას. კონ-  
ცეპტუალიზმი წმინდა სახით განუხორციელებულია ხე-  
ლოვნებაში, რადგან ესთეტიკური მომენტი ნიველირდება ამ  
შემთხვევაში, ხელოვნება კი ესთეტიკურის საუფლოა პირვე-  
ლყოფლისა. მხატვრული ნანარმოების შეფასების უმთავრესი  
კრიტერიუმი მისი მხატვრული ხარისხია, სხვა დანარჩენს –  
გინძ შექმეცნიბით, გინძ რელიგიურ, გინძ ზნეობრივ მო-  
მენტებს სწორედ ესთეტიკური ფენომენი ანიჭებს აյ ღირე-  
ბულებას. ეს, უბრალოდ, ხელოვნების ბუნებაა და მის ნი-  
ნააღმდეგ ყოველგვარი ამბოხი მარცხისთვისაა განწირული.

შოთა დილმელაშვილს მოჰყუს აგრეთვე ტონი გოდ-  
ფრეის გამონათქვამი, რომ «კონცეპტუალური ხელოვნება  
არის ხელოვნება, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს  
თავად ბუნებას იმისა, რაც მიჩნეულია ხელოვნებად».

ამგვარი დაეჭვება ცნობიერების კრიზისის შედეგია.

მაგრამ ცნობიერების კრიზისი ქმნადობის პროცესში დაიძლევა ოვით კრიზისულობის მომენტის ქცევით ხელოვნების ობიექტად. ამის მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ მოდერნისტული ხელოვნების უკვე კლასიკად ქცეული ნიმუშები – აյ უკვე ნახსენები ჯერმზე ჯოისის რომანი «ულისე», ტომას სტერნზე ელიოტის პოემა «უნაყოფო მინა», პაბლო პიკასოს ტილო «ეგრინიკა» და ა. შ. მე ვიტყოფი, ეს ნანარმობები სწორედაც რომ კონცეპტუალურია, მაგრამ აյ კონცეპტის მიერ ესთეტიკურის ნიველირება კი არ ხდება, არამედ სახეზეა იდეალური ბალანსი ამ ორ საწყისს შორის. ამიტომაც გვევლინებიან ეს ნანარმობები შედევრუბად, ახალი კლასიკის ნიშანსვეტებად. ამგვარი ხელოვნების მთავარი ტონალობა პაროდია: ცნობიერების კრიზისის დაძლევა და სულიერ ფასეულობათა გადარჩენა ხდება სწორედ ამ ფასეულობათა პაროდიული გადათმაშებით, «ფასეულობათა გაუფასურებით», მათვის ტრადიციული «აურის» წართმევით: ეს რაღაც იმდაგვარი პროცედურაა, მორიელის ნაკერნის რომ მორიელისავე შხამით მკურნალობენ: ტოტალური ნიპოლიზმის ეპოქაში ხელოვანიც ნიპოლიზმის ნიღაბს ირგებს და «ნიპოლიზმის შხამით» ახდენს ეპოქის მიერ დასაღუპად განწირულ ფასეულობათა 『იმუნიზაციას』. ოღონდ აქ აუცილებლად საჭიროა 『შხამი』 მეცნად დოზირებული იყოს, ზედმეტი არ მოგვიყიდეს და, კვლავ ფიგურალურ გამოთქმას თუ მოვიშველებთ, ნაბან წყალს ბავშვიც არ გადაგაყოლოთ. ვფიქრობ, ორთოდოქსული კონცეპტუალიზმის სიბერნის მიზეზი აქა საძიებელი: ის არ სცნობს ბალანსის საჭიროებას იდეასა და მხატვრულ განსხვეულებას შორის და ამით ახშობს შემოქმედებით იმპულსს: რჩება მხოლოდ კოკეტური ფსევდოძმალობა, რომელსაც ნამდვილ ხელოვნებას-თან საერთო არაფერი აქვს.

შ. დიღმელაშვილი დაუშანის, ტრისტან ცარას და სხვა დადაისტების დასახელებამდე დადაიზმის ქართულ ვარიანტზე საუპრობს, მთლიანად მოჰყავს გრიგოლ ცეცხლაძის ლექსი «დადა», რომელიც საქართველოში ამ მიმდინარეობის პიონერული მანიფესტი გახლავთ და ხახს უსვამს იმ გარემოებას, რომ მაშინდელ საქართველოში (პირველი მსოფლიო ომის დროს) ეკროპული მოდერნის საკმაოდ სწრაფ დამკვიდრებას ჰქონდა აღილი, მაშინდელ ქართულ ხელოვნებას ადეკვატური მიმართება გააჩნდა მსოფლიო ტენდენციებთან. აქცე იგი იხსენებს საქართველოში (თბილისში) «ზუგმის» დამატეკიდრებელ ილია ზდანევიჩისა და მის ჯგუფს

«41 გრადუსი», აგრეთვე სხვა ჯგუფს  $\text{H}_2\text{SO}_4$ , რომელშიც, მისი თქმით, «ერთიანდებოდნენ ისეთი კულტურული ფიგურები, როგორიცაა ნიკოლოზ ჩამარა, ირაკლი გამრეკელი, ბერნ გორდეზიანი, პავლო ნოზაძე, უანგო გოგობერიძე (თუ ღოლიბერიძე? ავტ.), სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგალაია...» ამის შემდეგ შ. დილმელაშვილი პირადად ჩერთვის ერთობ დამაბნეველ რასმე დასძენს: «ეჭ. ეს იყო მანამ, სანამ ეროვნული მესიანიზმით

შეპყრობილი ვიღაც აბსოლუტური პროფანები და წითელსაყლოინი ინტელიგენცია (თქვენ ნარმოდებინეთ ეს ორი ვითომ სრულად განსხვავებული სეგმენტი ერთი მიზნის გარშემო) სრულად სხვა დატვირთვას მისცემდნენ ქართულ ხელოვნებას და გადასრულდნენ რამოდენიმე ასწლეულით უკან «ახალი რუსთაველის» მოლოდინში.

თუ ქართველი ფუტურისტების ასე საგულდაგულო ჩამოთვლა არ დაზარებია ავტორს (რამდენადაც ვიცი,  $\text{H}_2\text{SO}_4$  ფუტურისტული გაერთიანება იყო), ბარებ აქვე

დაქასახელებინა ის «ეროვნული მესიანიზმით შეპყრობილი ვიღაც აბსოლუტური პროფანები», რომელთაც «წითელ ინტელიგენციასთან» ერთად ნამდვილი სასანაული მოუხდეონათ – ქართული ლიტერატურა რამდენიმე ასწლეულით უკან გადაუსცრიათ. საინტერესოა, ამ «გადასროლის» ნიმუშებად მანც რომელ ნანარმოებებს დაასახელებდა სტატიის ავტორი? არაფრით არ მინდა ვიფიქრო, რომ აյ ჩვენი ზოგიერთი კლასიკოსის შემოქმედება იგულისხმება, არადა, «ეროვნულ მესიანიზმზე» თუ მიდგება საქმე, პირველ რიგში გრიგოლ რობაქიძე გაგახსენდება კაცს თავისი «კარდუთი», «ირუბაქიძით» და მისთანებით... გრ. რობაქიძე კი, მოგეხსენებათ, «აბსოლუტური პროფანი» კი არა, იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ერუდიტი იყო, მოდერნიზმის უპირველესი პრაქტიკოსი და თეორეტიკოს – პოპულარიზატორი ჩვენში. აქვე გვახსენდება აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე თუ გიორგი ლეონიძე თავიანთი რომანტიკორებული, ისტორიულ-მთოსურინარმოსახვებით.... ხოლო «ახალი რუსთაველის» მოლოდნს რაც შეეხება, პოეტური

სტრიქონი «ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის», არც მეტი, არც ნაკლები, თვით გალაკტორის კუთვნილება!

მოკლედ, გვინდა – არ გვინდა, სულ ისეთი ხალხი გვახსენდება, ვისმა მხრებმაც ზიდა მეოცე საუკუნის ქართული (მოდერნული!) კლასიკის ტვირთი...

არადა, შ. დილმელაშვილის საკმაოდ კატეგორიული განაცხადის მიხედვით, საქართველოში გ. ცეცხლაძის, ი. ზდანევიჩის (რომელიც, სხვათაშორის, რუსულად წერდა და არა ქართულად!) და მისი «41 გრადუსის» და კიდევ  $\text{H}_2\text{SO}_4$ -ელების

ასწანგარდისტულ ძიებათა დამთავრებასთან ერთად დამთავრებულა ხელოვნების განვითარების პროცესი და «რამდენიმე ასწლეულით უკან გადასროლილები» სადაც შუა საუკუნების ახლო-მახლო ჩავრჩენილვართ!

კი მაგრამ მეოცე საუკუნის დიდი ქართული ლიტერატურა როგორიცაა შეექმნა? იქნებ იმ ავადსახსენებულ შერიოდში, როცა საბჭოთა დოკტორი მძვინვარებდა და მართლაც საგრძნობლად აფერხებდა კულტურული პროცესების ბუნებრივ განვითარებას, აღარაცერი შექმნილა ფასეული?

ალბათ საჭირო არ არის იმ პერიოდში შექმნილი შედევრე-

ბის ჩამოთვლა, შედევრებისა, რომელთა გვერდითაც ქართული დადაიზმის, ფუტურიზმისა თუ მსგავს მიმდინარეობათა პროდუქციის დაყენება (მცირეოდენი გამონაკლის გარდა) უხერხულიც კა.

შ. დილმელაშვილის მიერ ჩამოთვლილი ასწანგარდისტებიდან ქართული პოეზიის კლასიკას მხოლოდ სიმონ ჩიქოვანი შემორჩა, ოლონდ არამარტო და არა იმდენად თავისი მართლაცდა შესანიშნავი ფუტურისტული ლექსებით, არამედ, პირველ რიგში უფრო ტრადიციულ, კლასიკურ სტილში დაწერილი ნანარმიებებით. სხვათაშორის, იგივე ჩიქოვანი, იმ პერიოდის სხვა მნერალთა მსგავსად, ნებით თუ უნებურად ხარქს უხდიდა ხსენებულ საბჭოურ დოქტორინას, ერთხანს მწერალთა კავშირსაც თავკადომარეობდა და, ამდენად, «წითელსაყლოინი ინტელიგენციასაც» ეკუთვნოდა, თუ თავითფეხსამდე არა, მნიშვნელოვანინდად მაინც.

ისეთი შემოქმედიც შეგვიძლია დავხასხელოთ, რომელთაც მიზიუმითა გამო არ მოუხდათ საბჭოური დოქტორინისამდი ხარკის გადახდა: მათ შორის ორი ჭეშმარიტად დიდი პოეტია – ტერენტი გრანელი და ნიკა სამადაშვილი. მაგრამ შოთა დილმელაშვილი მათზე არაფერს ამბობს, რაკი ისინი ავანგარდისტები არ ყოფილა.

ეს ყველაფერი უკვე განვლილი პერიოდის ამბებია. რა ხდება დღეს?

შოთა დილმელაშვილი საინტერესოდ საუპრობს თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების შესახებ, თუმცა აქა-იქ მის მსჯელობას ცოტათი აკლია სიზუსტე და სიცხადე. სასურველი იქნებოდა, მაგალითად, ავტორს ცალსახად დაეზუსტებინა – «არარსებულობა» მხოლოდ კონცეპტუალური პოეზიის თავისებურად მაინრია თუ საერთოდ კონცეპტუალური ხელოვნებისა. ხომ ლოგიკურია, რომ ასეთი კითხვა გაგვიჩნდეს – თუ კონცეპტუალური ხელოვნება საერთოდ არსებობს, და მით უმეტეს, თუ არსებობს კონცეპტუალური მწერლობა (რომელზედაც შ. დილმელაშვილი არაერთგზის ჩერდება თავის სტატიაში), მაშინ რატომაა პოეზია ასეთ განსაკუთრებულ მდგომარეობაში, რატომ არ შეიძლება მასშიც განხორციელდეს კონცეპტუალიზმი? პოეზია რომ მწერლობის ერთ-ერთი უანრია!

ახლა კი სხვაგვარად შევატრიალოთ კითხვა: საერთოდ, როგორ ჯობს – არსებობდეს რაღაც და მერე დაერქვას სახელი თუ ჯერ სახელი გაჩნდეს და მერელა დაგინეროთ ძიება მისთვის შესატყვისი საგნისა თუ მოვლენისა? ადამს ლმერთმა უკვე შექმნილი ცხოველები მოუყვანა და მათთვის სახელები შემდეგადა დაარქებულია. რატომაა ეს «კონცეპტუალიზმი» ესოდენ მნიშვნელოვანი ცნება, რომ მას აუცილებლად უნდა მოერგოს რომელიმე მიმდინარეობა ხელოვნებაში?

მე არ გამოვრიცხავ, რომ შ. დილმელაშვილის მიერ ამ სტატიაში ნახსენებმა «ციფრულმა ეპოქამ» ე. წ. მულტიმედიის შექმნაში ხელოვნებაში და კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა ხელოვნების რაღაც ახალი დარგიც კი წარმოშვას, როგორც ეს მოხდა კინემატოგრაფიის გამოგონების შემთხვევაში. მაგრამ კინო კინოდ ჩამოყალიბდა, თავისი სპეციფიკური შეიძინა და სახელოვნების სივრციდან არ გაუძევებია თეატრი თუ ლიტერატურა. ასევე მხატვრული ფოტოს არნახულ განვითარებას მხატვრის ტრაქტორისაც უკანი გადასროლილების შექმნილია – გრაფიკა და ფერწერა არ გაუუქმებია. რაში სტირდება ლექსის დაწ-

## ერი ფიქა

ერას ე. წ. «ვებტექნოლოგიები», როცა მისი უმარტივესი ტექნოლოგია – ქალალდი და კალამი – უკვე არსებობს? ასევე რა საჭიროა მეტისმეტი თეორეტიზორება იმისა, თუ როგორი უნდა ყოს თანამედროვე ლექსი? მთავარია, ლექსი ახდენდეს მხატვრულ ზემოქმედებას – სულერთა, «ობიექტი» იქნება ის თუ «ენერგიის ცეტრი», «რაღაცების დამაკავშირებელი» (კომუნიკაციური) იქნება თუ «რაღაცების შემქმნელი» (ამ ტერმინებს შ. დილმელაშვილი მიმართავს თავის სტატიაში); თუმცა, ალბათ თეორიები ზოგ შემთხვევაში მათც ასრულებენ გზამკელევის ფუნქციას ახალი ტიპის ხელოვნებასთან მიმართებაში: ხომ არსებობს, მაგალითად ტ. ს. ელიოტის თეორია იმპერიონალისტური პოეზიის შესახებ; ოღონდ, როცა ელიოტი ამ ტიპის პოეზიას თანამედროვეობის კველაზე შესატყვის ფორმად ასახელებდა, უკვე მისი ნიმუშიც შეეძლო წარმოედგინა მკითხველისათვის – თავისი ლექსები და პოემები. ფაქტობრივად, ის რაღაც მომავალში განსახორციელებულზე კი არ რეფლექსირებდა, არამედ თავ-ისი ნოვაციების კანონიზირებას ახდენდა და ლიტერატურულ საზოგადოებას საკუთარი შემოქმედების გასაღებს აწვდიდა.

ნებისმიერი ტიპის ხელოვნება შედევრებით უნდა აფიქ-სირებდეს თავისთავს სამყაროში, სხვაგვარად ის რაღაც ეფემიული წარმონაქმნი იქნება და დრო თან წაიღეს, დავინუებაში დანოქავს. თუ კონცეპტუალურ ხელოვნებას შედევრები მოჰქონდება, მაშინ ჯობს ამ შედევრებზე დაყრდნობით განვსაზღვროთ ამგვარი.

ხელოვნების არსი; ხოლო თუ იგი მხოლოდ რაღაც ექსტრავაგანტული ფოკუსებით იპერიტებს, თუ მხოლოდ ჩანასახობრივ მდგომარეობისა და რამე ჭეშმარიტი ფასეულობა ჯერაც არ შეუქმნია, მაშინ იქნებ ის გვეთქვა, რომ რაღაც ახლის დაბადებას ვწინასწარმეტყველებთ ხელოვნებაში; ოღონდ მართებული არ იქნება, ამ «რაღაც ახალს» თანამედროვე ხელოვნება ვუწოდოთ, რაკი იგი ჯერაც არ განხორციელებულა სათანადოდ და თავისი მკაფიო კონტურები არ შეუძრია.

«არარსებული კონცეპტუალური პოეზიის» ადეპტებსაც ალბათ უნდა ჩამოვაცილოთ «კონცეპტუალისტი პოეტების» იარღიყო და რაღაც სხვა სახელწოდება შევურჩიოთ, მათი შემოქმედების შესაფერი: «იზმ»-ების მეტი რაა!

ოღონდ აქ მე მომწევს მთელი ამ თეორიული ვნებათადელვების მიმართ ამ ბოლოხანებში და ამავე სადისკუსიო სივრცეში უკვე არაერთგზის გამოხატული ჩემი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ დავაფიქსირო: «იზმ»-ების, ანუ მოღერნიზაციის ეპოქა უკვე დამთავრდა: იგი მეოცე საუკუნეს გაპყვა თან და მთელი ეს დღევანდელი განსჯანი არსებობად მეოცე საუკუნის ინერციაა. შეთხვევით როდი მიერება არაერთ მიმდინარეობას პრეფიქსის «პოსტი» («შემდეგ») – პოსტიმპერისონიზმი, პოსტსტრუქტურალიზმი, პოსტმოდერნიზმი: ეს იმას ნიშნავს, რომ «იზმ»-ების მარაგი ამოიწურა და ერთგვარ 『ნარჩენ მოვლენებთან』 გვაქვს საქმე (რა თქმა უნდა, ეს არანაირად არ ნიშნავს ამ სახელწოდებების მქონე პროდუქციის ნაკლებმინშვნელოვანებას თუ მეორადობას). ხოლო თუ ახალი ტექნოლოგიები მართლა წარმოშობენ ხელოვნების ახალ დარგს, ეს დარგი თავის სახელსაც გამოიქმნის თავის დროზე და სავარაუდოა, ის სახელი «იზმ»-ით არ იქნება დაბოლოებული, რადგან ახალი დარგი უბრალოდ ახალი მიმდინარეობა როდია: ახალი მიმდინარეობები მეცხ-

რამეტე და განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში სოკოებივით მალიმალ ჩნდებოდა, ახალი დარგი კი სულ რამდენიმე წარმოშვა – კინო, მხატვრული ფოტო, პერფორმანსი....

21. X. 2008

## განტრეპი

**მანტრეპი** ნაწილია ერთ-ერთი უფიადესი საკაცობრივ მნიშვნელობის რელიგიური და ფილოსოფიური მოძღვრებისა, ვედებისა, ანუ საღმრთო ცოდნისა, რომლის ასაკიც, სწავლულთა თანახმად, 4500-5000 წლისა უნდა იყოს.

სანსკრიტზე, იმ ენაზე, რომელზეც მოგვიანო ეპოქებში ჩაინირა ვედები (მანამდე ზეპირად გადაცემოდა თაობიდან თაობას), მანა ნიშავს „გონებას”, ხოლო ტრია „განთავი-სუფლებას”. მანტრა არის მედიტაცია, ტრანსტენდენციულ ბგერათა და ფიქრთა შერწყმა, ლოცვისმაგარი, რაც ათავი-სუფლებს ადამიანის გონებას შიშისგან, მშფოთოარებისგან. ათასწლეულთა განმავლობაში იმეორებდნენ ინდოებში ღმრთის სახელს მანტრების სახით. უფლის სახელის გამუდმებული განმეორება განმწმენდელ ზემოქმედებას ახდენდა და აძლევდა ადამიანს შესაძლებლობას გადასულიყო მატერიალური განზომილებიდნ ზემატერიალურ განზომილება-ში. ამგვარ სულიერ მოღვაწობას ძალუდა მიეახლებინა ის ღმრთის — უფალ კრიშნას უზენაეს საუფლოს, ეზიარებინა საღმრთო ცოდნასა და ნეტარებას.

ამ მოძღვრების მიმდევარი, დღესაც ამ რწმენით განა-დიდებენ უფალ კრიშნას.

P. S. თარგმანი შესრულებულია წიგნიდან „შრი იშ्वाक-ნიშადა”, რომლის სატიტულო თავფურცელზეც მინანერი გვაუწებს: „ცოდნა, რომელიც მიგვაახლებს კრიშნას, უზენაეს საღმრთო სულს”. წიგნის ავტორი და რუსულ ენაზე მთარგმნელი გახლავთ მსოფლიოში ცნობილი მოღვაწორი და კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების დამ-ფუძნებელი, მისი ღვთაებრივი მოწყალება ა. ჩ. ბჰაკტივე-დანტა სვამი პრაბბჰუბადა. წიგნს ერთვის ავტორის ლექცია, წაჟითაული ლონდონში 1969 წელს და მანტრების უაღრესად საგულისხმო კომენტარები.

## მთარგმნელი

### მალლით მცნება

სული ღმრთისად ყოველადსრულია. და უკეთუ ის აბსო-ლუტერია და სრული, ყოველი, რაც მისგან იშვის, ეს განცხა-დებული სამყაროც, წილხვდომილია ყველაფერ აუცილება-დით, რამეთუ თავად არი სრული მთლიანი. ყოველი, რაც იშვის სრული მთლიანით, ასევე ფლობს სისრულეს. და ის, ვითარცა სრული მთლიანი, ჰგიეს სრულს წესრიგშიდ, თუმც მისგან იშვის უთვალავი სრული სახენი.

### მანტრა პირველი

უფალია სამყაროში მპყრობელი ყოველივე ცოცხალისა და არაცოცხალისა და ისაა მფლობელი. ამიტომ ყოველმან იპყრას მხოლოდ ის, რაც აუცილებადია, რაც მას ეპოძა, ვითარცა მისი წილხვედრი, და ნუ ხელყოფს ნურარა სხვას, გულისხმისმყოფელი, ვინაა მფლობელი ყოველივესი.

### მანტრა მეორე

ნიადაგ ამგვარად რა იქმს, კაცს ძალუდს ინატროს სი-ცოცხლე ასეულ წლობით, თუმც ამგვარი წადილი ააცდენს მას კარმის კანონებს. ხოლო სხვა გზა კაცს არ უჩანს.

### მანტრა მესამე

ვინცა სულის მყვლელია, სულერთია — ვინ, მისთვის განმზადილა პლანტები, სამყარონი ურნმუნოებისა, დაირ-ულნი სიწყვდიადესა და უმეცრებაშიდ.

### მანტრა მეოთხე

დაუძვრელი თვისის წილიდგან, სული ღმრთისად მი-მოდაძერის უმაღლეს ფიქრისა და ძალუდს უმაღლესი ქროლვა ყოველივე მეროლვარისა. ძალმორქმებული ნახევრადღმერთ-ნიც ვერ შემძლებელ არიან მისდა მიახლებად. დამყარებული ერთსა ალაგს, ის იმავ დროს მეუფებს იმათაც, რომელი გარდოვგვილენენ ქარსა და წვიმას. ყოვლადსრულმან, მან არ უწყის თვისის მსგავსი.

### მანტრა მეხუთე

უზენაესი უფალი იძერის, არცა იძერის. ის შორსაცაა, ახლოსაცაა. ის ჰგიეს ყოველსავესა შინა. და მაინც — გარეა ყოველსავესი.

### მანტრა მეექვსე

ის, ვინცა უზენაეს უფალში ყოველსავეს ჭვრეტს, ვინცა ჭვრეტს ყოველივე არსა, ვითარცა უფალის განუწილველ ნაწ-ილს და უზენაეს უფალს ყოველსავეშიდ, არაოდეს ძალუდს სიძულვილი არცა არავისადმი, არცა არაფრისადმი.

### მანტრა მეშვიდე

ის, ვინცა წიადაგ ჭვრეტს ყოველ ცოცხალ არსებას, ვითარცა სულიერ ნაპერწკლებს, არსით უფალის მსგავსს, შეიცონს ყოველს იმგვარსავედ, როგორიც ის არი. მაშ, რაღა შეიძლება იქნას მიზეზად მისი გზაგაუგნებლობისა ანდა შეფოთვარებისა.

### მანტრა მერვე

ამ კაცმან დასტურ უნდა უწყოდეს ყოველთა შორის უდიადესისა, შეუმუსრავისა, ყოვლისამხილველისა, უნკლუ-ლოსი, ძარღვების უქონელისა, წმიდისა და შეუბილწეველისა, თვითმარი ფილოსოფისისა, იმისა, ვინცა ყოველ უხსო-ვარი ჟამითგანვე ალგვისრულებს სურვილებს.

### მანტრა მეცხრე

ისინი, რომელი უმეცრულს ღვანწლშიდ ინაფებიან, მოიხვეჭენ უმეცრების უწყვდიადეს ალაგებს. უფრო უარესს ისინი, რომელი ინაფებიან ცრუ ცოდნაშიდ.

### მანტრა მეათე

ბრძენთ განგვიცხადეს, რომ ცოდნის სრულყოფაში ღვწით სხვა ნაყოფს მოვიმეით, ხოლო უმეცრების განი-ივრებით — სხვა ნაყოფს.

### მანტრა მეთერთმეტე

ძლევა მრავალგზის დაბადებისა და სიკედილისა და ნე-ტრარება უკვდავების საბოძერით ძალუდს მხოლოდ მას, ვინცა შემძლებელ არს ერთსა და იმავ დროს შთანვდეს უმეცრე-ბაშიდ დაუნჯების ღვანწლსაც და ღვანწლს ტრანსცენდენტულ ცოდნაშიდ დაუნჯებისა.

## თარიღი მანი

### **მანტრა მეთორმეტე**

ის, ვინცა თაყვანს სცემს ნახევრადლმერთებს, მოიხვეჭს უმეცრების უწყვეტიადეს ალაგებს. ხოლო კიდევ უფრო უარესს ის, ვინცა თაყვანს სცემს აბსოლუტს.

### **მანტრა მეცამეტე**

თქმულა, ყოველთა მიზეზთა უმაღლესი მიზეზის თაყვანისცემით მოვიმეოთ სხვა ნაყოფს, ხოლო თაყვანისცემის იმისას, რაც არა უმაღლესი — სხვა ნაყოფს. ყოველივე ეს გვეუწყა ალუშფოთებელ ბრძენთაგან, რომელთაც ცხადად გამოგვიცხადეს ყოველი.

### **მანტრა მეთოთხმეტე**

კაცმან სრულად უნდა უწყოდეს სული ღმრთისად და მისი ტრანსცენდენტული სახელი, იმგვარადვე, ვითარცა წარმავალი მატერიული ქმნილება წარმავალივე ნახევრადლმერთებით, ადამიანებითა და ცხოველებით. გულისხმისმყოფელი ამისა, ის გაქელავს სიკვდილს და გარდააღწევს მატერიალურ კოსმიურ განცხადებულსა ზედა, ღმრთის მოუწყვედელ საუკუნოდ საუკუნოდ რომ ინეტაროს, ნილხვდომილმან განცხრომასა და ცოდნას.

### **მანტრა მეხუთმეტე**

ო, უფალო ჩემო, მფარველო ყოველივე არსის! არა იხილვის შენი ჭეშმარიტი სახე დამაბრმავებელის ბრკიალებისა გამო. აიხსენ საბურველი და გამოგვეცხადე შენს წმიდა მოწამეთ.

### **მანტრა მეთექსმეტე**

ო, უფალო ჩემო, ო, დასაბამიერო ფილოსოფოსო, მფარველო სამყაროსა, ო, კანონო წესრიგისაო, საპოლაო სადგურო წმიდა მოწამეთა, კეთილმყოფელო წინაპარო კაცობრიობისა! გვედრი, აიკრიფე შენი დამაბრმავებელი ბრკიალება ტრანსცენდენტულ სხივებისა, რათა ვიზილო მე შენი ჭეშმარიტი ნეტარი სახე. შენ — მოუწყვედელი უზენაესი სული ხარ ღმრთისა, მსგავსი მზისა, ვითარცა მე.

### **მანტრა მეჩვიდმეტე**

დაე, ლპობადი ტანი დამეხრუკოს სრულად, დაე, სასიცოცხლო მშვინვით შევერთო ჰაერს. ო, უფალო ჩემო, გახსენე ყოველი ჩემი ღვაწლი. და რამეთუ ყოველი შენს სანეტაროდ განჩინებულა, გაიხსენე, გვედრი, ყოველი, რასაც ვიღებოდი შენთვის.

### **მანტრა მეთვრამეტე**

ო, უფალო ჩემო, ყოვლისამძლეველო, ვითარცა ცეცხლი, ო, ყოვლისამძლელო, მოვეახლები შენს ლოტოსის ტერფებს და თაყვანს გცემ. ო, უფალო ჩემო, გვედრი, წარმიქების მართალი გზით, რათა შევიძლო ამოღწევა შენამდინ. და რამეთუ შენ ყოველი უწყი, რაც ვქმენ გარდასრულშიდ, გვედრი, ამარიდე ჩადენილ ცოდვათა შედეგებს, რომ არაფურმა დამიბრკოლოს გზა, საფალი შენკენ.

**თარგმანი ლერი ალიმონაკისა**

## შევეღრები ვლადიმერ ვისოცკისთან და აღდრები ტარკოვსკისთან

### თემურაზ ნადარეიშვილი

ცხოვრებაში რამდენიმე ბედნიერი შეხვედრა მქონდა საინტერესო ადამიანებთან, რომლებმაც გარკვეული გავლენა მოახდინეს ჩემზე — ბევრი რამ შემძინა და მასნავლეს მათ. იმისათვის, რომ ასეთმა შეხვედრებმა ადამიანს მართლაც რაიმე შესძინოს, ჩემი აზრით აუცილებელია ორი პირობის შესრულება: პირველი — თვითონ ადამიანში უნდა იყოს გარკვეული „მასალა“ — მისი ინტერესები, მისწრაფებები და მეორე — ის ადამიანი, რომელსაც პირველი ადამიანი ხვდება, უნდა წარმოადგენდეს მისი ინტერესების „საგანს“. მოკლედ თუ ვიტყვით, უნდა მოხდეს შემხვედრი „მოძრაობა“ ორ ადამიანს შორის. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც (შესაძლოა ეს შემთხვევები უფრო საინტერესოც კი იყოს!) — კერძოდ, როცა ის, ვისაც ხვდება, რაღაც, ახალს, მოულოდნელს გძენს!. ქვემოთ მე გავიხსენებ ირ შეხვედრას, რომელთაგან პირველი — ვლადიმერ ვისოცკისთან სწორედ შემხვედრი „მოძრაობის“ მაგალითია, ხოლო მეორე — ანდრე ტარკოვსკისთან შეხვედრა, გამონაკლისთა კატეგორიას განხევუთვნება.

მაშ ასე, დავინწყოთ ვლადიმერ ვისოცკისთან შეხვედრით. 1979 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის ტაგანკის თეატრი (მთავარი რეჟისორი იური ლუბიმოვი). ვნახე მათი ორი სპექტაკლი: შექსპირის „პალეტი“ და დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“, რომლებშიც პალეტის და სფიდლიგაილოვის როლებს ვისოცკი ასრულებდა.

უნდა ვალიარო, რომ თავიდან, სანამ სპექტაკლებს ვნახავდი, სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი — მიჭირდა იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეძლებდა ანიშნული როლების თამაშს ვისოცკი. ჩემი ამგვარი განწყობა ალბათ განპირობებული იყო იმ სტერეოტიპური წარმოდგენით ვისოცკიზე, რაც იმ დროისთვის არსებობდა. კერძოდ, იგი ხომ ძირითადად ცნობილი იყო, უარგონის ენით თუ ვიტყვით „ბლატნი“ სიმღერების შესრულებით, თუმცა როდესაც უესმენდი მას (განასაკუთრებით განმარტებისას!), ყოველთვის მაკვირვებდა სიმღერების არა მარტო შესრულების მნერა და ექსპრესია, არამედ მათი ღრმა შინაარსი (ვლადიმერი ხომ უმეტესნილად თვითონ იყო სიმღერების ტექსტის ავტორი). ამასთან დაკავშირებით მახსენდება ის უცნაური მოვლენა, რომ ვლადიმერი ისეთი ძალით და ისეთ დეტალებში აღნერდა სხვადასხვაც ცხოვრებისულ სიტუაციებს, რომ მაგალითად, იმის ვეტერანები ხშირად ეკითხებოდნენ მას, მონაწილეობდა თუ არა იგი საძროლო მოქმედებებში, რომელ ფრონტზე იბრძოდა და ა.შ. (გავიხსენოთ თუნდაც სიმღერა დასაღუპად განწირულ ბომბდამშენზე — მისი მოსენისას ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ვლადიმერი მართლაც მართავდა „დაჭრილ“ თვითმეტრინავს!). რა თქმა უნდა, ვლადიმერი არ იბრძოდა — იგი „შხოლოდ“ 1938 წელს დაიბადა, მაგრამ მისი ფანტაზის უნარი უსაზღვრო იყო!

ყოველივე ამის გამო ჩემივის მოულოდნელი არ ყოფილა ის „აღმოჩენა“, რომელიც გავაკეთე აღნიშნული სპექტაკლების ნახვის შემდეგ — დაკრძმუნდი, რომ სცენაზე ნამდვილად დიდი მსახიობი იდგა, რამაც თავის მხრივ იმაში დამარწმუნა, რომ ნიჭი მართლაც უნივერსალური მოვლენაა,

რის გამოც მას შეიძლება ზოგჯერ სხვადასხვა გამოვლენა ჰქონდეს. ამასთან დაკავშირებით მახსენდება თანამედროვეობის ერთ — ერთი უდიდესი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურიეტის, რიჩარდ ფეინმანის ასეთი შესანიშნავი გამონათქმაში: „ბუნებამ არ იცის დაყოფა ფიზიკად, ქიმიად, ფიქოლოგიად და ა.შ. უბრალოდ ერთი ადამიანის გონება ვერ სწორდება მთლიანობაში ბუნებას და ამიტომ ხდება ეს დაყოფა!“ ამ გამონათქმამის კვალობაზე გასგები ხდება ზოგიერთი ადამიანის უნივერსალობა შემოქმედების სხვადასხვა სფეროში — ნამდვილად დიდ ნიჭს შეუძლია არ მოახდინოს ამგვარი ხელოვნური დაყოფა ბუნებისა, მთლიანობაში აღიქვას ის და სწორედ ეს ბედნიერი შემთხვევა იყო ვლადიმერი.

გარდა ამისა, ვლადიმერში მე დავინახე დაჩაგრული ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდა საშუალება აშკარად, ღიად ემოქმედა (გავიხსენოთ როგორ ავნერობდნენ მას იმდროინდელი „განვითარებული“ სოციალიზმის კულტურის ჩინონიკები — არ აძლევებდნენ კონცერტების ჩატარებისას, ხშირად არ უშვებდნენ მეუღლესთან რუსული წარმოშობის, ცნობილ ფრანგ მსახიობთან მარინა ვლადისთან საფრანგეთში და ა.შ.). ეს მე განსაკუთრებით ცხადად დავინახე, მის მიერ შესრულებულ პამლეტში. პამლეტიც ხომ შენილბულად მოქმედებს — თავს იგიუიანებს, რომ ამ ნიღბის ქვეშ უკეთესად გაბრავის თუ რა მოხდა დანის სამეფოში. სწორედ ამ ჟერიოდში ინუბა ჩემი კონცეფციის ჩამოყალიბება პამლეტის „უმოქმედობის“ შესახებ, რომლის თანახმადაც უმოქმედობა გამოწვეულა არა იმით (როგორც ეს მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია), რომ გმირს დაკისრებული აქვს ამოცანა, რომლის შესრულება მას არ შეუძლია და ამიტომ აჭანურებს შერისძიებას (როგორც გოეთე ამბობს „ეს არის ნებისყოფის სისუსტე მოვალეობის ნინაშე!“), არამედ იმით, რომ როდესაც საქმე გვაქვს ისეთ პარადოქსალურ, არანორმალურ მოვლენასთან, როგორიცაა პამლეტის ბიძის კლაუდისის მიერ ძმის მკვლელობა და მისი ცოლის შერთვა, საჭიროა ამ მოვლენაში გარკევევა. ადამიანის წარმოდგენები სამყაროზე სწორი რომ ყოფილიყო, მაშინ მსგავსი რამ უნდა მომხდარიყო (როგორც თ.ლოსტოვესკი ამბობს: „დარღვეულია მსოფლიო პარმონია!“), მაგრამ რადგანაც მოხდა, უნდა აისხნას თუ რატომ მოხდა ეს, რის გარკევევასაც კი (კვლევას!) გარკევეული დრო სჭირდება და გამოდის, რომ პამლეტი გარეგნულად, ფიზიკურად არ მოქმედებს, სინამდვილეში კი იგი მთელი პიესის განმარტების ინტელექტუალურად მოქმედებს — იკვლევს თუ რა მოხდა, ხოლო როდესაც ეს კვლევე მთავრდება, იგი უმაღ ფიზიკური ქმედების ადამიანი ხდება და აღასრულებს შურისძიებას — კლავს კლაუდიებულს!

იმ პერიოდში ეს კველაფერი ჩემში ქვეცნობიერად, არაცხადდ ივჯდა” (ჩემს ქვეცნობიერში „თვლემდა“!) და ვისოცკის პამლეტმა გარკევეულნილად დააჩქარა ამ ქვეცნობიერის ცნობიერში გადასვლა. ეს მით უმეტეს დასაფასებელია, რომ უკვე არსებობდა გრიგორი კოზნოცვეის ფილმი - შედევრი (განუმეორებელი ინოვაციი სმოკტუნოვსკით პამლეტის როლში), რომელმაც ჩემში ეს გადასვლა ვერ მოახერხდა. ტაგანკის თეატრის სპექტაკლიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა დედასთან (გერტრუდას შესანიშნავად თამაშიბდა ალა დემილოვა) პამლეტის საუბარი, სადაც პამლეტი იკვლევს, იცოდა თუ არა დედამ (ახლა კი იმავდ როგორად

## მოგონება

ბიცოლამ!) ქმრის მკვლელობის ამბავი და მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ეს ასე არ არის, იყო თანადათანობით ეხსნება დედას და სახოვს აღარ დაპრუნდეს “გარუფინილების ბუნაგში” — კლაუდიუსთან. ვისოცი ამ სცენაში განსაკუთრებით “ეკლიანი” იყო — იყო შესანიშნავად გადმოსცემა და ჰამლეტის ცნობილ სარკაზმს.

ასევე ძალიან ძლიერი იყო ვლადიმერი სვიდრიგაილოვის როლში. უნდა აღნიშნოს, რომ რომანში “დანაშული და სასჯელში”, ეს პერსონაური უარყოფითი და შეიძლება ითქვას, ამაზრზენი გმირიც კი არის, ხოლო ვლადიმერის შესრულებით ეს უარყოფითობა, ამაზრზენობა სადღაც “დაიკარგა” და ამ გმირმა სიმპათია და თანაგრძნობა გამოიწვა მაყურებელში. კარგად მასხოვს, თუ რა ოვაციით შეხვდა მაყურებელი (მეორე დღეს ერთ-ერთ რეცეპტიაში დაიბჭებდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს ოვაცია მთელი 17 (!) წელი გრძელდებოდა) ვისოცის ამ გმირს — იმდენად გამაოგნებელი იყო მისი სვიდრიგაილოვი! (მთავარი გმირი რასეოლინიოვი კი ყველას “გადაავიწყიდა”!) ამ ფაქტმა — ასეთმა დიამეტრალურად სხვა სახით წარმოჩენაში უარყოფითი გმირისა, რა თქმა უნდა, ჩემი დიდი დაინტერესებისა გამოიწვია, მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში მაინტერესებდა არანაკლებ უარყოფითი გმირის (ტირანის!) რიჩარდ III — ის სახე, მაგრამ ამის შესახებ - ოდნავ მოგვაინებით.

ყოველივე ზემომულის გამო ძალიან დიდი სურვილი მქონდა შეხვედროდი ვლადიმერს, მაგრამ არ ვიცოდა, თუ როგორ მომერხერხებინა ეს. სწორედ ამ დროს განგებამ სასიამოვნო სიუპრიზი “მომიდღვნა” - სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ფოიეში შემთხვევით ჩემ ნათესავ გოგონას შევხდი და მან მითხა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებმა გადაწყვიტეს შეხვედრა მოუწყონ ვისოცის (გათვალისწინებული იყო მცირე პანკეტიც), მთხოვა შესულოყავი საგრიმეოროში და ეს თხოვნა მისთვის გადამეცა. მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თავადაც მინდოდა ვისოცისთან შეხვედრა, მაგრამ საქმეზე რომ მიდგა, დავიბენი და უარი ვთქვი. მადლობელი ვარ ჩემი ნათესავის დაუნებისა, რომელიც არ მომეტვა და ბოლოს და ბოლოს დამიყოლია. ასე რომ არ მომზადრიყო, ალბათ ვერ გავპედავდი შემეღლ საგრიმეოროს კარგი და არც ეს პერიოდი შეხვედრა შედგებოდა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მე თვითონ აღარ მახსოვს თუ როგორ აღმოვჩნდი ვისოცის პირისპირ. აյ მინდა და ორიოდე სიტყვა ვთქვა ჩემს პირველ შთაბეჭდილებაზე, მასთან ასე “ახლო მანძილიდან” ურთიერთობის გამო (სამწუხაოდ, სპექტაკლებზე იარუსებზე ვიჯექი და საკმარისად კარგად ვერ ვხედავდი ვლადიმერს — რას იზამ, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს: “ნამდვილი თეატრალები ქანდარაზე სხედან!”). და აი, ის ჩემს ნინაშე იდგა საკმაოდ დაბალი, შეიძლება ითქვას, ჩია ტანის ადამიანი; ახლაც კი თვალობინ მიდგას მის სხეულზე არანორმალურად გამობრილი ძარღვები (განსაკუთრებით ყელის მიდამოში), სევდით სავსე თვალები და დაღლილი სახე. აქ ლაპარაკი არ არის იმ დაღლაზე, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მას შევხვდი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ — ჩემს ნინ იდგა საერთოდ, ცოლორებით დაღლილი და დაქანცული ადამიანი! მაშინვე გამახსენდა, რომ გასულ წელს ტაშენტში ერთ-ერთ კონცერტზე, მას გულის შეტევა მოუვიდა და მაშინ იგი გადაარჩინეს რადიკალური სამედიცინო საშუალების გამოყენებით — გულში

პირდაპირ ნემსის ჩხვლეტით! ყოველივე ამის შემდეგ კიდევ უფრო გამაკვირვა იმან, თუ საიდან პოულობდა ეს ადამიანი ენერგიას ასეთი ძალით ეთამაბა სცენაზე და გადავწყიტე მხოლოდ მოწვევა გადამეცა მისთვის და აღარ შემეტუხებინა შეკითხვებით.

ჩემეულებრივი მისალმების შემდეგ ვლადიმერს ვუთხარი, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებს ძალიან უნდათ მასთან შეხვედრა და თან შეხვედრის დასასრულს გათვალისწინებულია ბანკეტიც. ჩემი თავისთვის დღემდე ვერ მიპატიგბია, თუ როგორიც ტრინით ვუთხარი მას, რომ გათვალისწინებულია ბანკეტიც; აქ როგორც ჩანს ჩემზე ქვეცნობიერად იმოქმედა იმ სტერეოტიპში, რაც იმ პერიოდში მის შესახებ არსებობდა (ციცოდი მისი დამოკიდებულება ალკოჰოლისადმი!). როგორც კი წარმოვთქვი ეს “საბედისწერო” ფრაზა — მაშინვე მიიხდი, რომ ბანკეტი საერთოდ არ უნდა მეხსენებინა და როგორც ჩანს გარკვეული სინაული და დაბნევა გამოისახა ჩემს სახეზე და აქ თავი იჩინა ვლადიმერის კიდევ ერთიმა დადებითმა მხარემ — შემწყნარებლობა! მან შენიშნა ჩემი დაბნეულობა, დასაშვიდებლად ხელი მომკიდა და წყნარად, აუღლევებლად, თავისი განუმეორებელი ხმით მითხრა: “Вы же знаите, я от таких вещей не отказываюсь, но к сожалению завтра в 9 утра улетет мой самолёт!” აქ მოხდა ძალიან საინტერესო ფისიოლოგიური მოვლენა. ჯერ ერთი, მისმა ასეთმა რაინდულმა საქციულმა კიდევ უფრო ბეტრი სიმპათით განმაწყო მისდამი და მეორეც გავიცნობიერე, რომ ცხოვრებაში, ალბათ აღარ მომეცემოდა საშუალება მასთან შეხვედრისა და ამიტომ მაინც გადავწყიტე მეთქვა მისთვის ჩემი “სატკივივარი”.

აქ მინდა ცოტათი შორიდან დავიწყო და გიამბოთ, თუ რაში მდგომარეობდა ეს ჩემი “სატკივარი”. ახლა დროის გადასახედიდან ვხედავ, რომ მოხდა რამდენიმე ბედნიერი დამთხვევა ჩემს ცხოვრებაში (როგორც ნათქვამის, ნარსული “წყნარია” და ამიტომ შედარებით ადვილია მისი გააზრება!), რამაც მიმიკანა ჩემეულ კონცერტიამდე “ფარული” სიმართლის შესახებ და ამაში, როგორც ახლა ვხედები, ვისოცი-სთან ამ შეხვედრას ჩემთვის საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა. მივყვეთ ყველაფერს თანმიმდევრობით. 1979 წლის თებერვალში (ცისოცის შეგვევი, როგორც ზევეთ აღნიშნე იმავე წლის შემოდგომაზე) რუსთაველის თეატრში დავესარი რობერტ სტურუას გახმაურებულ სპექტაკლს, შექსპირის “რიჩარდ III”-ს. ივლისში, უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, წაგვიყვანეს თადარიგის თვეულებით ასეთ შეცვერის შეცვერაზე და სამხედრო მოწვევებს რიჩარდისა. უშუალო საბაზი ამ უცნაური ქმედებისა ის იყო, რომ ერთხელ ჩემს მეგობარს შევეკითხე თუ რომელი საათი იყო. მან მიპასუხა, რომ ათს წუთები აკლიაონ და სწორედ იმ მომენტში ჩემში რიჩარდმა “გაიღვიძია” და მეგობარს “მრისხანედ” მივაძახე: “მაშ მიჩუქნია ეგ წუთები, რადგან ათზე სიცოცხლეს გამოესალმები!” — სწორედ ასე მიმართავ სპექტაკლში რიჩარდი ბაკნგაშის. ჩემმა ამგვარა ქმედებამ კინალამ კონლიქტი გამოიწვია, მაგრამ ჩემი სათანადო განმარტებების შემდგომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. (ციციქრობ, რომ მეგობარს სხვა დრო რომ ეთქვა, მე საერთოდ არ გამახსენდებოდა რიჩარდი და ესეც

ბედნიერი დამთხვევა იყო!). აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს ფრაზა ბატონი რობერტის მიერ არის მოგონილი, რადგანაც პიესის ტექსტში, ბაკინგამი გაიქცევა, მიემზრობა რიჩარდის მონინაალმდეგებს და მას მხოლოდ მოგვიანებით, რამდენიმე სცენის შემდეგ სიკვდილით დასჯიან. სტურუას ინტერპრეტაციით ბაკინგამის დასჯა დაუყონებლივ ხდება მისი გარკვეული ყოყმანის შემდეგ, როცა რიჩარდი მას სთხოვს დახოცოს რიჩარდის ახალგაზრდა ძისნულები და ამ გაბეჭდულ გადაკეთებას თავისი ღრმა საფუძველი გააჩნია, მაგრამ ეს უკეთ სულ სხვა საუპრის თემაა.

ამ შემთხვევის შემდეგ დავიწყე რიჩარდის “თამაში”. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მთელი ხუთი თვის განმოვლობაში (თებერვლიდან ივლისამდე) ერთი სიტყვა არ მახსოვდა სპექტაკლიდან და ჯარში უცრად, სპონტანურად გამახსენდა რიჩარდის სიტყვები. ბუნებრივია ამ ფაქტი მა ძალზე გამაკვირვა და გადაწყვიტება გამრეკვია, თუ რა ხდებოდა ჩემში. ამიტომ სწორედ ვისოცყასთან შევეღრუამდე 2 თუ 3 კვირით ადრე მეორედ ვნახე რიჩარდ III — მნიდონდა შემომემოშებინა თუ რამდენად სწორად „ვთამაშობდი“ რიჩარდს და აღმოჩნდა, რომ ჩემი ჯარში წარმოთქმული რიჩარდის მონოლოგები, თითქმის ზუსტად ემთხვეოდა სპექტაკლის ტექსტს, რამაც კიდევ უფრო გააცხოველა ჩემი ინტერესი. ამრიგად, ჩემში ქვეცნობერად „იჯდა“ სიმპათია რიჩარდისადმი და არ მესმოდა თუ რა მომწოდა ტორანში! ახლა კი ვისოცკიმ „მოახერხა“ უარყოფითი გმირის — სვიდრიგაილოვის სიმპათია გამოეწვია მაყურებელში და სწორედ ამ ფაქტის აღნიშვნით დავიწყე მასთან საუბარი. მოკლედ მოვუყევი რიჩარდისადმი (საერთოდ უარყოფითი პერსონაჟებისადმი) ჩემი დაინტერესების შესახებ, ვუთხარ, რომ თავად არ მესმოდა, რით მიზიდავდა ეს დაუნდობელი ადამიანი, რატომ დავიწყე ჯარში მისი ენთ „ლაპარაკი“ და ვთხოვე განემარტა, თუ როგორ მოახერხა მან არანაკლებ უარყოფითი პერსონაჟის, სვირიგაილოვის მიმართ ასეთი თანაგრძობის გამოწვევა. ეს ყველაფერი, შეიძლება ითქვას, სპონტანურად, უცრად მოხდა და აღაბათ რამდენიმე წუთში ამოვთქი ჩემი „სატკივარი“ (მე მგონი, ექსტრემალურ სიტუაციებში გარკვეული ხილი გააჩნიათ, რადგანაც ადამიანი ახერხებს საკუთარი სათქმელის მოქლედ თქმის, თანაც ისე, რომ მთავარი და პრინციპული არ გამოიჩეს მასში!).

შეკითხვამ დააფიქრა ვლადიმერი, დაჯდომა მთხოვა, თვითონაც ჩამოვადა და სიგარეტი გააბოლდა. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე, რომლის დარღვევა მე ვერ გავდედე, რადგანაც ვლადიმერს სახეზე აშკარად ეტყობოდა, რომ ინტენიურად ფიქრობდა — ეტყობა ჩემი საფიქრალი არც მისთვის აღმოჩნდა „უცხო“.

ბოლოს ისევ ვისოცკიმ „იყისრა“ ამ უხერხულობის მოხსნა — მან დინჯად დაიწყო (როგორც ჩანს ამგვარი ტონი მისთვის დამახსასითებელი იყო, რადგანაც, მე მგონი, ღრმა აზრს არ სჭირდება მჭექარე ხმა!): „იცით უარყოფითი გმირი საერთოდ უფრო საინტერესოა ვიდრე დადებითი, რადგანაც ყველაზე უკეთ მან იცის, რომ იგი ასეთია — ყველაზე უკეთ ადამიანი ხომ საკუთარ თავს იცნობს! მან იცის, რომ არასწორად იქცევა, მაგრამ მაინც აგრძელებს თავის ქმედებებს და ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ მას გააჩნია რაღაც შინაგანი სიმართლე. ეს სიმართლე შესაძლოა იყოს ერთგვარი პროტესტი გარე სამყაროში არსებულ უს-

ამართლობისადმი, გარკვეული შინაგანი მოტივები, რამაც ადამიანი ამ ქმედებებამდე მიიყვანა“. აյ მე შევნიშნე, რომ როგორც ფოლენერი წერდა, ადამიანი არის თავისი წინა ცხოვრების ჯამი, შედეგი და სხვამ, რომ გაიგოს თუ რატომ არის ის მოცემულ მომენტში ასეთი და არა სხვანაირი, მასთან ერთად უნდა „გაიაროს“ მთელი მისი ცხოვრება, რაც რასაცივირველი, შეუძლებელია. ვისოცკიმ გაილიმა და ალბათ თანხმობის ნიშნად მეორე მაგალითი მოიყვანა — გაიხსნა ანდრე ტარკოვსკის ფილმი „სარკე“ და აღნიშნა, რომ ამ ფილმის გაგება თითოების შეუძლებელია, რადგანაც მასში მოთხოვობილია მთავარი გმირის ცხოვრება მისი ასოციაციური „მოგონებების ჯაჭვის“ ფონზე. „მაგრამ ადამიანია — განაგრძო ვლადიმერმა — მაინც უნდა სცადო სხვა ადამიანის შინაგანი სიმართლის, თუნდაც რაღაც ნაწილის გაეგება. მაშინ შენთვის მეტნაკლებად გასაგები გახდება მისი ქმედებები. მე სწორედ ეს შევძლი — სვიდრიგაილოვში დავინახე მისი შინაგანი სიმართლე, ნინ ნამოვნი იგი, რათა მაყურებლისათვის მეჩვენებინა და რადგანაც ეს მაინც სიმართლეა, ამიტომ მოქმედებს ის სხვა ადამიანებზე! რაც შეეხება რიჩარდს, ამაზე საგანგებოდ არ მიიღირია, მაგრამ რაც ახლა მომდის აზრად, ეს არის რიჩარდის საშინელი ფიზიკური სიმახინჯე — იგი ხომ ბუნების მიერ სასტიკად დაჩაგრულია, მაგრამ ძლიერი ადამიანია, საკუთარი ქვეყნის პატრიოტია, არ ჰავას გარყიბობის ძმებს, მაგრამ სიმახინჯეს გამო დაშული აქვს გზა ტახტისაკენ და შესაძლოა მიიტომ არის იგი ასე გაბოროტებული; ალბათ ეს გახლავთ მისი შინაგანი სიმართლე და ეს ინვეგს თქვენში მისდამი სიმპათიას. რაც შეეხება თქვენს თამაშს, ეს ალბათ სწორედ ამ სიმპათიის შედეგია!“

როგორც ჩანს, მე მაინც დოდხანს ვიყავი ვისოცკისთან და ალბათ სწორედ ამ ფაქტის გამომსატველი იყო ის ფრაზა, რომელიც ერთხმად წარმოთქვეს თაახში შემოსულმა მსახიობებმა: „გде ты пропадаешь Володя? Тебя давно ищем!“ ამის გამო ველარ მოვასნარი მევითხა მისთვის ჰამლეტის შესახებ. სხვა რა გზა მქონდა — ვლადიმერს დიდი მაღლობა გადაუქადე და დავემშვიდობე. როდესაც საგრიმეროდან გამოვდიოდ ვლადიმერმა სრულიად მოულოდნელად მომახახა: „Знайдите я все таки очень устал!“ ეს სიტყვები დღემდე ჩამესმის და ვერ ამიხსნა რატომ მიიხირა ვისოცკიმ სწორედ მე ეს ფრაზა!

ამის შემდეგ ბევრი რამ ჩემთვის ცხადი გახდა, ხშირად ვფიქრობდი რიჩარდის ფარული სიმართლის შესახებ („ფარულით სიმართლით“ შეცვალე ვისოცკისეული „შინაგანი სიმართლე“, რადგანაც ვფიქრობ, რომ ეს უფრო ფართო ცნებაა და „შინაგანსაც“ მიიგუას!). შემდეგ ეს ცნება ჰამლეტზეც განვირცე მოკლედ ეს ზეგოთაც მოგასსენეთ და შეიძლება ითქვას, რომ ჩემი კონცეფცია ფარული სიმართლისა, სწორედ ვისოცკისთან ამ შეხვედრის შემდეგ იღებს სათავეს. ასე, რომ ამგვარია „შემხვედრმა“ მოძრაობამ ორი ადამიანისა, ასეთი კარგი შედეგი გამოიღო ჩემთვის. გავკადნერდები და გამოვთქვამ, ვარაუდს, რომ ვისოცკისთვისაც შეიძლება ჰექონდა ამ შეხვედრას გარკვეული მნიშვნელობა და შესაძლოა ეს მის შემდგომ შემოქმედებაში ასახულიყო, მაგრამ ამ შეხვედრიდან 7 თუ 8 თვის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

ამ ნაწილის დასასრულს აუცილებლად მინდა აღნიშნო, რომ ვლადიმერის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემ-

## ժողովածառ

დეგ, ე.ნ. “პერესტოიკის” პერიოდში, გამოვიდა მისი მეუღლის მარინა ვლადის მოგონებების წიგნი ძალზე შთამბეჭდავი და ზუსტად მიგნებული სათაურით (სიმარტივის მოუხედავად, სათაურს შეგნებულად არ ვთარგმნი, რადგანაც მეშინია არ დაგვარგო მისი პათოსი!): “Преванхый пойёт”. მართლაც არ შეიძლება არ დაეთანხმო მარინა ვლადის, რადგანაც ვისოცკიმ შემოქმედების ზენიტში, ყველასთვის მოულოდნელად შეწყვიტა “ფრენა” და ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან! ეს წიგნი ერთი სულის ამოსუნთქვით წავიკითხე და უამრავი რამ გავიგო ამ შესანიშნავი წყვილის სიყვარულის ისტორიის შესახებ. განსაკუთრებით სასიამოვნო აღმოჩნდა იმის გაგება, რომ ვლადიმერმა და მარინამ ქორნილი თბილისში, რესტორან „ქალაქურში“ გადაიხადეს ქართველი მეგობრების წრეში.

ბოლოს კი მინდა ალექსიშნი ის გასაოცარი ფაქტი, რომელიც მოხდა ვისოცკის მიერ ვაჟა ფშაველას ძეგლის მონახულების შემდეგ. კერძოდ, ვლადიმერს ძალიან მოსწონებია ძეგლი, მაგრამ გამოუხატავს გაკვირვება იმასთან დაკავშირებით, რომ ვაჟა ჩექებით დგას ბალახზე ბუნების შვილებს შორის. ვისოცკის მორიდებულად შეუნიშნავს, რომ ვაჟა აუცილებლად ფეხშიშველი უნდა ყოფილიყო მისთვის სათაყვანებული ბუნებასთან შეხებისას! როგორც იტყვიან ყოველგვარი კომენტარი აქ ზედმეტია — ვისოცკი აპსოლუტურად მართალი! მახსოვს წიგნში ამ ადგილის წაკითხვის შემდეგ, მეორე დღეს, სპეციალურად წავედა ძეგლის სანახავად (მანამდე კი მიმიქცევია ყურადღება ამ “უმინშვნელო” დეტალისათვის!) და ძალზედ დაწყებული გული, რომ ვაჟას ჩექებით მართლაც ეცვა და ამიტომ ბალახს უშუალოდ ფეხით არ ეხებოდა! იმ დღეს კიდევ ერთხელ დამწყდა გული. კერძოდ, ეს ფაქტი რომ მცოდნოდა ვისოცკისთან შეხვედრის დროს, საუბარს სწორედ მისი აღნიშვნით დავინწყებდი და ვინ იცის რამდენ “მარგალიტა დავსტუუებდა” ვისოცკის ვაჟას შესახებ, რომელიც არა მარტო ჩემთვის იქნებოდა საინტერესო!

ახლა მინდა გავიხსენო შეხვედრა ცნობილ რუს რეჟისორთან ანდრე ტარკოვსკისთან, თუმცა უშუალოდ ვერ შევხდი ანდრეის და კიდევ კარგი რომ ვერ შევხდი! (თუ რატომ, ამას აღნავ ქვემოთ შეიტყობთ!).

1981 წლის გაზაფხულზე თბილისში გამოვდა ტარკოვსკის გახმაურებული ფილმი “სტალკერი”, რომელმაც ძალზე დიდი აუიოტაჟი გამოიწვა, რაც განპირობებული იყო, რა თქმა უნდა, რეჟისორის სახელით, შესანიშნავი მსახიობების მონაწილეობით (კაიდანოვსკი, სოლონიცინი, ფრეიდლიხი, გრინკო) და აგრეთვე იმით, რომ ფილმი გადაღებული იყო ცნობილი ფანტასტი მწერლების — ძმები სტრუგაცების რომანის მიხედვით.

ძალიან მოკლედ შევხები ფილმის სიუჟეტს, რადგანაც ამას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავ, რომ ფილმი ფანტასტიურ ფილმთა უანრს განეკუთვნება. დედამინაზე ჩამოგარდება უცნაური, ამოუცნობის სხეული და მის ირგვლივ გარკვეულ ტერიტორიაზე (ეკრეთ-წოდებულ ზონაში) იქმნება განსაკუთრებული პირობები. ასე გრძელდება რამდენიმე წელიწადი. ზონას გულმოდგინედ იცავენ. გავრცელებულია აზრი, რომ ადამიანი, რომელიც ზონაში შეადნევს, შეძლებს საკუთარი სურვილების აღსრულებას, თუკი იქ გულწრფელი იქნება. გულწრფელობა აუცილებელი პირობაა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში

ადამიანი შეიძლება დაიღუპოს (გულწრფელობა იზომება სპეციალური ხელსაწყოთი — “დუშემერ”- მახსოვრი ძალიან მომენტია ეს სახელი). ადამიანებს ზონაში შედინევასა და იქ გზის გაკვლევაში ეხმარებიან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდობული ადამიანები — სტალკერები. ფილმში ერთ — ერთ მათგანს შესანიშნავად განასახიერებს ცნობილი რუსი მსახიობი ალექსანდრ კაიდანოვსკი, რომელსაც ზონაში შეჰყავს ორი ადამიანი — მეცნიერი და მწერალი. ფილმში ნაჩვენებია მათი იქ ყოფნის პერიპეტიები. კერძოდ, თუ როგორ ეძებენ და პოულობენ ისინი ეგრეთ წილდებულ სურვილების ოთახს. ფილმში ტარკოვსკისათვის დამახასიათებელი ბევრი სიბოლური სცენაა და ისინი მისთვის ჩვეული ისტატობითაა გადაღებული (მაგალითად, ცნობილი სცენა — მიტოვებულ ოთახში დაბინძურებულ წყალს ნელ - ნელა უახლოვდება კამერა ან ასევე მიტოვებულ ოთახში სილის პატარა გორაკების თავზე რამდენიმეჯერ გამოჩნდება და გაქრება ყვავი და ა.შ.). უნდა ალინიშნოს, რომ იმდროინდელი ინტელექტუალური მაყურებელი ცდილობდა ამ სიმბოლური სცენების უკან გარკვეული აზრი დაენახა, რაც თავისთავად კარგი მოვლენაა, მაგრამ ზოგჯერ ეს კეთდებოდა არაბუნებრივად (სხვადასხვა მალალფარდოვანი სიტყვების გამოყენებით, უესტიკულაციებით და ა.შ), რაც ჩემში გარკვეულ გალიზიანებას იწვევდა, მაგრამ სამწუხაროდ მეც ავყევი ამ საერთო ცდუნებას.

უშეალი საბაზი იმისა, თუ რატომ მოვინდომე მეც “ავყოლოდი მოდას” გახლდათ ის, რომ როდესაც ფილმი დამთავრდა, შემთხვევით ნაცნობი შემხვდა გამოსასვლელში და მკითხა: “ზონის გარეთ ყველაფერი მუქ, პირქუშ ფერებშია მოცემული, ზონაში კი ბუნებრივ (მწვანე, ლურჯი და ა.შ) ფერებშია გადაწყვეტილი, მაგრამ ზონაშიც გამოჩნდება შავი ძალია. რას შეიძლება ნიშნავდეს ეს?” არ მოველოდა ამგვარ შეკითხვას და უცდად, შემდეგი პასუხი მოვიფიქრე: “როგორც ფილმიდან ჩანს, ზონაში ხდება არა მარტო სურვილების ასრულება, არამედ ადამიანების სულიერი განწმენდაც — ადამიანი ხომ იქ გულწრფელი უნდა იყოს! ამიტომ ზონაში ყველაფერი ბუნებრივ, მაჟორულ ფერებში გამოიყურება, ხოლო ზონის გარეთ ისევ და ისევ “ცოდვილ” მიწასთან გვაქვს საქმე და ამიტომ იქ ყველაფერი მუქ ფერებშია გადმოცემული. მაგრამ როგორც ჩანს, ზონაშიც ვერ არის ყველაფერი წესრიგში და შესაძლოა სწორედ ამ ფაქტის გამომსატველი იყოს შავი ფერის ძალია. ასე, რომ ფილმში ფერს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს!” ეს პასუხი იმ მომენტში სპონტანურად წარმოშვა, მაგრამ როგორც ჩანს, მაშინ მობილიზირებული ვიყავი და გარდა ამისა ხმირად პირველი შთაბეჭდოლება ყველაზე ძლიერია (პირველი სიყვარულისა არ იყოს!). ამიტომ მე თვითონ მომენტანა საკუთარი პასუხი და შემდგომ ორი თუ სამი თვე, სხვადასხვა შეხვედრებზე, ვამაყობდი “შავი ძაღლის” ჩემეული ინტერპრეტაციით.

იმავე წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა ანდრე ტარკოვსკი, რომელმაც ორი შეხვედრა გამართა მაყურებელთან: მამწინდელ აფიცირთა სახლში რუსთაველის გამზირზე და დელის მეტროსათან პროფესიონერების სასახლეში. როგორც მისი ნიჭის თაყვანიმსაცემლი, ორივე შეხვედრას დავისწინარი. ძალიან დიდი სურვილი სიყვარულისა არ იყოს! მაგრამ საიმაჟის ბეჭდი “სიმტკიცეზე” გამომეცადა ჩემი საიმაჟის ბეჭდი “შავი ძაღლის” თეორია!“ ანდრეის ბევრ

შეკითხვას უსვამდნენ, რომლებზეც იგი ხალისით და ძალზე ღრმაზროვნად პასუხითდა. მისი პასუხებიდან აშკარად „გამოყოფა“ უკმაყოფილება იმდრინდელი რეჟიმისადმი. კერძოდ, ანდრე ამბობდა, რომ მას ბევრი ჩანაფიქრი აქვს, მაგრამ ეჭვი ეპარება, შესძლებს თუ არა მათ განხორციელებას. ანდრე ლაპარაკობდა აგრეთვე იმაზე, რომ მის ფილმებს ხშირად ტრივებს „ალშოოთებული“ მაყურებელი, მაგრამ მას ეს ნაკლებად ალელვებს, რადგანაც იგი უფრო ცნობილი ეს-თეტიკური პრინციპის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მიმდევარია (და არა იმდროისათვის პარტიული ყრილობებიდან სანქციონირებული პრინციპისა „ხელოვნება ხალხისათვის“). ამიტომ მისი ფილმები ძირითადად განჯურებილია მომზადებული და არა მასაბრივი მაყურებლისათვის. ამის გამოცაა იგი „მოუხერხებული“ რეჟისორი ხელისუფლებისათვის. ასე, რომ აშკარად იგრძნობოდა წინააღმდეგობა დიდ წიჭსა და იმ სინამდვილეს შორის, რომელიც ხელს უძლიდა „გაფურჩქულიყო“ ეს ნიჭი. ამ გადაუსახავება წინააღმდეგობამ ანდრე იძულებული გახდა რამდენიმე წლის შემდეგ სამუდამოდ დაეტოვებონა საშმიობლო.

ყველაზე გახმაურებულ ფილმ „ანდრე რუბლიოვთან“ დაკავშირებით ტარკვოსკი სრულიად მოულოდნელი რამ განაცხადა. კერძოდ, აღნიშნა, რომ რუსი ხალხის ცნობილი ველიკორუსული შოვინიზმი, აგრესიულობა, სურვილი სხვა ხალხების ჭკუს „დამრიგებული“ და „მომრიგებული“ იყოს (გაიხსენა, რომ ავღანელი ხალხის „თხოვნით“, საბჭოთა ჯარების „შეზღუდული კონტიგენტი“, ახლად შეყვანილი იყო ავღანეთში „ინტერნაციონალური დახმარების“ მიზნით) შესაძლოა გამოწვეულია მონღლოების თითქმის ორსაუკუნოვანი ბატონობით რუს ხალხზე. ამან გამოიწვია ჯერ ერთი, გარკვეული სისხლის ალრევა მონღლოებსა და რუსებს შორის, რამაც რუსებს მონღლოლური აგრესის „გენი“ გადასცა (ჩემის მხრივ დავუმატებ, რომ რუსებს შორის ერთობ პოპულარული მამის სახელით (პეტროვჩი, პავლოვჩი და ა.შ.) მიმართების ფორმა, თურმე ისტორიულად მონღლოების პერიოდიდან იღებს სათავეს. „ჩჩ“ ბოლოსართით იხსენიებდენ რუსი ქალის ვაჟს, რომელიც მას მონღლოლი მეომრისაგან შეეძინა) და მეორეც, ორსაუკუნოვანმა მონღლოლურმა უღლემა რუს ხალხს თავისი „დაღი დაასავა“ — ამ დიდი „წყენის“ გამო, განთავისუფლების შემდეგ რუსეთმა თვითონაც მოინდომა დამპურობლის „სამოსელის მორგება“! (მე თითქმის ზუსტად გადორმუცემ ანდრეს მწარე სარკაზმს და ამიტომ ხშირად მიხდება ბრწყალების გამოყენება!). აღნიშნა, რომ ეს ფაქტი სათანადოდ აისახა რუსული სახელმწიფოს დასახელებაში — „Держава“, ქალაქების სახელწილებში — „Владивосток“, „Владимир“ ანუ კელავ ფლობასთან, პყრობასთან გვაქვს საქმე! ტარკვოსკი ანალოგი გაავლო კაზზერის გერმანიასთან, როდესაც გერმანელი ხალხიც დათრგვული იყო პირველი მოფლიო მოში დამარცხების შემდეგ, რამაც შემდეგში ნოვიერი საფუძვლი შექმნა პიტლერის ხელისუფლების სათავეში მოსვლისათვის და რამაც ამდენი უბედურება მოუტანა კაცობრიობას! კარგად მასივს ამ „ჯანსაღი არაბატრიოტიზმის“ საჯარო გამოვლენამ ძალზედ დიდი სიმპათია გამოიწვია ანდრეს მიმართ. ახლაც მკვირს და მითუმეტეს მაშინ წარმოუდგენელი გახლათ რუსი ადამიანის ასეთი გულწრფელი აღსარება, საღი ანალიზი, გულისტკივილი საკუთარი ერის მანკიერებებისადმი,

რამაც ძალაუნებურად გამახსენა ილიასეული „ქვათა ლალადი“! (თუმცა ვერ „მოვისვნე“ და მოგვიანებით, უკვე საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, მანც გავირკვევი ცასაგები მიზეზების გამო), რომ ტარკვოსკების გვარის წარმოშობის შესახებ არსებობს ორი ვერსია; პირველი ვერსიის თანახმად ამ გვარს ატარებდნენ პოლონელი დიდგვაროვნები და მეორე, უფრო „რომანტიკული“ ვერსიის თანახმად, 1722 წელს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I - მა დადესტანიდან აღსაზრდელად წამოიყანა წარჩინებული წოდების ახალგაზრდა ადილ-გირ ტარკვოსკი, რომელმაც შემდგომ მიღლი მართმადიდებული რწმენა, დაქორნინდა ქრისტიან ქალზე და მეფის სამასახურში იმყოფებოდა. ამიტომ ფიქრობენ, რომ ტარკვოსკების რუსული შტო, სწორედ აქედან იღებს სათავეს, რომელთა პირდაპირი შთამომავალი იყო ცნობილი პოეტი და მთარგმნელი, ანდრეს მამა, არსენი ტარკვოსკი. ყველ შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანდრე არ იყო ეთნიკურად „წმინდა“ რუსი და ამითაც შეიძლება ასხსნას მისი „ჯანსაღი არაპატრიოტიზმი“!

ანდრეს ეტყობოდა, რომ ასეთი შეხვედრები ძალიან ბევრს სხენდა მას და ეს მგონი, არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც ხშირად პროფესიონალი უფრო გაბედულად ლაპარაკობს არაპროფესიონალთან, „უბრალო“ ადამიანთან და მისი რეაქციის საფუძველზე გარკვეული აზრით „ამოწმებს“ საკუთარ მოსაზრებებს (სმ შემთხვევაში ნაკლებად გეშინა იმისა, რომ რაღაც ზუსტად ვერ თქვა — არაპროფესიონალი ხომ ამას ვერ შეამჩნევს!). ამასთან დაკავშირებით მასენდება, რომ პუშკინი ხშირად თავის ლექსებს პირველად გამზრდელ ძისა უკითხავდა და მე მგონი, ეს შემთხვევით არ ხდებოდა. აქე მინდა გავისენო ჩემი პირადი შთაბეჭდილება — უფრო ზუსტად მამაჩემის მონათხრობი. მამა მათებატიკის მასნავლებელი გახდათ და ამზადებდა აკადემიკოს შალვა ნუცუბიდის ვაჟს. ძალიან ხშირად თურმე ბატონი შალვა, მეცადნეობის შემდეგ, მამას საკუთარ კაბინეტში იწვევდა და ესაუბრებოდა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. მამა მიამბობდა: „დასაწყისში ვერ მივხვდი, თუ რაში ჭირდებოდა ასეთ დიდ მეცნიერს ჩემთან, მათემატიკის მასნავლებელთან ეს საუბრები, მაგრამ მოგვიანებით გავიგე, რომ ბატონი შალვა ჩემთან საუბრებიდან გარკვეული ხნის შემდეგ, იმავე საკითხებზე რადიოთ გამოიყოდა და მე მივხდი, რომ აკადემიკოსი „ვარჯაშობდა“ ჩემთან, უბრალო ადამიანთან და ჩემს რეაქციებზე დაყრდნობით ამოწმებდა საკუთარ მოსაზრებებს!

როვორც ვატყობ, სიტყვა ოდნავ გამიგრძელდა. დავუბრუნდეთ ტარკვოსკისთან შეხვედრას. მისთვის დარბაზიდან ვერ მოგახერხება დამტევა და წერილი გავუგზავნებ შეკითხვით, თუ რას ნიშნავდა ზონაში შავი ძალის გამოჩენა და თან ძალიან მოკლედ მივწერე ჩემეული ინტერაციაცია. ანდრე მეტრის ხმამაღლა კითხვა დაიწყო, შეკითხვაზე შავი ძალის შესახებ, ოდნავ გაიღმია და შემდგომ ჩემეული „თეორია“ რაღაც უხალისობოდ წარმოადგინდა და მე მივხდი, რომ არ მოეწონა შეეკითხავა. კითხვა დაამთავრა, თავი ასწია და „მრისხანედ“ დაიძინა: „Не наდი მუდრით გისიდა!“ („გისიდა“ უჩვეულოდ უდერდა, იმ დროს გაბატონებული „Тобარიშ“-ის ფონზე და ალბათ ეს „უმნიშვნელო“ დეტალიც გარკვეული პროტესტის გამომახატველი იყო იმდროინდელი რეტრივის „წერიგის“ მიმართ, რადგანაც მთავარი გზას სწორები დაეტანა და ასეთი გულწრფელი აღსარება, საღი ანალიზი, გულისტკივილი საკუთარი ერის მანკიერებებისადმი,

## ძოგონება

ლევს”; როგორც გოუთე შენიშნავს: “დეტალები ღმერთია!”). აქ რეჟისორმა პაუზა გააკეთა და თვალი მოავლო დარბაზს, თითქოს ეძებდა შეკითხვის ავტორს “ანგარიშის გასასწორებლად” (ეს რაღაც თეატრალური უესტი იყო მისი მხრიდან!), შემდეგ კი წყნარად განაგრძო: ”ვცდილობ, ჩემს ფილმებში საკუთარი სათქმელი შეძლებისდაგვარად პირდაპირ ვთქვა, ისე რომ აღარ მჭირდებოდეს დამატებითი განმარტებება. თუმცა მართლაც მაქს სიმბოლური ეპიზოდები, რადგანაც ზოგჯერ კინოს საშუალებითაც კი (მისი უსაზღვრო შესაძლებლობების მიუხედავად!) შეუძლებელია სათქმელის სხვაგვრად გადმოცემა, მაგრამ არ შეიძლება ყველაფერში რაღაც სიმბოლო ვეძებოთ და მის უკან “დამალული” აზრი დავინახოთ. გადალებებისას კადრში სრულიად შემთხვევით შავი ძალი მოხვდა, რომელიც არც კი ვიცი საიდან გაჩნდა იქ. მომენტის ეს ძალი და გადავწყვიტე უკვე გადალებული კადრი დამეტოვებინა” (თუმცა ანდრეიმ მაინც არ გაუკეთა კომერციარი ჩემულ მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რატომ არის ზონაში ყველაფერი “მაჟორული”, ხოლო ზონის გარეთ “პირქუშ” ფერებში გადაწყვეტილი — ეტყობა იმდენად გააღიზიანა ამ “წყეულმა” ძალმა იგი!). თავისი პასუხი ტარკოვსკიმ ასე დასრულა: ”Вот и вся философия чёрной сибири!” არ ვიცოდი სირცხვილისაგან სად დავმალულყავო, ფეხებს ქვეშ „მიწა მეცლებოდა“ და კიდევ კარგი ზეპირად ვერ შევძლო კითხვის დასმა. ასე კრახით დაასრულა თავისი არსებობა ჩემი სიამაყის ობიექტმა „შავი ძალის თეორიამ“!

ამ შემთხვევამ, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, სრულიად ახალი, მოულოდნებლი რამ შემძინა. მას შემდეგ ნაკლებად ვემორჩილები სიმბოლური სცენების ახსნის მოდურ ცდუნებას და ვცდილობ ბუნებრივი ვიყო! ჩემი ლოზუნგი გახდა: “უკან ბუნებრიობისაკენ”! (აღბათ გახსოვთ უან — უაკ რუსოს ცნობილი მოწოდება: “უკან ბუნებისაკენ”!), მაგრამ ეს უკვე სხვა საუბრის თემაა!

მთაწმინდა. 2019 წელი.

## ზღვა

ზღვა როცა გხიბლავს, დედამიწა პირობითია  
აფრები გტკივა, ჭრელ მედუზას რომ უსმენ ალბათ  
ცხოვრება სადღაც გაირიყა, მიღიმი ყალბად  
და მაინც ბნელი სამყოფელი გელის პითია

ზღვა როცა ცეკვავს, დედამიწა ცრემლის მითია  
დამსხვრეულ კენჭებს შეატოვებს გვირილის საცერს  
როდესაც ახრჩობ მოგონებებს ბრაზით ალმაცერს,  
დამცინავ ბეჭებს არ ეტყობათ, დრო რომ ტვირთია

ზღვა როცა გიხმობს, დედამიწა ეჭვის ფილტვია  
ქვიშის პორიზონტს აალების ეტყობა კიდე  
უსასრულობა რომ შეიცნო უნდა წახვიდე  
იქ, სადაც ჩონჩხის ბაგეები მზისკენ ილტვიან

ზღვა როცა ფიქრობს, დედამიწა სხვა სიდიდეა  
სიკვდილის მიღმა სხეულს უმზერ, ის ალბათ გზარავს  
ზღვა არ გასვენებს, ენარცხება ოცნების კარავს  
რათა ჩაძიროს სინათლის და ტალღის იდეა

ზღვა როცა გხიბლავს, ყველაფერი პირობითია  
არც დედამიწა გვენატრება, მოგვბეზრდა ალბათ  
ცხოვრება სადღაც გაირიყა, მიღიმი ყალბად  
ჩვენ რომ გვაშორებს საუკუნოდ სიყრმის რიდია

იკა ქადაგიძე